



# ისტორიული გაგვიგონება



სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2013 წ. მაისი, №5 (34), ფასი 3 ლარი

**გამარჯვების  
დღეს  
გილოცავთ  
ქვირფასო  
ვეტირანებო!**



**ილია ვეკუა**

**ქართული მათემატიკური  
სკოლის ფუძემდებელი**

**10** ჰამლეტ  
ჭიბაშვილი:  
დღეს  
საქართველო  
გეოგრაფია  
სახელმწიფო  
უფრო,  
ვიღრე  
მოზიივე და  
გაბრ-  
ყინებული

**13** ნიდა  
მოსიქული  
ანდრია  
პირველ-  
ნოდებელი

**15** დიდაგის  
ორდენოსანი  
ვეტირანი  
ისენებს

**17** ტყვე  
ფანისტაგის  
სამარხშიწიწი  
მსვლელობა  
მთელი  
მოსკოვის  
გავლით

**20** მათთვის  
ოვი ვერ  
იქმნა  
ნარსულად

**32** მართლა  
დავკარგეთ  
ტრადიციები?

თბილისური  
ყოფა XVII-  
**40** XVIII  
საუკუნეებში



# სარჩევი

■	მაგულიშვილი <b>ქართული მათემატიკური სკოლის ფუძემდებელი</b>	<b>4</b>
■	დიდ წინაპართა ღვაწლი <b>1879 წლის 15 მაისს შედგა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ პირველი სხდომა</b>	<b>7</b>
■	ინტერვიუ <b>კვლავტ ჭიკაშვილი: დღეს საქართველო გლობალიზაცია სხელმწიფო უფროა, ვიდრე მოზიივე და გაბრწყინებული</b>	<b>10</b>
■	რელიგია <b>წიღა მოციქული ანდრია პირველწოდებული</b>	<b>13</b>
■	ვებრანდ <b>დიღების ორდენოსანი ვებერანი ისენებს</b>	<b>15</b>
■	იმ ქარცეცხლიან დღეთა გასსენება <b>ტყვე ფაშისტების სამარცხვინო მსვლლოვა მთელი მოსკოვის გავლით</b>	<b>17</b>
■	ღმი და ვუვიდოვა <b>მათთვის ომი ვერ იქსნ წარსულად</b>	<b>20</b>
	<b>აჯიფუქანის ქეები ლაღაღებენ</b>	<b>22</b>
	<b>ეს მოსღა ანაპასთან</b>	<b>23</b>
	<b>ქიევი მიმავს ქართული მიწა</b>	<b>24</b>
	<b>ჯარისკაცები უზო-უკვლოდ არ იქარგებინან...</b>	<b>26</b>
■	კულტურა <b>გელან გაელვება, ანუ ასსოვს რუსეთის ინტელიგენციას საქართველო?</b>	<b>28</b>
■	სარედაქციო ფოსტა <b>მინათმოქმედების ორი საბანი. მართლღ დავქარგეთ ტრადიციები?</b>	<b>32</b>
■	ქართული პრესის არქივიდან <b>წინ წავეღით თუ უქან?</b>	<b>37</b>
■	თბილისის ისტორია <b>თბილისური ყოფა XVII-XVIII საუკუნეებში</b>	<b>40</b>
■	ფოტოალბომი <b>რამდენივე წითი გღვანევივილების სილაგზის, ნიჭისა და გენის ტყვეობაში...</b>	<b>46</b>

გამომცემელი: არასამენარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი ღბრეჯან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრადის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

# ქართული მათემატიკური სკოლის ფუძემდებელი

106 წელი შესრულდა ერთ-ერთი უდიდესი მათემატიკოსისა და მექანიკოსის, მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების უნიჭიერესი ორგანიზატორის, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ილია ნესტორის ძე ვეკუას დაბადებიდან. ჩვენი საზოგადოება ყოველთვის ფართოდ აღნიშნავდა ამ თარიღს. თბილისში ტარდებოდა საკავშირო სიმპოზიუმები, რომელთა მუშაობაში უცხოელი მეცნიერებიც მონაწილეობენ. ამ სიმპოზიუმებზე განიხილებოდა მათემატიკისა და მექანიკის საკითხები, რომელთა დამუშავებაში დიდმა მეცნიერმა განუზომელი წვლილი შეიტანა.

ი. ვეკუამ შექმნა მათემატიკის ახალი დარგები, რომლებმაც ფართო გამოყენება ჰპოვა მექანიკაში და დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე მათემატიკის განვითარებაზე. ი. ვეკუას ეკუთვნის ელიფსური ტიპის განტოლებათა სასაზღვრო ამოცანების ზოგადი თეორია, რომელიც საფუძველი გახდა ინდექსის თანამედროვე თეორიისათვის.

XX საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სრული თეორია, რომელმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა კლასიკური მათემატიკური ანალიზის შესაძლებლობანი. ამ თეორიამ დასრულებული სახე ქართველ მათემატიკოსთა გამოკვლევებში მიიღო, ხოლო ი. ვეკუას შრომებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა მის შექმნაში.



დაიბადა 1907 წლის 6 მაისს, გალის რაიონის სოფელ შეშელეთში. საშუალო განათლება მიიღო ზუგდიდში. განათლებისკენ სწრაფვა ოჯახიდან მოსდგამდა ილია ვეკუას. ბავშვის განათლება მათ ოჯახში უპირველესი საზრუნავი იყო. მამამ, ნესტორ ვეკუამ, თავიანთ სოფელში, შეშელეთში, საკუთარი მიწის ნაკვეთი გამოყო სკოლის ასაშენებლად.

1925 წელს ილია ვეკუამ დაამთავრა ზუგდიდის საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ამ დროს ფაკულტეტზე მოღვაწეობდა ქართველ მათემატიკოსთა პირველი პლეადა — **ა. რაზმაძე, ნ. მუსხელიშვილი, გ. ნიკოლაძე, ა. ხარაძე-ბუნებრივია**, რომ ილია ვეკუასა და მისი თანატოლების ჩამოყალიბება, როგორც მომავალი მეცნიერი მუშაკებისა, მათემატიკოსთა ამ ბრწყინვალე პლეადის გავლენით ხდებოდა.

ამ პერიოდში დიდი ღონისძიებები ტარდებოდა მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მოსამზადებლად. ი. ვეკუამ 1930 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. სწორედ მაშინ, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის ინიციატივით, საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ცენტრებში ახალგაზრდა მათემატიკოსების ჯგუფი გაიგზავნა. მათ შორის იყო ილია ვეკუა. ი. ვეკუა ასპირანტურის კურსს გადის ლენინგრადში აკადემიკოს ა. კრილოვის ხელმძღვანელობით. ასპირანტურის წლებში ი. ვეკუას მუშაობაზე დიდი გავლენა მოახდინეს ნ. მუსხელიშვილმა და ვ. სმირნოვმა. ი. ვეკუამ შეისწავლა დრეკადობის თეორიის მნიშვნელოვანი ამოცანები. ეს გამოკვლევები გახდა მისი საკანდიდატო დისერტაციის საფუძველი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის ასპირანტურა მან 1933 წელს დაამთავრა; თბილისში დაბრუნების შემდეგ კი აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მათემატიკის ინსტიტუტში. აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო სემინარების მუშაობაში, კითხულობდა სხვადასხვა მათემატიკურ დისციპლინას უმაღლეს სასწავლებლებში. ეს ლექციები გამოირჩეოდა მაღალი მეცნიერული დონით და ასახავდა სათანადო დარგის თანამედროვე მდგომარეობას.

ი. ვეკუას შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს კერძო-ნარმოებულელებთან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიას. 1939 წელს იგი ბრწყინვალედ იცავს სადოქტორო დისერტაციას. მისი გამოკვლევები ამ დარგში შეჯამებული სახით გამოქვეყნდა



1948 წელს მონოგრაფიაში „ელიფსური განტოლებების ამოხსნის ახალი მეთოდები“, რომელიც სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.

ორმოციან წლებში თბილისის მათემატიკურ ინსტიტუტში, ნ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით, მუშაობდა სემინარი სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში. მსყობრი თეორია სინგულარული განტოლებებისა გადმოცემულია ნ. მუსხელიშვილის მონოგრაფიაში, რომელიც პირველად 1946 წელს გამოქვეყნდა.

დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში ი. ვეკუა, როგორც უნივერსიტეტის პრორექტორი და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, დიდ მუშაობას ატარებს სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად. 1944 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად; 1946 წელს მას ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1951 წელს ილია ვეკუა მოსკოვში გადავიდა და მუშაობა დაიწყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამეცნიერო დაწესებულებებში. 1955-1959 წლებში იგი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა.

ამ პერიოდში ი. ვეკუას სამეცნიერო ინტერესები განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიისადმი მიმართული. მისი შედეგები ამ თეორიაში შეჯამებული სახით გადმოცემულია მონოგრაფიაში „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“, რომელიც 1959 წელს გამოქვეყნდა და რომელიც ლენინური პრემიით აღინიშნა.

ამავე პერიოდში ი. ვეკუამ შექმნა გარსთა თეორიის ახალი ვარიანტები, რომელთაც გამოყენების დიდი პერსპექტივა აქვთ თანამედროვე ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

1958 წელს ილია ვეკუას ირჩევენ



ილია ვეკუა და ნიკო მუსხელიშვილი

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერთა ჯგუფთან ერთად იგი გადადის ნოვოსიბირსკში და აქტიურად მონაწილეობს აკადემიის ციმბირის განყოფილების მუშაობაში. იგი ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორია.

**დიდმნიშვნელოვანია ი. ვეკუას დამსახურება ახალი სამეცნიერო-კვლევითი დანახებულებების შექმნისა და მათი მუშაობის ხელმძღვანელობის საქმეში, მეცნიერების ყველა სფეროს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით, როგორც საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ისე სოციალისტურ ქვეყნებში, მომზადდა მათემატიკოსთა და მექანიკოსთა მრავალრიცხოვანი კადრები, რომელთაგან ამჟამად ბევრი ცნობილი მეცნიერია.**

ი. ვეკუა, მათემატიკისა და მექანიკის ბევრ დარგში ღრმა თეორიული გამოკვლევების ავტორი, არ იფარგლებოდა წმინდა თეორიის ჩარჩოებით და იმ ზომამდე სრულყოფდა თავის გამოკვლევებს, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი უშუალო მომარჯვება მათემატიკის, მექანიკის, ფიზიკისა და ტექნიკის გამოყენებითი ამოცანების გადასაწყვეტად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ი. ვეკუას ცხოვრების უკანასკნელი ათწლეულის მრავალი გამოკვლევა, რომლებიც დრეკად გარსთა თეორიის ახალი ვარიანტების შემუშავებას მიეძღვნა. ი. ვეკუას მიერ შექმნილმა გარსთა თეორიის მეთოდებმა შესაძლებელი გახადა, გადაჭრილიყო მთელი რიგი პრინციპული საკითხები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ამოუხსნელი რჩებოდა.

**აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის ერთ-ერთი უნიჭიერესი მოწაფე ი. ვეკუა მასთან ერთად საქვეყნოდ ცნობილი ქართული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია.**

1965-1972 წლებში ი. ვეკუა სათავეში ედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მისი მოღვაწეობის ამ პერიოდთან არის დაკავშირებული სასწავლო-აღმზრდელობითი და მეცნიერულ-ორგანიზაციული მუშაობის დონის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური და სასწავლო-ლაბორატორიული ბაზის გაფართოება. ი. ვეკუამ შექმნა და სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტს, ამ ფართოდ ცნობილ დიდ სამეცნიერო ცენტრს.

1972 წელს ი. ვეკუა სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის მეცნიერების

მთავარ შტაბს — მეცნიერებათა აკადემიას და მთელ თავის ორგანიზატორულ ნიჭს, ცოდნას, გამოცდილებასა და მჩქეფარე ენერჯიას ახმარდა ქართული საბჭოთა მეცნიერების შემდგომ განვითარებას, მის გამოყენებას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურული ცხოვრების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისთვის, მეცნიერთა საქმიანობის კონცენტრაციისთვის დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული პრობლემების გადასაჭრელად.

ი. ვეკუას სამეცნიერო შრომებმა ფართო აღიარება ჰპოვა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. მისი ფუნდამენტური მონოგრაფიები ითარგმნა და გამოიცა ინგლისურ, გერმანულ და სხვა უცხო ენებზე. იგი აირჩიეს გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის (ბერლინში), პალერმოს (სიცილია) მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემიის, ჰალეს „ლეოპოლდინას“ აკადემიის საზღვარგარეთელ წევრად, პოლონეთის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საზოგადოების საზღვარგარეთელ წევრად და სხვ.

მას მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის ნოდება, იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ხუთი ორდენით, სხვა ორდენებითა და მედლებით. არჩეული



ილია ვეკუა მუშაობისთან ერთად

იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატად.

ილია ვეკუა შემკული იყო შესანიშნავი მოქალაქეობრივი თვისებებით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თავის მოწაფეებზე მისი მამობრივი ზრუნვა, რომელიც შეხამებული იყო მკაცრ მომთხოვნელობასთან. საერთოდ მას, როგორც მეცნიერსა და მოქალაქეს, ახასიათებდა პრინციპულობა, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, მომთხოვნელობა და განსაკუთრებული მზრუნველობა ადა-

მიანებზე. აღტაცებას იწვევდა მისი სიმტკიცე, ვაჟკაცობა, თავშეკავებულობა რთულ სიტუაციებში.

ი. ვეკუას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ შეუწყვეტია დაბაბული, შემოქმედებითი და ორგანიზატორული მუშაობა. უდიდესი ნებისყოფის ფასად, მან ბოლო დროს შექმნა შრომები, რომლებიც გასხვივოსნებულია მისი ნათელი ნიჭით და რომლებიც მეცნიერების საგანძურში შევიდა, როგორც დიდი მეცნიერული გმირობის მაგალითი. მისი დიდი სულიერი ძალის გამოვლინება იყო გარსთა თეორიაში მონოგრაფიის შექმნა. ეს ნიგნი მან დაწერა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, მძიმე ავადმყოფმა. 1977 წლის 2 დეკემბერს ილია ვეკუა გარდაიცვალა. 1984 წელს კი ნიგნი სსრკ სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.

მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად მეცნიერის სახელი ეწოდა ინსტიტუტებს, სკოლებს, ქუჩებს, საოკეანო ხომალდს; დაწესდა ილია ვეკუას სახელობის პრემია და სტიპენდიები, მის მშობლიურ სოფელში გაიხსნა სახლ-მუზეუმი.

ქართული მეცნიერების საგანძურს მუდამ დაამშვენებს და აამაღლებს ღვანლი დიდი მამულიშვილისა.

ლევ სვანიძე



ილია ვეკუა ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, 1962 წ.



„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ყოველ ჩვენგანს ისეთ დანახვულად მიგვაჩნია, რომელსაც თითოეული ქართველი თვალის ჩინივით უნდა გაუფრთხილდეს“.

ივანე ჯავახიშვილი

# 1879 წლის 15 მაისს შედგა «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» პირველი სხდომა

XIX საუკუნის 60-70-იანი წლები ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ინტენსიური განვითარების ეპოქა იყო. საგლეხო რეფორმა, მიუხედავად მრავალი მანკისა, მაინც მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. მან დასაწყისი მისცა ხალხთა შემოქმედებისა და ბრძოლის გზას. ჩვენს ქვეყანაში გლეხობის განთავისუფლებისათვის იღვწოდა ქართველ სამოციანელთა შესანიშნავი თაობა, რომლის სათავეში ილია ჭავჭავაძე იდგა.

სწორედ რეფორმის შედეგი იყო ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ და შემდეგ გაზეთ „დროების“ დაარსება, ქართული თეატრის განახლება, გეოგრაფიული, სამედიცინო, არტისტთა საზოგადოებების ჩამოყალიბება და სხვა, რაც ინტელიგენციის ამოძრავებას მოასწავებდა.

სწორედ სამოციანელთა წრეში ჩაისახა იდეა სახალხო განათლებისა, სახალხო სკოლების შექმნისა, რაც კერძო ინიციატივით დაიწყო და შემდეგ კი, 70-იანი წლების დასასრულისთვის, ოფიციალური სახე მიეცა. პირველი სახალხო სკოლა ქართულ ენაზე სწავლებით სოფელ ხოვლეში შეიქმნა გიორგი ჯავახიშვილისა და მისი მეუღლის, მარიამ იოსების ასულ მამაცაშვილის, აქტიური მონაწილეობითა და ქართველ მონაწილეთა ადამიანთა ხელშეწყობით, მას, როგორც კერძო წამოწყებას, იურიდიული უფლებები არ ჰქონდა.

აზრი საგანმანათლებლო საზოგადოების დაარსებისა, როგორც ი. გოგებაშვილი და ანტონ ფურცელაძე გადმოგვცემენ მოგონებებში, იმ კერძო სასწავლებლის არსებობამ წარმოშვა, რომლის

ბედით, ხსენებულ პირთა გარდა, დაინტერესებული იყვნენ ნიკო ცხვედაძე, ვახტანგ თულაშვილი, ბესარიონ ლოლობერიძე, ანა ლოლობერიძე-მუსხელიშვილისა და სხვანი.

1877 წელს ამ ჯგუფმა დაიწყო ზრუნვა მომავალი საზოგადოების წესდების შესამუშავებლად. ამ ჯგუფს შეუერთდა დიმიტრი ყიფიანი, შემდეგ ილია ჭავჭავაძეც. 1878 წლის დასაწყისისთვის წესდების პროექტი უკვე შედგენილი იყო, რომელშიც იაკობ გოგებაშვილის მეცადინეობით და მოთხოვნით მესამე პარაგრაფში შემდეგი ეწერა: „საზოგადოება თავის მიზანს იმით მიაღწევს, რომ სახალხო სკოლებში დასაწყის სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზე, რომელიც ესმით მოსწავლეებს და ცდილობს რუსული ენისთვისაც, რომ კარგად ისწავლებოდეს“.

დიდი წინააღმდეგობისა და ამ პარაგრაფის ირგვლივ ატეხილი კამათის შემდეგ, მაინც დამტკიცდა წესდების პროექტი 1879 წლის 31 მარტს. იმავე წლის 15 მაისს შედგა პირველი სხდომა იმ საზოგადოებისა, რომელსაც გრიგოლ ორბელიანის წინადადებით და-



ილია ჭავჭავაძე

ერქვა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და რომელსაც შემდეგ ი. გოგებაშვილმა „ჩვენი სამეცნიერო აკადემია“ უწოდა, ხოლო საზოგადოების არსებობის 25-ე წლისთავზე მას „ქართველთა ეროვნულ თავშესაფრად“ იხსენიებდნენ.

პირველმა სხდომამ საზოგადოებისა და გამგეობის თავმჯდომარედ დიმიტრი ყიფიანი აირჩია, მის მოადგილედ (ამხანაგად) — ილია ჭავჭავაძე, გამგეობის წევრებად — იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ივანე მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი და ალექსანდრე სარაჯიშვილი (მდივნად).

საზოგადოება არსებობდა საწევრო შესატანით, რომელსაც იხ-




დიდნენ დამფუძნებელნი და წევრები.

პრესა ხშირად მიმართავდა ქართველ საზოგადოებას და ახსენებდა ამ დანესებულების მნიშვნელობას და მისთვის დახმარებას ითხოვდა. თბილისის ბანკიდან, რომლის თავმჯდომარეც ი. ჭავჭავაძე იყო, დასაწყისისათვის საზოგადოებამ მიიღო თერთმეტი ათასი მანეთი, ამდენივე თანხა გაიღო ქუთაისის ბანკმა. შემდეგ, საზოგადოების არსებობის მანძილზე, არც ერთ შეგნებულ მოქალაქეს არ დაუშურებია მისთვის შემწეობა, ზოგჯერ შესანიშნავი კაპიკებით განისაზღვრებოდა, მაგრამ იყვნენ ქართველი მეცენატები, რომელთაც მნიშვნელოვანი თანხები შეუწირავთ საზოგადოებისათვის (მაგალითად, დავით სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, ილია ოქრომჭედლიშვილი, გიორგი ქართველიშვილი და სხვ.).

**უპირველესი მიზანი საზოგადოების სახალხო სკოლების გახსნა იყო, სადაც ქართველი ბავშვები მშობლიურ ენაზე დაეწავებოდნენ ნიგნასა და ცოდნას.** ამ მარტივ და უბრალო მიზანს ბევრი ხელისშემშლელი გამოუჩნდა, უპირველესად კი, ხელისუფლების სახით, კავკასიის მთავარმართებელი, კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსი და საქართველოს ეგზარქოსი (ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი, კირილე იანოვსკი და პავლე ლებედევი), რომელთა აპარატი მეტად ავიწროებდა ყოველგვარ ეროვნულ წამოწყებას.

ბევრი სკოლის არსებობა მთავრობამ არ დაადასტურა, მაგ. სოფელ წინარეხის სკოლა რამდენიმე წლის განმავლობაში არალეგალურად მუშაობდა, რადგან საზოგადოების წესდებით მას ქართულ ენაზე უნდა ეწავებინა სწავლება, მთავრობა კი თავის პროგრამას აჩეჩებდა სკოლას. ბათუმის გენერალ-გუბერნატორი იქაურ სკოლას დახურვით ემუქრებოდა, თუ ოფიციალური გეგმით არ იმუშავებდა, ასეთ ვითარებაში მაინც დაარსდა სკოლები ბორჩალოს



იაკობ გოგებაშვილი

მაზრაში, გომარეთში, დიდ თონეთში, თასმალოში, ყალამშიაში, სენაკში და სხვაგან, რომელთა შექმნაში ადგილობრივი მოსახლეობაც მონაწილეობდა. საზოგადოება აგებდა სასკოლო შენობებს, აახლებდა არსებულთ, ნიშნავდა მასწავლებლებს, ამარაგებდა სასწავლო ნივთებით და ავე-



გიორგი ორბელიანი

ჯით არა მხოლოდ თავის სკოლებს, არამედ სახელმწიფო და სამრევლო სასწავლებლებსაც, წარმართავდა მათ მუშაობას.

**საზოგადოებისაგან დაარსებულ სკოლათაგან დიდი მნიშვნელობისა იყო ბათუმის სკოლა, რომელშიც აჭარელ ქართველთა ბავშვები იზრდებოდნენ, აგრეთვე, ბორჩალოსი, ყალამშიასი და სხვ. ეს სკოლები ემსახურებოდნენ იმ ქართულ სოფლებს, რომელნიც არაქართული მოსახლეობით იყვნენ გარემოცულნი. ბათუმის სკოლის გახსნას თვით ილია ჭავჭავაძე დაეწინააღმდეგებოდა.**

უყურადღებოდ არ დაუტოვებია საზოგადოებას საქართველოს გარეთ არსებული ქართული დასახლებანი, მისი და ადგილობრივ ქართველთა მეცადინეობით ქართული სკოლები დაარსდა ვლადიკავკასში, ბაქოში, ნალჩიკში.

**დიდი ყურადღება მიექცია ნიგნის ბექედის საქმეს, უმთავრესად სახელმძღვანელოებისას, რომელთაც ამუშავებდა დაულალავი ი. გოგებაშვილი.** მისი შედგენილი „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და პირველდამწყებითი რუსული ნიგნი მოეფინა მთელ საქართველოს. ისინი მის გარეთაც გავიდნენ. გარდა სახელმძღვანელოებისა, საზოგადოება ბექედავდა ქართველ მწერალთა თხზულებებს, ნათარგმნ ლიტერატურას.

საზოგადოების საზრუნავი იყო საქართველოში ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების დაარსება, რომელნიც ხალხში განათლების შეტანის მსახურნი უნდა გამხდარიყვნენ. ბევრი ადგილობრივი მოღვაწე თავისი ხარჯით მართავდა სამკითხველოს, აშენებდა ბიბლიოთეკას და უწერდა კიდევ უფროს-გაზეთებს, საზოგადოება ბიბლიოთეკებს უფასოდ ამარაგებდა.

იგი შეუდგა ქართული ძველი ხელნაწერების შეკრება-დაცვას. მრავალი ხელნაწერი ნიგნი შესწირა საზოგადოებას სხვადასხვა პირმა, იგი თავადაც ბევრს იძენდა ძველი ქართული მწერლობის ნი-





მუშებს. აღსანიშნავია სამეგრელოს მთავართა — დადიანების ნაქონი ხელნაწერების ჩამოტანა გორდიდან თბილისში 1884 წელს. დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის უფროსმა ვაჟმა ნიკო დადიანმა უფასოდ გადასცა მდიდარი ფონდი ქართული ხელნაწერებისა საზოგადოებას. ილია ჭავჭავაძე თავისი თანმხლები პირებით გაემგზავრა გორდს ხელნაწერთა მისაღებად და თბილისში ჩამოსატანად.

სულ მალე საზოგადოების წინაშე დადგა მუზეუმის დაარსების საკითხი, რადგან თავი მოიყარა შესანიშნავმა ხელნაწერებმა, ქართულმა ნაბეჭდმა წიგნებმა, შემონირულმა და შექმნილმა ისტორიულმა ნივთებმა, ქართული ხელოვნების ნიმუშებმა...

საზოგადოების საზრუნავი იყო ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების აღრიცხვა, შესწავლა და დაცვა. რამდენი გულისტკივილით აღსავსე წერილი გამოქვეყნებულა „ივერიაში“ იმ ბრწყინვალე ძეგლების სავალალო მდგომარეობის გამო, რომელთაც საუკუნეებისთვის გაეძლოთ და ახლა კი იფშვნებოდნენ. **დაიწყეს ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრება და გამოცემის ორგანიზაცია. ი. გოგებაშვილმა და პ. უმიკაშვილმა შეიმუშავეს და საქართველოს ყველა ტიპის სასწავლებელთა მასწავლებლებს დაუგზავნეს საგანგებო ინსტრუქცია, თუ როგორ ჩაენერათ და შეეკრიბათ ქართული ფოლკლორი. ეს იყო დიდი კულტურულ-პატრიოტული მოძრაობა, რომელსაც მრავალი მოღვაწე გამოეხმაურა. დიდია აკაკი წერეთლისა და პეტრე უმიკაშვილის ღვაწლი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალის თავმოყრისა და პუბლიკაციის საქმეში.**

საზოგადოების უშუალო დახმარებით მოხდა ქართული სამუსიკო ფოლკლორის, საერო და სასულიერო მრავალხმიანი სიმღერა-გალობის ჩანერა ნოტებით (მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვი, ია კარგარეთელი, დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, ზაქა-



დიმიტრი ყიფიანი

რია ჩხიკვაძე), რაც, აგრეთვე, ძვირფასი განძის თავმოყრას უდრიდა.

ბევრი ახალგაზრდა სწავლობდა რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში, საშუალო სასწავლებლებსა და გიმნაზიებში საზოგადოების ხარჯზე, იგი ზრუნავდა მწერალთა ყოფაცხოვრების სა-



დავით სარაჯიშვილი

კითხებზე, მართავდა საზოგადო მოღვაწეთა იუბილევებს, ლიტერატურულ დილა-სალამოებს. ბევრმა ქართველმა მწერალმა გადასცა საზოგადოებას თავისი თხზულება.

**საზოგადოებასთან არსებობდა სხვადასხვა ფონდი**, მაგ. ქართველ მწერალთა და ხელმოკლე მოღვაწეთა დასახმარებლად, კულტურულ დაწესებულებათა ნასახლისებლად, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნემტის გადმოსასვენებლად, დიდუბის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის გასამართავად, მუზეუმისათვის ადგილის შესაძენად. იყო ფონდები აკაკისა, ილიასი, ყაზბეგისა.

**თავისი არსებობის მანძილზე საზოგადოებამ ორი დიდი სახალხო დღესასწაული მოაწყო.** ეს იყო იუბილევები რაფიელ ერისთავისა 1895 წელს და აკაკი წერეთლისა 1908 წელს, ეს იუბილევები იქცა ეროვნული ენერჯის მობილიზაციად, საზოგადოებამ დიდი მონაწილეობა მიიღო თავისი პირველი თავმჯდომარის — დიმიტრი ყიფიანის რუსეთიდან საქართველოში გადმოსვენებასა და მთანმინდაზე დაკრძალვაში. საზოგადოების ხარჯით აიგო ძეგლი მისი უცვლელი თავმჯდომარისა 1885 წლიდან 1907 წლამდე — ილია ჭავჭავაძისა (ი. ჭავჭავაძის შემდეგ თავმჯდომარე იყო გიორგი ყაზბეგი, ბოლოს კი — დავით კარიჭაშვილი).

საზოგადოება არსებობდა 1927 წლამდე (ბოლოს მას წიგნის გამომცემელი საზოგადოება ერქვა). ბოლო აქტი დაინერა 1927 წელს, როცა ილია ჭავჭავაძის ქვრივი — ოლღა გარდაიცვალა და მისი ნივთები მუზეუმს გადაეცა.

საზოგადოების არქივი შესანიშნავი ფონდია. მასში დაცულია პირველხარისხოვანი საბუთები არა მხოლოდ საქართველოში წერა-კითხვის გავრცელებისა, არამედ ქართული კულტურისა საერთოდ.

**სოლომონ სუშიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი**

ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# დღეს საქართველო ებლოვიანა სახელმწიფო უფროსა, ვიდრე მოზაიკა და გაბრუნებული

დღევანდელმა ახალგაზრდობამ არ იცის, რა იყო საბჭოთა კავშირი, რა არის რუსეთი და თუნდაც დსთ...

1991 წლის 31 მარტს რეფერენდუმის მთავარ შეკითხვაზე, გასურთ თუ არა, აღდგეს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე, საქართველოს მოსახლეობის 98,9 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა. ზუსტად 9 დღის შემდეგ კი თბილისში მთავრობის სახლის თავზე საბჭოთა სიმბოლიკის ნაცვლად ქართული დროშა აღიმართა.

26 მაისს აქტის მიღებიდან 22 წელი სრულდება, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ იმ მოვლენებიდან ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა, საზოგადოების აზრი — ვიყავით თუ არა ამ ხნის მანძილზე რეალურად დამოუკიდებლები, დღემდე არაერთგვაროვანია. ექსპერტთა და პოლიტიკოსთა ნაწილი აღნიშნულ საკითხს სკეპტიკურად უყურებს, ნაწილი კი თვლის, რომ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ საქართველო, როგორც სახელმწიფო, შედგა.

რა მოგვცა დამოუკიდებლობის 22-წლიანმა პერიოდმა და რა ფუნდამენტური ცვლილებები განიცადა ქვეყანამ, გვესაუბრება ექსპერტი ჰამლეტ ჭიპაშვილი.



— ბატონო ჰამლეტ, 22 წელია, რაც მსოფლიომ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გვაღიარა და, ცოცხალი არ იყოს, უცნაურია, რომ კვლავ ისმის კითხვა: ვართ თუ არა შემდგარი ქვეყანა? თქვენ როგორ უყურებთ ამ საკითხს? რა მოგვიტანა რეალურად დამოუკიდებლობის გამოცხადებამ?

— ეს იმდენად საკამათო საკითხია, ალბათ, ასე მოკლედ ამაზე საუბარი გაჭირდება, მაგრამ მაინც შევეცდები, გიპასუხოთ. პირველ რიგში ვიტყვი იმას, რომ ამ დამოუკიდებლობის პერიოდში მე პირადად დიდ მიღწევებსა და წარმატებებს ვერ ვხედავ. ასეა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა და განსაკუთრებით ისინი, ვინც მოესწრნენ საბჭოთა კავშირში ცხოვრებას. დღეს ხშირად საუბრობენ იმაზე, თუ რა კარგი დრო იყო მაშინ და რა ცუდი დროა ახლა.

ანუ დამოუკიდებლობამ, ფაქტობრივად, მოგვიტანა ის, რომ ჩვენ ვერ შევძელით ქვეყნის მართვა...

— კონკრეტულად რაში გამოიხატა ეს?

— ვერც ერთი მთავრობა ვერ გამოდგა სტაბილური. ჯერ იყო გამსახურდიას წელიწადნახევრიანი მმართველობა და ის დაძაბულობა, რომელმაც დალი დაასვა ქვეყნის განვითარებას. მართალია, მათ მოიგეს უზენაესი საბჭოს არჩევნები, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებს უკვე შეხვდნენ დაქუცმაცებული; და არამარტო დაქუცმაცებული, არამედ ერთმანეთს გადამტერებულნი. ეს შიდა ომი რითაც დამთავრდა, მოგესვენებათ. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, შემდეგ იყო შევარდნაძის ჩამოსვლა მოსკოვიდან და მისი მმართველობა, რომელიც ასევე ძალიან მძიმე აღმოჩნდა ქვეყნის-

თვის, განსაკუთრებით სოციალური თვალსაზრისით. პლიუს — ამ დროს დავკარგეთ ტერიტორიები: აფხაზეთი, სამაჩაბლო და შედეგად მივიღეთ 300 ათასამდე უსახლკარო ადამიანი. ახლა ბევრი მაშინდელი პოლიტიკოსი ხელს იშვერს რუსეთისკენ და ამბობს, რომ კრემლის ჩაურევლობის შემთხვევაში ჩვენ ყველაფერს მოვაგვარებდით, მაგრამ დღეს ასეთი საუბარი, უბრალოდ, სასაცილოა...

— სააკაშვილის პერიოდზე რას იტყვით?

— 2003 წელს იმ ე. წ. ვარდების რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა, ფაქტობრივად, მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული ფრთა, ოღონდ შეცვლილი სახით და შემდეგ ამას მოჰყვა სააკაშვილის 9-წლიანი დიქტატურა. ეს 9 წელი იყო და დღემდე არის განუკითხავობის პერიო-

დი, ეს არის ხელისუფლების უკიდევანო პარპაში, ხელის ფათური სახელმწიფოს ბიუჯეტში, მოსახლეობის დაშინება, დასჯა და ა. შ. მოკლედ, ერთი კაცის ქეიფზე დადიოდა მთელი ერი. გარდა ამისა, სააკაშვილის ხელისუფლებამ გააკეთა ის, რაც არ გაუკეთებია არა თუ მის წინამორბედს, არამედ საერთოდ არც ერთ ხელისუფალს, იქნებოდა ეს პრეზიდენტი თუ მეფე, — მან შევარდნაძის მიერ დაკარგული ტერიტორიები უკვე იურიდიულად დაკარგა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანების საკითხი რეალურად გამოირიცხა, ყოველ შემთხვევაში ახლო პერსპექტივაში მაინც, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ამ **კაცმა 2008 წელს წამოიწყო სერიოზული ომი არა სამხრეთ ოსეთის, არამედ რუსეთის წინააღმდეგ**, ვინაიდან სააკაშვილმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ის სამხედრო მოქმედებები, რომლებიც მისი ბრძანებით განხორციელდა, კრემლის მხრიდან გამოიწვევდა მძაფრ და მყისიერ რეაქციას.

— ე. ი. თქვენ ამბობთ, რომ დამოუკიდებლობის ამ 22-წლიან პერიოდს ნათელი წერტილი, ფაქტობრივად, არ ჰქონდა?

— ამ 20-22 წლის მანძილზე საქართველოს მოსახლეობას რეალურად ერთი წუთითაც არ დაუსვენია „ბედოვლათი“ და მძიმე, ხალხისთვის მიუღებელი მმართველების გამო. საქართველო გადაიქცა კორუფციის ბუდედ, რომელსაც დაერქვა ელიტური კორუფცია, ეკონომიკა გაჩანაგდა და დავიდა ნულზე. აი, ასეთი სურათი გვაქვს დღეს.

— სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები ხშირად ამბობენ, რომ 2003 წლამდე საქართველო იყო არშემდგარი სახელმწიფო, რომ, თურმე, მათი რეფორმების წყალობით სამაგალითო ქვეყანა გახდით.

— გუნდი რადგან ახსენეთ, მინდა გითხრათ, რომ ის უბედურებები, რომლებიც მოხდა ამ 20 წლის განმავლობაში და რომლებიც მე ჩამოვთვალე, არის მინიმალური

იმასთან შედარებით, რაც მოხდა საკადრო დარგში. საქართველოში, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდნენ პატიოსანი პროფესიონალები. ქვეყანა ვინმემ უნდა მართოს და, როცა ეს მმართველობის სადავეები უჭირავთ გარყვნილ, უფიც, კორუმპირებულ ადამიანებს, იმ ქვეყნისგან არაფერი გამოვა. სააკაშვილის მოსვლასთან ერთად ხელისუფლებაში მოვიდნენ სრულიად უმეცარნი, გამოუცდელი ხალხი სახელმწიფო საქმეებში. სერიოზული თანამდებობები ჩაბარდათ 20-23 წლის გოგო-ბიჭებს და მათ მიეცათ ფართო გასაქანი. ეს იყო მიზანმიმართული პოლიტიკა, მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სააკაშვილი ამას მართო არ აკეთებდა, მას მხარში ედგნენ შეერთებული შტატების წარმომადგენლები. თითქმის ყველა სამინისტროში ექსპერტებად იყვნენ გაფორმებული ამერიკელი მოხელეები და ყველაფერი მათი მითითებით, მათი მეთვალყურეობით ხდებოდა.

— გამოდის, რომ ვაშინგტონი საქართველოს შიდა საქმეებშიც აქტიურად ერეოდა?

— ერეოდა და ერევა კიდევ. მათ, უბრალოდ, ჩათვალეს, რომ საჭირო იყო კადრების სასწრაფო ცვლა, ანუ 40 წლამდე ხალხის მოსვლა შეიძლებოდა ხელისუფლებაში, ხოლო 40 წლის ზემოთ ასაკისა, ვინც საბჭოთა პერიოდს მოესწრო და იცოდა მუშაობის ელემენტარული ანბანი, გაძევებულ იქნენ სამსახურიდან. მარტივად რომ ვთქვათ, მოხდა სახელმწიფო სტრუქტურების გაახალგაზრდავება, მაგრამ ამასთანავე მოხდა გაახალგაზრდავება ელიტური კორუფციის. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ვართ თუ არა შემდგარი სახელმწიფო, რა შემდგარიც ვართ, ეს ძალიან კარგად ჩანს. ქვეყანაში გაჩნდა უამრავი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა უკანაც დგას ამერიკა და მისი ინტერესები. მათი მიზანია, უაზრო, რაღაც თითქმის გამონოვლი კონფერენციების ჩატარება, ღონისძიებების მოწყობა და ა. შ. ახლა ვინ არიან

ამ ორგანიზაციებში თავმოყრილნი? არიან გარკვეული კატეგორიების თინეიჯერები. ასეა იმავე ახალგაზრდა იურისტებში, თავისუფლების ინსტიტუტში და ბევრ სხვა მსგავს დაწესებულებაში. აი, ეს ორგანიზაციები გახდა საქართველოს ხელისუფლებისთვის კადრების სამჭედლო.

— როგორ ფიქრობთ, რა არის ამ ყველაფრის მიზანი?

— პრინციპი აქ ერთია: **ამ ახალგაზრდების აღზრდა უნდა მოხდეს არა პატრიოტული ნიშნით, ამერიკას ეს შენი პატრიოტიზმი სულ არ აინტერესებს, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლებს ის, ემსახუროს თითოი სახლის ინტერესებს ამ ძველანაში; ანუ მათ სჭირდებათ ახალგაზრდა, რომელიც მომართული იქნება ამერიკის მეთვალყურეობის წინააღმდეგ და ამ რეგიონში, უპირველეს ყოვლისა, ეს არის რუსეთი. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მისი პოზიცია ნათელი და მკაფიოა: მას სჭირდება ისეთი საქართველო, რომელიც დაუპირისპირდება რუსეთს.**

— სააკაშვილი თავის გამოსვლებში ხშირად იმეორებდა ხოლმე ტერმინს მენტალური რევოლუცია. როგორ გესმით მისი მნიშვნელობა და ხომ არ მიგაჩნიათ, რომ სწორედ ამ გეგმის ნაწილი იყო ის, რაზეც საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით საუბრობდით?

— რა თქმა უნდა, მათ უნდოდათ, რომ ადამიანების გონება, აზროვნება, ტვინები შეეცვალათ და, ფაქტობრივად, ზომბებად ექციათ ხალხი. მთელი ის პროპაგანდა, რომელსაც წლების მანძილზე ტელევიზიით ვისმენდით, ამას ემსახურებოდა, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, მარტო სააკაშვილი არ იდგა ამის უკან, ამ ე.წ. რევოლუციის ავან-გარდი იყო ამერიკა.

— როგორ ფიქრობთ, მიაღწია ამ პროპაგანდამ თავის მიზანს?

— ვფიქრობ, მიაღწია. ამის შედეგია ის, რომ დღევანდელმა ახალგაზრდობამ არ იცის, რა იყო

საბჭოთა კავშირი, რა არის რუსეთი და თუნდაც დსთ. მეტიც, საქართველოს მოსახლეობამ არ იცის, რა ხდება მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში, ვინაიდან ამის თაობაზე მედია ძალიან ცოტას ლაპარაკობს. რასაც ლაპარაკობს დღესაც კი, ესაა ქებათა ქება ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირისა და ნატოსი. უბედურება კი ისაა, რომ ზოგიერთი „მეოცნებე“ ახლაც თავს უფლებას აძლევს, ამ სირთულეებით კვებოს საზოგადოება.


— რაც შეეხება ისევ 26 მაისს, ხელისუფლება და ოპოზიცია, „ნაცმოძრაობას“ ვგულისხმობ, ვერ თანხმდება იმაზე, თუ როგორ და რა ფორმით უნდა აღნიშნოს დამოუკიდებლობის 22 წლისთავი. თქვენი აზრით, რამდენად პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამას?

— ამ შემთხვევაში მხარს ვუჭერ ხელისუფლების მოსაზრებას. საქართველოს საზეიმო და სააღლუმო არაფერი აქვს. ჯერ ერთი, სამხედრო თვალსაზრისით, ჩვენ არ ვართ ის ქვეყანა, რომელმაც უნდა ატაროს ასეთი ძვირადღირებული ღონისძიებები და მეორეც, ქართული არმია დღესდღეობით არის გაუნვრთნელი. ის, რომ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს არ შეუძლია ქვეყნის დაცვა, 2008 წლის აგვისტოს ომის პირველივე ხანებში გამოჩნდა — ჯარი, რომელსაც პრეტენზია აქვს ნატოს სტანდარტებზე, დღე-ნახევარში დამარცხდა. აქედან გამომდინარე, მე ვთვლი, რომ ასე სამარცხვინოდ დამარცხებულ **საქართველოს არაფერში სჭირდება ეს მოჩვენებითი პარაღები**. ამით ქვეყნის ღირსებას რამე კი არ ემატება, პირიქით, ეს უფრო

შეურაცხმყოფელია. ახლა ვილაცა იტყვის, რომ ამ ალუმს აქვს უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა და ა. შ. მაგრამ ეს არის ფსევდოპატრიოტიზმი. აი, სწორედ ამ ფსევდოპატრიოტიზმმა და მკერდზე მჯილის ცემამ მოგვიყვანა აქამდე. ჩვენ ჯერ მოსანანიებელი გვაქვს ძალიან ბევრი რამ, ვიდრე გადავდგამდეთ საზეიმო ნაბიჯებს. მოსანანიებელი გვაქვს თუნდაც ის, რომ შევარდნაძის დროს ომი წამოვიწყეთ აფხაზებისა და ოსების წინააღმდეგ. ამას რომ მივხედავთ და ჩვენს ძმებთან მისასვლელი პირი რომ გვექნება, მერე შეიძლება იფიქროს ალუმზე. **ახლა საქართველო, ჩემი აზრით, მგლოვიარე, დამწუხრებული სახელმწიფო უფროა, ვიდრე გაბრწყინებული და მოზიმიე.**

ესაუბრა ჯაბა ჟვანიძე

## ჩინოსკა აკუტაგავას ბაონათქვაები



- გონებას ყოველთვის რომ მივსდით, აუცილებლად მივალთ საკუთარი არსებობის უარყოფამდე.
- ყველაზე ხშირად ვამაყობთ იმით, რაც არ გვაქვს.
- ტყუილი — ეს გუშინდელი სიმართლეა.
- სინდისი მკაცრი ხელოვნებაა.
- ქორწინება სასარგებლოა გრძნობათა დასაოკებლად, მაგრამ სიყვარულის დასაოკებლად იგი უძლურია.
- მემკვიდრეობა, გარემო, შემთხვევითობა — აი ის სამი რამ, რაც მართავს ჩვენს ბედს.
- სინდისი არ ვლინდება ასაკის მიხედვით, როგორც წვერები. სინდისის შესაძენად საჭიროა გარკვეული გამოცდილება.
- ძლიერი გადადის მორალის ზღვარს, სუსტი ეფერება მორალს, ხოლო ის, ვინც მისდევს მორალს, ყოველთვის დგას ძლიერსა და სუსტს შორის.
- ბედისწერა გარდაუვალია ვიდრე შემთხვევითობა. ბედისწერა ადამიანის ხასიათში დევს.

- ადამიანური, გაცილებით ადამიანური — უმრავლეს შემთხვევაში ცხოველური.
- ყველაზე მძიმე დასჯაა, როცა არ გსჯიან.
- ცხოვრება ასანთის კოლოფივითაა: მისი ზედმეტად სერიოზულად აღქმა სისულელეა, ზედმეტად არასერიოზულად აღქმა — საშიში“.
- ძლიერ ადამიანს არ ეშინია მტრების, სამაგიეროდ ეშინია მეგობრების.
- შესაძლოა სინდისი მორალის წყაროა, მაგრამ მორალი არასოდეს ყოფილა წყაროდ იმისა, რასაც სინდისის მიხედვით სიკეთედ თვლიან“.
- ხელოვნება ყოველთვის რისკია.
- პროზას ლიტერატურაში ადგილი უკავია მხოლოდ და მხოლოდ მასში შემავალი პოეზიის ხარჯზე“.
- დესპოტს რომ დესპოტი უნოდო, ყოველთვის მოიცავდა საშიშროებას. დღევანდელ დღეს კი უფრო საშიშია მონას უნოდო მონა“.



# წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული

მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ანდრია პირველწოდებულის ხსენებას წელიწადში ორჯერ აღნიშნავს: 12 მაისს — საქართველოში მისი შემოსვლის დღეს და 13 დეკემბერს — წმიდა მოციქულის აღსრულების დღეს და წმინდანის სახელზე ყველა ტაძარში წირვა-ლოცვა აღევლინება.



წმ. ანდრიას, პეტრე მოციქულის ძმას, უფალმა იესო ქრისტემ პირველს მოუწოდა, ამიტომ მას ეწოდა პირველწოდებული. წმიდა ანდრიამ სიყრმიდანვე შეიყვარა უფალი და, როცა ისრაელში ქუხილივით გაისმა წმიდა იოანე ნათლისმცემლის ხმა, ნეტარი მოციქული მისი უახლოესი მოწაფე გახდა. მაცხოვრის გამოჩენისას წმიდა იოანემ ანდრიას და იოანე ღვთისმეტყველს მიმართა: **„აჰა, ტარიგი ღმრთისაი“**. ამ სიტყვებზე ორივენი თან გაჰყვნენ იესოს. შემდეგ კი ანდრია ძმასთან, პეტრესთან მივიდა, მესიის პოვნა ახარა, ისიც იესოსთან მიიყვანა და მას დაუმონაფა. ქრისტეს დამონაფებული ძმები კვლავ ჩვეულ საქმიანობას განაგრძობდნენ და თევზაობით ირჩენდნენ თავს. ერთხელ გალილიის ზღვის ნაპირას მიმავალმა მაცხოვარმა მოუწოდა მას: **„მოვედით და შემომიდეგით მე და გყვნი თქვენ მესათხევლე კაცთა“**. რის შემდეგაც ისინი განუყრელად თან ახლდნენ ძე ღვთისას და მისი სასწაულების, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის მოწმეებიც გახდნენ.

მაცხოვრის ამალლების შემდეგ, „რაჟამს წილ იგდეს მოციქულთა“ საქადაგებლად, ღვთისმშობელს ივერიის მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ, რადგან მისი მიცვალების ყამი მოახლოებული იყო, ძე ღვთისამ უბრძანა, იერუსალიმში დარჩენილიყო, საქართველოში კი

ანდრია პირველწოდებული გაეგზავნა თავისი ხელთუქმნელი ხატი. ყოვლადწმიდა ქალწულმა მოუწოდა წმინდანს და ღვთის ნება აუწყა, შემდეგ ფიცარი მოითხოვა, **„დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვისსა“**. ფიცარზე ღვთისმშობელი გამოისახა ყრმა იესოთი. ეს სინმიდე ზეციურმა დედოფალმა ანდრიას გადასცა და დიდ ღვანლს შემდგარი აკურთხა. წმიდა ანდრიამ გაიარა საბერძნეთი, მცირე აზია, შემდეგ კი შავი ზღვისპირეთს მიაშურა, **„შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების“**.

სოფელ დიდაჭარაში დღემდე შემონახული ტაძრის ნანგრევები, რომელიც, გადმოცემით, თავად წმიდა ანდრია პირველწოდებულს აუშენებია.

ნეტარს მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს ურწმუნოთაგან, მაგრამ ღვთისა და პატიოსანი ხატის მეოხებით ყველაფერი მადლობით დაითმინა, **„ვიდრემდის**

**ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანა სარწმუნოებად“**. იმ ადგილას, სადაც მოციქულმა ღვთისმშობლის ხატი დაასვენა, **„ფრიად შუენიერი და დიდი“** წყარო აღმოცენდა. ამ სასწაულმა მრავალ წარმართს გაუნათა გონება და შეუდგნენ ქრისტეს მაცხოვრებელ სწავლებას. მოციქულმა ახალმოქცეულთ დაუდგინა მღვდლები და დიაკვნები. **„დაუდგინა წესი და საზღვარი სარწმუნოებისა“**, აუგო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარი, სადაც ფიცარზე ზეციური დედოფლის ნაბოძები ხატიდან სასწაულებრივ გადასული ასლი დააბრძანა. ამის შემდეგ უფლის დააბრძანა. ამის შემდეგ უფლის რჩეულმა გადაიარა ფერსათის მთა და აქ ჯვარი აღმართა (სწორედ ამის გამო ეწოდა ამ მთას „რკინის ჯვარი“). მოციქული შემდეგ სოფელ აწყურში მივიდა, რომელიც ადრე სოსანგეთად იწოდებოდა. ამ დროს ამ მხარის გამგებელი იყო ქვრივი სამძივარი, რომელსაც ერთადერთი ვაჟი ჰყავდა.



სწორედ ამ დროს მას შვილი მოჰკვდომოდა. ქვრივს შეატყობინეს, რომ იქ იყო ერთი ადამიანი, რომელიც უცნობ ღმერთზე ლოცულობდა. ამ ცნობამ მას გულში იმედი ჩაუსახა და მოციქული თავისთან იხმო. წმიდა ანდრიამ ქვრივი დედაკაცის ერთადერთი ძე მკვდრეთით აღადგინა. გახარებულმა ქალმა მადლობით ირწმუნა უფალი იესო ქრისტე, თავის შვილთან ერთად მოინათლა და სამცხის მთავრებს წერილი მისწერა, ამ ამბავს ატყობინებდა და ყველას თავისთან იხმოებდა. **„პითარცა ესმა მისხთა აბზავი ესა საპირველი, მსწრაფლ შეპრბას ყოვლით კირქო და იძმნა სიმრავლე ერისა ფრიადი“.** მოვიდნენ საკერპოს მსახურნიც. ხალხი ორად გაიყო; ნაწილი იძახდა, „ჯერ არს თაყუანის-ცემად, რომელმა ესე ვითარი სასწაული აღასრულა“, სხვები კი კვლავ ცრუ ღმერთების ერთგულნი რჩებოდნენ. ცილობა რომ ჩაეცხროთ, გადაწყვიტეს, საკერპოში ღვთისმშობლის ხატი შეებრძანებინათ, შემდეგ კი კარი დაეხშოთ. მაცხოვრის მსასოებლებს — ქრისტეს მიმართ, კერპთმსახურებს კი — თავიანთი ღვთაებისადმი უნდა ელოცათ. დახშულ ტაძართან მცველები დააყენეს. დილით, როცა კარი გააღეს, ყველამ იხილა **„კირავი ძუეყანად დათხეულნი და სახად მტუარისა შემუსრვილნი, სოლო ხატი ყოვლადწმიდისა მართისმშობლისა ბრწყინვიდა, პითარცა მზე, დიდებითა და პატივითა“.** წმიდა ანდრიამ აწყურში მოაწყო ეკლესია და მცირე ეკვდერში ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი დაასვენა, შემდეგ კი ახალმოქცეულ სამწყსოს განეშორა და გზა განაგრძო: იყო კლარჯეთში, არტანუჯოლაში, პართეთში, სომხეთში, შემდეგ კი იერუსალიმში წავიდა.

იერუსალიმთან ანდრია სვიმონ კანანელთან და მათათასთან ერთად ისევ საქართველოში დაბრუნდა. ისინი ქართლში შევიდნენ, განამტკიცეს ქრისტიანობა და „დაჰყვნენ დასავლეთით, განვ-

ლეს ტაოს კერძო ქვეყანა ვიდრე ჭოროხამდე“, იყვნენ სამეგრელოსა და სვანეთში. სვიმონი და ანდრია აფხაზეთში წავიდნენ, „ხოლო დიდი ანდრეა სვიმონითურთ... შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა და უქადაგეს სიტყუა იგი ღუთისმეცნიერებისა და მრავალთა სიხარულით შეიწყნარეს ქადაგება იგი და მუნ დაუტევა ნეტარმან ანდრეა სვიმონ კანანელი სხვათა თანა მონაფეთა და თავად ჯიქეთისა ქუეყანად ავიდა“. ჯიქეთის მკვიდრმა მოსახლეობამ არა მარტო უარი განაცხადა მისი ქადაგების მიღებაზე, არამედ მოციქულის მოკვლაც კი გადაწყვიტა. მათი სიჯიუტე და უხეში გონება რომ დაინახა, მოციქულმა მიატოვა ისინი და წავიდა. წმიდა ანდრია მოციქული სკვითთა ქვეყანაში, დღევანდელ რუსეთშიც ყოფილა. მდინარე დნებრს აჰყოლია იმ ადგილამდე, სადაც ამჟამად ქალაქი კიევი მდებარეობს.

უკანასკნელი ქალაქი, სადაც მოციქულმა იქადაგა, პატრა (საბერძნეთი) იყო, წმიდანის ლოცვით ამ ქალაქში უამრავი ადამიანი მოექცა ქრისტეს სჯულზე, მაგრამ ქალაქის თავი ეგაეტი კვლავ ერთგული რჩებოდა ცრუ ღვთაებისა. უღმრთო ხელისუფალმა ბრძანა, ჯვარს ეცვათ უფლის რჩეული. წმინდანი სიხარულით შეხვდა განაჩენს და თავისით ავიდა ჯვარზე. ტანჯვა რომ გაეხანგრძლივებინა, ეგაეტმა ბრძანა, ძელზე კი არ მიეღურსმნათ, არამედ დაეკიდათ ნეტარი. წმიდა მოციქული ორი დღე ქადაგებდა ირგვლივ შეკრებილთა წინაშე. ბოლოს, წმიდანის მადლმოსილი სიტყვებით შეძრულმა ხალხმა მოითხოვა, ჯვრიდან ჩამოეხსნათ იგი. უღმრთო ეგაეტმა განკარგულება გასცა, გაეთავისუფლებინათ წმიდანი, მაგრამ ანდრიამ მხურვალედ შესთხოვა უფალს, ჯვარზე აღსრულების ღირსი გაეხადა. მეომრები დიდხანს ამოდ ცდილობდნენ მის ჩამოხსნას. წმინდანმა „აღიხილნა თუალნი ზეცად და მადლობა შესწირა უფალს და აკურთხნა მორწმუნენი იგი ჯუარსა დამოკიდებულმან“. და ასე,

ღვთისადმი მადლობით აღესრულა წმიდანი. ქალაქის მმართველის ცოლმა მოციქულის ცხედარს იფარა და ჩამოხსნა და პატივით მიაბარა მინას. რამდენიმე საუკუნის შემდეგ კონსტანტინე დიდის ზეობისას წმიდა მოციქულის უხრწნელი ნაწილები პატივით დაასვენეს კონსტანტინეპოლში და წმიდა მოციქულთა ტაძარში დააბრძანეს ლუკა მახარებლისა და ტიმოთე მოციქულის ნაწილთა გვერდით.

ხშირად, ჩვენი ისტორიის ავბედითობის გამო, ჩვენი ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა ეჭვქვეშ დგებოდა. ამის დასტურია წმიდა გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში აღწერილი ერთ-ერთი ეპიზოდი, სადაც წმიდა გიორგი ანტიოქიის პატრიარქის წინაშე შემდეგი სიტყვებით იცავდა საქართველოს ეკლესიის თვითმყოფადობას: „წმიდაო მეუფეო, შენ იტყვი, თავისა მის მოციქულთაისა პეტრეს საყდარზე ვზიო. ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი — სვიმეონს ვიტყვი კანანელსა — ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდებოდა. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ. და ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარგვიყოფიეს. და არცა ოდეს წუალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი, და ყოველთა უარისმყოფელთა და მწუალებელთა შევაჩუენებთ და დავსწყევთ. ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ“.

შევთხოვთ ჩვენს შემწესა და მფარველს წმიდა ანდრიას:

**წმიდაო მოციქულო, მოციქულთა უპირატეს წოდებულო ანდრია, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის, რათა სოფელსა მშვიდობა მოანიჭოს და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა!**



# დიდახის ორდენოსანი ვეტერანი იხსენებს

ეს სანდომიანი მოხუცი დღეს 90 წლის გახდა! სტუმრებს ნეტარი ღიმილით ხვდება, კოცნის და მიმართავს: კეთილი იყოს შენი მობრძანებაო! მართალია, ისააკ ედიშერაშვილს მცხეთის რაიონში თვალსაჩინო პარტიული თანამდებობები ეკავა, მაგრამ მას, ერთი ჭკუანაღრძობის მსგავსად, „კორუმპირებულობაში“ ვერ დავადანაშაულებ, მაშასადამე, „ჩარეცხილსაც“ ვერ ვუნოდებ, რადგან მისი სახლი არაფრით გამოირჩევა სხვა ძირძველი მცხეთელების საცხოვრებლისგან! 90 წელი იარო ღირსეულად დედამინაზე, იარო არა ფართო გზით, არამედ ვიწრო ბილიკებით, უკვე გამირობაა!



ისააკ ედიშერაშვილი (მარცხენი) ფრონტულ მებრძოლთან, გოგი თათვიძესთან ერთად, 1946წ.

„სანამ ძალა შემწევს, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, მწყობრში დავრჩები. მტერზე შური უნდა ვიძიო!“ — ეს სიტყვები დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიან დღეებში ტამანის ნახევარკუნძულზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ჩაბმულ ოცი წლის ისააკ ედიშერაშვილს ეკუთვნის. იგი სოფელ ბაქსის მახლობლად ჭურვის ნამსხვრევით დაიჭრა, მაგრამ არ დატოვა ცეცხლის ზღუდე. ამ ეპიზოდის აღწერისას, სახელგანთქმული ანაპის 414-ე ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოფილი მეთაური, პოლკოვნიკი (შემდგომში გენერალი) ვარლამ ჯანჯღავა მემუარებში — „ქერჩის პლაცდარმზე“ აღნიშნავს: **„ედიშერაშვილმა ჭრილობა შეიხვია, ძალ-ღონე მოიკრიბა და ბრძოლა განაგრძო. მალე მტრის ძლიერი აღმობრუნება, ძველის ლულა იპითკან მიმართა და სამი გასროლით შიგ მყოფი ფაშისტებიანად ამოგუბა გარდასართა ბუნაბი“.** „მწყობრში დავრჩები!“ — ეს სი-

ტყვეები, რომელიც მან გაჭირვების ჟამს უთხრა პირველი ოცეულის მეთაურს, გაისმა, როგორც სამშობლოსა და ხალხის ერთგულების ფიცი!

— პირველი სადღეგრძელო უფლისაა! — ახსენებს სტუმრებს ქართული სუფრის ურყევ ტრადიციას ბატონი ისააკი. — ღმერთმა დაიფაროს საქართველო!

ისააკ ედიშერაშვილი დაიბადა 1923 წლის 27 მაისს მცხეთის რაიონის სოფელ ზაქაროში, შეძლებული გლეხის, ლევან ედიშერაშვილის ოჯახში. დედამისი — პელაგია ქართველი დედის საუკეთესო თვისებების მქონე ქალბატონი იყო. ოჯახში ოთხი შვილი იზრდებოდა — ნინო, ელენე, ეფრემი და ისააკი.

— თავის დროისათვის, მამა მდიდარი კაცი იყო, — იხსენებს იუბილარი. — როცა კოლექტივი ჩამოყალიბდა, მან თავისი ნებით ექვსი სული ხარკამეჩი ჩააბარა საერთო საკუთრებაში და საკუთარი სახლის ნაწილი, სოფლის ოთხწლიან სკოლას დაუთმო. კოლმეურნეობის შე-

ქმნამ ჩემი სოფლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად გააუმჯობესა! მერე, ქვეყანა რომ დაინგრა, მოვიდა ერთი ჟურნალისტი. იქიდანაც მომადგა, აქედანაც. ერთი სული ჰქონდა, კოლმეურნეობაზე რამე ცუდი მეთქვა. ბოლოს ვუთხარი: შვილო, ჩემგან ტყუილს ვერ მოისმენ და, რასაც დანერ, შენ სინდისზე იყოს-თქო.

ისაკის ძმა, სოფლის ბრიგადირი — ეფრემ ედიშერაშვილი 1942 წელს გამირულად დაიღუპა ქერჩთან. იმავე 1942 წელს კომკავშირელი ისააკ ედიშერაშვილი, ბაქოს ქვეითთა ორწლიან სასწავლებელში 26-დღიანი წვრთნის შემდეგ გაგზავნეს მოქმედ არმიამი. ფაშისტები მოზდოკს უახლოვდებოდნენ, სასწავლებლის კურსანტთა ჯგუფი, რომელშიც მასთან ერთად შედიოდა მისი მეგობარი, ქარელელი ნიკოლოზ ვგნატაშვილი, ჩარიცხეს 62-ე საზღვაო ნითელდროშოვან ბრიგადაში. ისააკი გახდა 76 მილიმეტრიანი ქვემეხის მემიზნე, მოგვიანებით

კი — ქვემეხის მეთაური და ბატარეის კომორგი. პიატიგორსკის განთავისუფლებისას იგი უკვე სერჟანტი იყო. მარტში ედიშერაშვილი ჩარიცხეს 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის 1.367 პოლკის ბატარეის პირად შემადგენლობაში. აქვე მიიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში.

ისააკ ედიშერაშვილმა მტრის ბევრი კონტრიერში მოიგერია ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებთან. თავისი ქვემეხით მან ფაშისტთა სამიტანკი მოსპო, რისთვისაც დაჯილდოვდა უაღრესად საპატიო მედლით — „მამაცობისათვის“.

ბატონმა ისააკმა ყირიმის განთავისუფლებაშიც მიიღო მონაწილეობა. სევასტოპოლთან ბრძოლის დროს გაანადგურა მტრის ქვემეხი, ხუთი დაზვის ტყვიამფრქვევი, დაანგრია რამდენიმე ძელმინური, საცეცხლე წერტილი, მოსპო ასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ამისათვის ქართველი მებრძოლი „დიდების“ III ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

414-ე დევიზიამ გაათავისუფლა სტანიცა იასენსკაია, შევიდა ქალაქ ეისკში და აქაც ქვემეხის მეთაურმა გამოიჩინა მხედრული მამაცობა. ისააკ ედიშერაშვილმა ომი რუმინეთში დაამთავრა.

1947 წელს დემობილიზაციის შემდეგ გმირი დაბრუნდა საქართვე-

ლოში, მშობლიურ მცხეთაში. აქ დიდი და პატარა იცნობდა მამამისის — ლევან ედიშერაშვილის ოჯახს.

1948 წელს ისააკი დაქორწინდა ქეთო მამუკაშვილზე. შეეძინათ ორი ვაჟი: ნოდარი და ავთანდილი, და ერთი ქალიშვილი — ნელი. სამწუხაროდ, ნოდარი გარდაიცვალა 25 წლის ასაკში. ავთანდილს ჰყავს ორი შვილი, ნელის კი — ერთი. აღსანიშნავია, რომ ნელის მეუღლე სახელგანთქმული ქირურგი, რუსეთის სამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი, ზურაბ ბერიაშვილი. მიუხედავად ამისა, ბატონი ზურაბი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს, 1992-93 წლებში, ჩამოვიდა სამშობლოში და უამრავი ოპერაცია ჩაუტარა ქართველ მებრძოლებს და ბევრ მათგანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეუნარჩუნა. იგი „ოქროს სკალპელის“ მფლობელია. მთელ რუსეთში ასეთი ჯილდო მხოლოდ ათ ადამიანს აქვს მინიჭებული.

ბატონ ისააკს განსაკუთრებით უყვარს თავის რძალი, ლუიზა ჭანუყვაძე.

— დღეს რომ ცოცხალი ვარ და თავს კარგად ვგრძნობ, ჩემი ლუიზას დამსახურებაა, რომელიც ზრუნვას არ მაკლებს, — ამბობს ვეტერანი და რძლის სადღეგრძელოს „განსხვავებული“ სასმისით მიირთმევს.

ომის შემდგომ წლებში ისააკ ედიშერაშვილის საბრძოლო დამსახურება არ დაივიწყეს კრასნოდარის მხარის მცხოვრებლებმა. 1967 წლის 22 ოქტომბერს ეისკის რაიონის სტანიცა იასენსკაიას მოსახლეობის საერთო კრების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ისააკ ედიშერაშვილი აირჩიეს სტანიცა იასენსკაიას საპატიო მოქალაქედ. საპატიო მოქალაქის მონიშვნას ხელს აწერს კრასნოდარი მხარის მამინდელი ხელმძღვანელი ი. მოროზოვი. სწორედ ამ პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი მცხეთისა და ეისკის რაიონების დაძმობილებას, მეგობრულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობას.

— ძმობისა და მეგობრობის ხიდი საქართველოსა და რუსეთს შორის არ უნდა ჩატყდეს, — აღეგებით ამბობს ბატონი ისააკი, — მცხეთელთა და კრასნოდარელთა ეს მეგობრობა, ვიმედოვნებ, აუცილებლად აღდგება. ამ საქმის ინიციატორობას მე ჩემს თავზე ავიღებ!

ომისა და შრომის ვეტერანი მიესალმა „ქართული ოცნების“ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას და დარწმუნებულია, რომ პრემიერი ბიძინა ივანიშვილი შეძლებს საქართველოს აღორძინებას.

— ოცი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი სააკაშვილის მმართველობისას, საქართველოს — საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უმდიდრესი რესპუბლიკის ეკონომიკა გაცამტვერებულია. ამიტომ ძალზე მიკვირს ზოგიერთის წუნუნე, რატომ სწრაფად არ უმჯობესდება ჩვენი ცხოვრებაო. თქვე დალოცვილებო, მოთმინება იქონიეთ და ეს ადამიანი თანდათანობით ყველაფერს მოაწესრიგებს. ნგრევა ადვილია, აი, აშენებაა ძნელი. დროა საჭირო!

დღესაც დიდი სამამულო ომის ვეტერანი — ისააკ ედიშერაშვილი მხნედ განაგრძობს შრომას. იგი მცხეთის რაიონის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარეა და ძალღონეს არ იშურებს, რომ ამ საყოველთაო სიღუბნის დროს მცხეთელ ვეტერანებს ცხოვრება შეუმსუბუქოს.

**პიორბი კორაკაძე**



**მცხეთის დელეგაცია ეისკის რაიონში. მარცხნიდან მეთორე — ისააკ ედიშერაშვილი, მესამე — პროფესორი სარგო თევდორაძე ეისკის რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად**





# ტყვე ფაშისტების სამარცხვინო მსვლელობა მთელი მოსკოვის გავლით

## 1944 წლის 17 ივლისი...



გერმანელი ტყვეები ყირიმის ხილზე გადაყვანის დროს

9 მაისს, გამარჯვების დღეს, მოგონებებით არის გამსჭვალული ყველა და ყველაფერი.

მოგონებები გვეხმარებიან. ხალხში ამბობენ: „როდესაც არ იცი ნარსული, ახალს ვერ შექმნი“.

და სშირად მოგონებები მხოლოდ უბრალო ხმა როდია. ეს არის ხალხის თავისებური ხმა, ხალხის მკაცრი ხსოვნა.

და როდესაც დიდი სამამულო ომის მოგონებების ფურცლებს შლიან, ადამიანები იგონებენ 1944 წლის 17 ივლისს.

ამ დღეს მოსკოვის ქუჩებში საბჭოთა ჯარისკაცთა ბადრაგის თანხლებით ჩაატარეს გერმანელი ტყვეები: გენერლები, ჯარისკაცები, ოფიცრები.

ისინი ბევრნი იყვნენ — 57 ათასზე მეტნი. ეს მხოლოდ ისინი და მხოლოდ ის ნაწილი ტყვეებისა, რომლებიც საბჭოთა მეომრებმა

ცნობილი ოპერაციის — „ბაგრატიონის“ დროს დაატყვევეს.

გუშინ ისინი მოსკოვის დაპყრობაზე ოცნებობდნენ, იმ დღეს კი ფაშისტებმა სამარცხვინოდ ჩაიარეს მოსკოვის ქუჩებში.

ზეიმობდა მოსკოვი.  
ზეიმობდა მთელი ხალხი.

ზეიმობდა არმია, ფლოტი, ავიაცია...

**ათასობით მოსკოველი მონმე გახდა ტყვე ფაშისტების სამარცხვინო მსვლელობისა მთელი მოსკოვის გავლით.**

**მიაბიჯებდნენ გენერლები — კოლონის წინა რიგებში 19 გერმანელი გენერალი...**

**მიაბიჯებდნენ რიგითი ჯარისკაცები...**

**მიაბიჯებდნენ ოფიცრები...**

მიაბიჯებდნენ ახალგაზრდები და ხანდაზმულები. ისინი მოდიოდნენ ფართო მწკრივებად. ყო-

ველ მწკრივში ოცი კაცი იყო. ერთი საათია, რაც მოდიან, ორი საათია... სამი — მოდიან და მოდიან.

მერე მოიგონებენ მრავალგზის: როდესაც ნაკადის თავი მაიაკოვსკის მოედანზე უხვევდა, ბოლო ჯერ კიდევ ლენინგრადის გზატკეცილზე იჭიმებოდაო.

სამარცხვინო ნაბიჯებით მიდიოდნენ სამხედროები, რომლებსაც უნდოდათ, სხვაგვარად შესულიყვნენ მოსკოვში.

ტყვეთა უკანასკნელ რიგებს მიჰყვებოდა წყლიანი ცისტერნებისა და სარეცხ მანქანათა კოლონა, რომელიც მაშინვე რეცხავდა ტყვეთა ნაკვალევს ქუჩებსა და მოედნებზე.

მანქანები ქუჩებს, მოედნებს რეცხავდნენ...

მაგრამ ხელებსა და სულს ფაშისტთა ტყვეებისა, რომლებიც მრავალ დანაშაულს გაეზინძურებინა, ვერ გარეცხავდა მდინარის ნაკადიც.

ხალხი აღმფოთებით უყურებდა მტრებს.

ბევრი იგონებდა მათ მიერ ჩადენილ საშინელებებს.

მეხსიერებაში ცოცხლდებოდა ადამიანების არაჩვეულებრივი ბედ-ილბალი, გამირული საქციელი. მძიმედ დაჭრილი საბჭოთა ჯარისკაცი ტყვედ როგორ ჩაიგდეს, იგი ბოლომდე ფიცის ერთგული დარჩა, სასტიკი დაკითხვის დროსაც კი.

მამაცი ჭაბუკი დუმდა. საშინელია ეს დუმილი...

მაგრამ არ დუმდნენ ფაშისტები...

იგი ბლინდაჟის კედელზე გააკრეს, ხელებსა და ფეხებში ლურსმენები ჩაურჭეს...

ასე იქცეოდნენ გარეწრები.

ჯვარცმულმა მეზრძოლმა ჭაბუკობიდან უკვდავებაში გადააბიჯა. და ბევრი იყო ასეთი!

ხალხს ყველაფერი ახსოვდა. ხალხის მესხიერება მკაცრია. და ყველა აღშფოთებით, რისხვით, ზიზღით უყურებდა, როგორ მიდიოდნენ ქუჩაში ფაშისტები.

ერთ-ერთ ქუჩაზე ხალხიდან გამხდარი ქალი გამოვარდა. სახე დანაოჭებული ჰქონდა. იგი ოფიცერთა კოლონასთან მიიჭრა.

— მკვლელებო! — მთელი ხმით შეჰყვირა მან.

ბავშვის ხელებმა შეაჩერა იგი. თურმე გერმანელებმა სმოლენსკში მთელი მისი ოჯახი ამონყვიტეს — ვაჟიშვილი, რძალი და სამი შვილიშვილი.

ქუჩაში გამოსულები იგონებდნენ: ომის დასაწყისში კონტუზირებული, უგონო მდგომარეობაში შეიპყრეს ჰიტლერელებმა საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი კარბიშვილი. იგი სამხედრო-საინჟინრო საქმის დიდი სპეციალისტი იყო და ფაშისტები ყოველნაირად ცდილობდნენ, გადაეხრებინათ. ისინი სთავაზობდნენ სახარბიელო წინადადებებს, მაგრამ ამაოდ. ბანაკში ერთმანეთს გადასცემდნენ მის მგზნებარე სიტყვებს: „არასოდეს გააკეთო ის, რაც მტერს უნდა; გააკეთე ის, რაც მას არ სურს“.

გადაწყდა, მოესპოთ საბჭოთა



გენერალი. ღამით თებერვლის ცინვაში გააშიშვლეს და მას სახანძრო შლანგით ასხამდნენ წყალს, სანამ ადამიანი ცინულის ლოდად არ იქცა...

კაცი ლეგენდად იქცა. მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ათასობით მოსკოველი იდგა ტროტუარებზე, აივნებზე, ტრამვაისა და ტროლეიბუსების სახურავებზეც კი, რომ ეცქირათ გერმანელი ტყვეებისთვის.

ხალხის მძვინვარება ზიზღითა და სიძულვილით იყო აღსავსე.

ადამიანები ყვიროდნენ: მკვლელებო! წყეულო მკვლელებო!

და ახსენდებოდათ იოსებ ბესარიონის ძე **სტალინის** ბრწყინვალე სიტყვები, თქმული ომის წლებში: **„და ამ ადამიანებს, რომლებსაც სინდისი და პატიოსნება დაუკარგავთ, ადამიანებს, რომლებსაც პირუტყვის მორალი აქვთ, კადნიერება ჰყოფნით, მოუწოდონ დიდი რუსი ერის მოსპობისკენ, პლენანოვისა და ლენინის ერის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის, პუშკინისა და ტოლსტოის, გლინკასი და ჩაიკოვსკის, გორკისა და ჩეხოვის, სერენოვისა და პავლოვის, რეპინისა და სურვიკოვის, სუვოროვისა და კუტუზოვის ერის მოსპობისკენ...“**

ყველა საბჭოთა ადამიანს, რომელიც ქუჩაში გამოვიდა იმ დღეს, კარგად ახსოვდა ისტორიის ფურცლები: 1941 წლის ოქტომბერში მოსკოვთან განცდილი მარცხის შემდეგ ფაშისტები ახალი იერიშისთვის ემზადებოდნენ.

ტყვე ფაშისტებმა, რომლებიც ბადრაგით მიჰყავდათ, კარგად იცოდნენ თავიანთი ფიურერის ბრძანება: **„ჯარისკაცებო! ჩვენ წინ მოსკოვია! ორი წლის ომის განმავლობაში კონტინენტის ყველა დედაქალაქმა ქედი მოიხარა ჩვენ წინაშე, ჩვენ მწყობრი ნაბიჯით გავიარეთ საუკეთესო ქალაქების ქუჩები. დარჩა მოსკოვი. აიძულეთ იგი, დაიჩოქოს, უჩვენეთ ჩვენი იარაღის ძალა, გაი-**



ბალორუსიის ოპერაციის დროს საბჭოთა ჯარებმა ვერმანების 47 ბანერლიდან, რომლებიც კორპუსებსა და დივიზიებს მეთაურობდნენ, 21 ტყვედ აიყვანეს. 19 მათგანი მოსკოვში გერმანულ ტყვეთა მრავალათასიანი კოლონის წინა რიგებში მიაბიჯებდა.



რეთ მის მოედანზე. მოსკოვი — ეს ომის დასასრულია. მოსკოვი — ეს დასვენებაა. წინ!“.

ფაშისტები ჩვენი გულის — მოსკოვის ქუჩებსა და მოედნებზე მიაბიჯებდნენ...

მაგრამ მიაბიჯებდნენ თავს-ლაფდასხმულნი, დამარცხებულნი, ჩვენი მამაცი ჯარისკაცების ბადრაგით.

ბორის პოლევოი 19 ივლისს „პრავდაში“ წერდა: „ამ წუთს მე კვლავ გამახსენდა გერმანული ფილმი, სადაც უკანასკნელ კადრში გერმანელებს ჰპირდებოდნენ, რომ მალე გამართავდნენ პარადს მოსკოვში.“

**„პარადი“ შედგა, მაგრამ ძალზე გვიან და სულ სხვაბ-ვახად, ვიდრე ამას გერმანე-ლები ფიქრობდნენ“.**

1944 წლის ივლისში მთელი ჩვე-ნი ქვეყანა უყურებდა დოკუმენ-ტური კინოქრონიკის კადრებს ამ ფაქტთან დაკავშირებით.

ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ იულიუს კეისარი და ალექ-სანდრე მაკედონელი სახით იც-ნობდნენ ყველა თავის ჯარისკაცს და ყველას სახელი იცოდნენ — თითქმის 30.000 კაცამდე. იგივე უნარი ჰქონდა სპარსეთის შაჰს — კიროსს. სახელით და პირადად იცნობდა თითოეულს საბერძნე-თის დედაქალაქის მცხოვრებთა-გან 20 ათასს სახელგანთქმული ფომესტოკლე.



**გერმანულ ტყვეთა მარში — ეს იყო ბელორუსიაში გერმანელთა ჯარების განადგურების დემონსტრირება საბჭოთა ხალხისათვის და ასევე მოკავშირეებისთვის, რომელთაც არ სჯეროდათ წითელი არმიის ქლებამოსილების.**

ეს ფენომენალური მეხსიერება დიდი ნიჭია. ხალხსაც აქვს ასეთი უკვდავი მეხსიერება. და **ადამიანებს, რომლებიც 1944 წლის 17 ივლისს გამოვიდნენ მოსკოვის მთავარ ქუჩაზე, დიდხანს არ დაავიწყდებათ ჩვენი მოსისხლე მტრების, ყველა 57 ათასის... სახეები და თვალები.**

არც ისე დიდი დრო გავა და ბერ-ლინზე იერიშს მიიტანენ ადამიანები, ტანკები, ზარბაზნები...

ბერლინზე ნავლენ ნაბიჯ-ნაბ-იჯ. ნავლენ, ბერლინს ცეცხლს დაუშენენ და გაიმარჯვებენ.

ლეგენდარული ჯარისკაცები — ეგოროვი და ქანთარია გამარჯვე-ბის წითელ დროშას აღმართავენ რაიხსტაგზე.

გაიმარჯვებენ და გაიხსენებენ: რამდენი სისხლი და რამდენი ცრემლი აქვს დაღვრილი სამშობ-ლოს, რამდენი მსხვერპლია გაღე-ბული...

ყველაფერი ეს კარგად ახსოვს ხალხს.

განსაკუთრებით დიდი სამამუ-ლო ომის მონაწილეებს, რომლე-ბიც ახლაც ცოცხლები არიან. და მათთვის ეს მოგონება მათი ცხოვრების ძალაა, მათი ცხოვრე-ბის პოეზიაა...

ჩვენი ხსოვნა მარადიულია... ყოველი ადამიანი მოკვდავია. იტყვიან: დაიბადნენ, იცხოვრეს, უყვარდათ, სძულდათ, დაიხოც-ნენ.

და ყველას შეუძლია დაუმატოს: **სწამდათ!**

**სწამდათ და გაიმარჯვეს! გაიმარჯვეს და სწამდათ!**

ura9may.livejournal.com-ის მიხედვით



# გათოვის რედაქცია წარსულად

ომი დასრულდა. ჯარისკაცები ოჯახებს დაუბრუნდნენ, ქრილობებიც მოიშუშეს და ცხოვრებაც თითქოს ჩვეულ რიტმში ჩადგა, მაგრამ იყო კიდევ ერთი და მთავარი პირშეუკვრელი იარა, რომლის გაძღვებაც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო აუტანელი გახდა — ეს იყო ფრონტელი მეგობრების მონატრება. ომგამოვლილ ჯარისკაცებს დალუპული თანამებრძოლების ადგილის დედა ეძახდათ...

უამრავი წერილი იწერებოდა და იგზავნებოდა ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორეში. სამამულო ომის თემაზე გამოქვეყნებული არც ერთი პუბლიკაცია თუ პატარა ცნობა მკითხველებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ.

ამის დასტურია თუნდაც ეს ერთი საგაზეთო სტატია, რომელიც 1980 წლის 9 მაისის გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა.

## არდაშიშვება

„კომუნისტში“ ამას წინათ დაბეჭდილ წერილს „მამის ხსოვნა“ უამრავი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგმა ლ. ანთაძის მიერ სამო საფლავებზე ამოკითხულ გვარებში თავისი ახლობლები შეიცნო, ზოგს კი სურვილი აღედგრა თავისი ძვირფასი ადამიანი ეპოვა და უფრო დაწვრილებითი ცნობების მისაღებად რედაქციას დახმარებისათვის მომართა.

ამაღელვებელი წერილი გამოგვიგზავნა ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთიდან ლამარა ჟიჟილაშვილი-იმნაიშვილიმა. აი, რას იწერება იგი: „კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში ვცხოვრობდი. მყავდა ძმა **ყარამან ჟიჟილაშვილი, 1920 წელს დაბადებული, სწავლობდა საინჟინრო ფაკულტეტზე. ომის დაწყების პირველსავე წელს იგი სამამულო ომში გაინვიეს. 1943 წლის 12 თებერვლამდე მის წერილებს ვიღებდით. 1943 წლის აპრილში მამაჩემი სასოფლო საბჭოში დაიბარეს და ჩემი ძმის დალუპვის ცნობა გადასცეს. იგი კურსკისა და ორიოლის ბრძოლებში დალუპულა. მამაჩემმა ეს ამბავი დედას დაუმალა, დაე, ელოდოსო. იგი ისე გარდაიცვალა, შვილის უბედურება არც გაუგია. მამამ კი ჩემი ძმის წერილები და დალუპვის ცნობა სამარეში ჩაიტანა“.**

„ვიპოვეთ მამის საფლავი, — გვწერს ვანის რაიონიდან ტაბიძის სახელობის საშუალო სკოლის პედაგოგი ჟუჟუნა გიორგაძე, — ამ საქმეში დიდი დახმარება გამინია ერთმა კალუგელმა რუსმა ქალმა, რომელსაც ბათუმში დასასვენებელ სახლში შევხვდი. მას ვუამბე, რომ **მამაჩემი კალუგის ახლოს ლუდნოვოს მიდამოებში იბრძოდა და, აგერ ოცდაათ წელზე მეტია, მისი საფლავისათვის ვერ მიგვიგნია-მეთქი. იგი დახმარებას დამპირდა. მართლაც, სულ მალე დეპეშა მივიღეთ, რომელსაც ხელს აწერდა გადამდგარი გენერალი ივანე დიმიტრის ძე კაშკინი. მან დიდი ზრუნვა გამოიჩინა ჩვენდამი, მოგვაძებნინა მამის — **ვასილ სპირიდონის ძე გიორგაძის** უკანასკნელი ადგილსამყოფელი. კალუგიდან ას კილომეტრზე, სოფელ ზაპრუდნოეს ძმათა სასაფლაოზე მამაჩემთან ერთად 1514 მეომარია დაკრძალული. იმ გულთბილმა მიღებამ, რომელიც იქ ჩვენ ადგილობრივმა მოსახლეობამ გაგვინია, დარდი შეგვიმსუბუქა“.**

გერმანელ ფაშისტებზე გამარჯვების 35-ე წლისთავის დღეებში რედაქციაში მრავალი წერილი მოდის. მათი ავტორები, სამამულო ომის ვეტერანები არ ივინყებენ დალუპულ თანამებრძოლთან გამირობას და გვთხოვენ მათ შესახებ ვუამბოთ ჩვენს ხალხს.

ქალაქ ქერჩიდან გაზეთ „კერჩინსკი რაბოჩის“ კორესპონდენტმა პ. ოლეინიკოვმა გაზეთის ის ნომერი გამოგვიგზავნა, რომელშიც სამამულო ომის ვეტერანის ვ. ლიპატოვის წერილია („პარტიული კრებიდან — ბრძოლის ველზე“) გამოქვეყნებული.

„და აი, დაიწყო გააფთრებული ბრძოლა, მტრის გაძლიერებული ძალები წინ მოინევენ, ბატარეის მებრძოლები ფაშისტებს დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ, მათი ექვსი ტანკი გამოიყვანეს მწყობრიდან, მტერმა პოზიციიდან უკან დაიხია, მაგრამ ამ ბრძოლაში მძიმე დანაკლისი განვიცადეთ. ბრძოლის ველზე გმირული სიკვდილით დაცა ბატალიონის უფროსი **კაპიტანი დ. ი. აფრილონიძე და 30-მდე ჩვენი მეომარი“.**

უკრაინიდან, ხმელნიცკის ოლქის სოფელ მოსპალიოვკადან გადამდგარი უფროსი **ლეიტენანტი ალექსანდრე კოზირიოვი** ეძებს თავის ფრონტელ მეგობარს **ბრიგოლ ქანთარას, რომელთანაც ერთად იბრძოდა 122-ე მსრუტელი დივიზიის 715-ე პოლკში.** „ჩეხოსლოვაკიაში, მდინარე დრავას გადალახვისას გრიგოლ ქანთარია მძიმედ დაიჭრა, — იწერება იგი, — მას შემდეგ აი უკვე 35 წელი გავიდა, და მისი არაფერი ვიცი. იქნებ ცოცხალია ჩემი ფრონტელი მეგობარი და გამომეხმაუროს“.

სადაც უნდა იყოს საბჭოთა ადამიანი, გულგრილად ვერ ჩაუვლის უცხო მიწაზე დალუპულთა საფლავებს. თვითონ ხომ პატივისცემით თავს მოიხრის სამშობლოს თავისუფლებისთვის დალუპულთა წინაშე, გვარებსაც ამოიწერს და გამოგვიგზავნის, იქნებ პატრონმა არაფერი იცის მათი ადგილსამყოფლისა და გაზეთის საშუალებით გაიგოსო.

„ბელორუსიაში, ქ. მოგილიოვის ახლოს არის პარტიზანთა სამო საფლავი, — გვატყობინებს ნოდარ მუმლაძე, — სადაც 42 კაცია დაკრძალული. მათ შორის ორი ქართველი“.



ლია — **ტაბილ კუპრაშვილი და სევერიან კალანდაძე**“.

სამამულო ომის ვეტერანი, ხაშურელი **ალექსანდრე ლომიძე** გვწერს: „ამას წინათ ჩემმა ფრონტელმა მეგობარმა ალექსანდრე გონჩარმა წერილი გამოგზავნა, იგი გვთხოვს, გაზეთში გამოვაქვეყნოთ ცნობა იმის შესახებ, რომ მათ სოფელში — ხარკოვის ოლქის ბარვენკოვოს რაიონის სოფელ გლუშევანოში ძმათა სასაფლაოზე განისვენებს ქართველი **ა. ვ. პანუაშვილი** (იქნებ პაპუაშვილი), რომელიც 1942-1943 წლებშია დაღუპული“.

„როგორც იქნა, დიდი ძებნის შემდეგ მივაკვლიე ჩემი ძმის, **ალექსანდრე ბრიგოლის ძე გაბრიჩიძის** საფლავს, — ვკითხულობთ სამამულო ომის ინვალიდის მიხეილ გაბრიჩიძის წერილში, — **იგი კრასნოდარის მხარის ქ. კრიმსკის საძმო სასაფლაოზეა დაკრძალული**. იქ ასობით მეტროლი განისვენებს. მათ შორის 42 ქართველია. აი მათი გვარები: **უმცროსი ლეიტენანტი ა. ბ. ზარიძე, რიგითი გ. ი. ზუკაკიშვილი, გ. ი. გოგინაშვილი, ა. გ. ქეხნიშვილი, გ. ე. ბარნაძე, გ. ლ. ბოჭორიშვილი, ე. ბ. გუგუშვილი, გ. ი. გიუნაშვილი, ი. ტ. ლამბაშიძე, გ. ე. ჯოჯუა, შ. მ. ქარუმაშვილი, ი. დ. ლაბაძე, ი. ტ. ხიტაური, ა. ა. ლომიძე, ს. დ. ლომიძე, მ. კ. მურზანიძე, მ. კ. ობოლაშვილი, ა. გ. გოლიშვილი, ა. ბ. ფანჩიძე, ვ. ვ. რაზმაძე, დ. გ. ნინიკაძე, მ. გ. ჩანჩიბაძე, ს. პ. ზაქარიშვილი, დ. ი. იამანიძე, ლეიტენანტი დ. ი. სიხარულიძე, ა. შ. თევზაძე, ვ. ე. რაზმაძე, ი. ლ. ჩიხლაძე, ვ. ი. ბურჯანაძე, გ. ე. ბაქრაძე, მ. გ. რუხაძე, ა. ლ. ტაბატაძე და სხვ.**“

ბორჯომის რაიონის სოფელ საკირედან ჟენია ბეშკენაძე გვწერს: „1944 წლის 9 ივლისს ბელორუსიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპა მამაჩემი **ნიკოლოზ სანდროს ძე ბეშკენაძე**. შვილები დიდხანს ვეძებდით მის საფლავს და ბოლოს მივაკვლიეთ, — ვიტებსკის ოლქის ლეპელის რაიონის სოფელ კამენში. მას შემდეგ ეს სოფელი ჩვენი ოჯახის მეორე სამშობლო გახდა. ამ საძმო სასაფლაოზე მამაჩემთან ერთად მეორე ქართველია დაკრძალული — **სამ-**



**სონ იასონის ძე ბასილაძე**, რომელიც 1920 წელს ყოფილა დაბადებული. კარგი იქნება, მისმა ახლობლებმა გაიგონ ეს ამბავი.

„**ქ. კენისბერგის ძმათა სასაფლაოზე ამოვიკითხე ორი ქართველის ი. ა. დურგლიშვილისა და თ. თ. ბუნისა** გვარები, ისინი 1944 წლის 10 აპრილს დაღუპულან“, — გვწერს ვ. გუჯაბაძე.

ჩვენი მკითხველები დიდად ენდობიან გაზეთს, სწამთ, რომ გაზეთის დახმარებით შეუძლიათ მიაკვლიონ თავიანთ ძვირფას ადამიანს, თუნდაც მასზე ძუნწი ცნობები ჰქონდეთ.

თავისი ძმის — **გიორგი აბოს ძე ციციშვილის** ამბის გაგებას გვთხოვენ ლენინის ორდენოსანი პენსიონერი მასწავლებლები მარგალიტა და ოლა ციციშვილები. „ჩვენი ძმა — გვწერენ ისინი, — წითელ არმიაში 1938 წელს იყო განვეული, იგი მესაზღვრეთა რაზმში, ქ. პერემილში მოხვდა. 1941 წლით დათარიღებულ მის უკანასკნელ ბარათს სწორედ ეს მისამართი ჰქონდა. მას შემდეგ ძმისა არაფერი ვიცით, იქნებ ვინმე გადაურჩა იმ ბრძოლებს და გაგვაგებინოს, რა ვითარებაში დაიღუპა იგი“.

თავისი სიყრმის მეგობრის გიორგი (ხუტა) გერასიმეს ძე მელაძის თანამებრძოლთა მოძებნას გვთხოვს თბილისელი აბესალომ სამსონია. **გიორგი მელაძე** 1920 წელს ყოფილა დაბადებული ნულუკიდის

რაიონის სოფელ მათხოჯში. იგი 1939 წელს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. კიევში იყო, გამოდიოდა წითელარმიელთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში. მასთან ერთად ამ ანსამბლში გაერთიანებული იყვნენ **დინამიჯია, არაქელიანი, მიქაბარიაშვილი, ძაძაძე**.

სხვა წერილში იგი იწერება, რომ მასთან ერთად მსახურობდნენ **ქოსტა ბუნცაძე, თ. გაძრაძე, კაპო რუხაძე**.

დაიწყო ომი და გიორგიზე მეტი არაფერია ცნობილი, იქნებ იმ ამხანაგებიდან ვინმე გადაურჩა ომს და რაიმე ახსოვთ გიორგი მელაძის შესახებ.

ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანის საშუალო სკოლის დირექტორი შოთა ქინქლაძე თავისი უფროსი ძმის, **ლეიტენანტ გიორგი ძინქლაძის** თანამებრძოლთა მოძებნას გვთხოვს. თავის უკანასკნელ წერილში, რომელიც 1942 წლის 7 იანვრით არის დათარიღებული, გიორგი დედას ატყობინებდა, რომ ნოვოროსისკში იბრძვის, წერილი გამარჯვების რწმენით იყო აღსავსე.

ფოსტას წითელკვალმადიებელთა უამრავი წერილი მოაქვს. ისინი გვთხოვენ, დავეხმაროთ მათი ქალაქისთვის დაღუპულთა თუ საძმო სასაფლაოზე დაკრძალულ მეომართა ვინაობის დადგენაში.

**ლ. სუბულური**

# აჯიშუკაის ქვები ღაღაღებენ

(აჯიშუკაის მიწისქვეშა ბარნიზონის ვეტერანის - მიხეილ ბაინდურაშვილის მოგონება)

1942 წლის მაისის დასაწყისში ფაშისტებმა ქერჩთან მძაფრი შეტევა წამოიწყეს, სხვა ფრონტიდან გადმოსროლილი ჯარებისა და სამხედრო ტექნიკის გამოყენებით უპირატესობა მოიპოვეს. ჩვენმა ჯარებმა უკანდახევა დაიწყეს. მდგომარეობა მეტად დაიძაბა, უკანდახეული ჩვენი ჯარების დიდ მიწაზე გადაყვანის საშუალებანი საკმარისი არ იყო. გადასასვლელთან აქტიურად მოქმედებდა მტრის ავიაცია, იგი სისტემატურად ბომბავდა გემებს, რომლებიც მებრძოლებითა და ტექნიკით იყო დატვირთული, ანადგურებდა ცოცხალ ძალას, რომელიც ცდილობდა ტივითა თუ საბურავებით, ცურვით როგორმე დიდ მიწამდე მიეღწია.

მტერი კი ქერჩს უტევდა. აუცილებელი იყო თუნდაც რამდენიმე დღით მისი შეჩერება. ჩვენი ჯარების უთანასწორო ბრძოლების შედეგად მცირე ხნით 3 არმია ევაკუირებულ იქნა დიდ მიწაზე.

ქერჩთან გამართული ეს ბრძოლები თავისი სიმძაფრით განსაკუთრებული იყო. ჩვენი მეომრების თავდადებით, მამაცობითა და გმირობით იგი ერთადერთია სამამულო ომის ისტორიაში. ფაშისტებმა დაკარგეს იმედი, ხელში ჩაეგდოთ აურაცხელი ძალა და ტექნიკა. 10-12 მაისს ზღვისკენ უკანდასახევი გზა გადაგვიჭრეს და მთლიანად ამოუღებლად გვიპირებდნენ. თითქმის სისხლისგან დაცლილ ნაწილებს სხვა გზა არ გვქონდა და ქერჩიდან 3 კილომეტრით დაცილებულ სოფელ აჯიშუკაის ქვის სამტეხლოებს შევაფარეთ თავი. ჩვენთან ბევრი ქართველი იყო, მათ შორის ქალები, მოხუცები, ბავშვები, ადგილობრივი მცხოვრებნი. მეტად დიდ გაჭირვებას განვიცდიდით, არ იყო წყალი, პური, არ გვქონდა ტყვია-ნაშალი და მედიკამენტები, ფაშისტები რადიორუპორებით გვპირდებოდნენ ყოველივე სიკეთეს, რათა ჩავბარებულყავით, მაგრამ ჩვენ მათ ხელში ჩავარდნას სიკვდილს ვარჩევდით. გერმანელებმა ვერა და ვერ

გატეხეს აჯიშუკაელთა მედგარი გული. აი, ასეთები იყვნენ საბჭოთა მებრძოლები, რომელთაც შემდეგ ი. ბ. სტალინის სახელობის აჯიშუკაელები უწოდეს.

საშინელი ტრაგედია, რაც მაშინ აჯიშუკაის გვირაბში დატრიალდა, თითქმის შეუდარებელია ომების ისტორიაში მომხდარ ტრაგედიებთან. ქვის სამტეხლოების ცენტრალურ შესასვლელთან 10 მეტრზე არსებული ტერიტორია მოფენილი იყო ჩვენი მეომრების გვამებით. ყველაზე დიდი უბედურება კატაკომბებში 1942 წლის 24 მაისსა და მის მომდევნო დღეებში მოხდა, როცა ფაშისტებმა მომწამლავი გაზი შემოუშვეს, რის შედეგადაც 800 კაცი გაგუდეს. მათ ეს ხერხი მთელი ომის მანძილზე მხოლოდ აჯიშუკაის ქვის სამტეხლოებში გამოიყენეს, რისთვისაც ნიურნბერგის პროცესზე მის ლიდერებს ბრალდება წაუყენეს.

ათასობით საბჭოთა ადამიანი, აჯიშუკაის ძირითადი მასა დაიხოცა აქ ერთდროულად, გაუგონარი წამებით.





# ეს მოხდა ანაკასთან

**(ნ. კორტკოვის – საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაის მოგონებებიდან)**

ანაკის 414-ე ქართული წითელდროშოვანი მსროლელი დივიზია ანაკის რაიონში მოქმედებდა.

...შეუპოვარი ბრძოლები მიმდინარეობდა. ხუტორ უტაშის რაიონში ჩვენს ჯავშანტრანსპორტიორთა ქვეგანაყოფისკენ შიშისგან სახეშემლილი ქალი მობრბოდა.

— ჩქარა, ძმებო, ჩქარა... ეგებ ჩვენი ქალები და ბავშვები იხსნათ! — ყვიროდა იგი.

მერე კი გვიამბო, რომ იქვე ახლოს, ტყის პირას მდებარე ფარდულში ფაშისტებმა ორასამდე ბავშვი და ქალი შერეკეს და ცეცხლის წაკიდებას უპირებნო.

დივიზიის მეთაურმა **გიორგი ყურაშვილმა** მაშინვე უბრძანა დაზვერვის უფროს ნ. ტოლკაჩოვს, ჯარისკაცებსა და ოფიცრებს: **დ. პაიჭაძეს, ა. ლანჩავას, ა. ნულუკიძეს, უ. კვარაცხელიას**, მოესპოთ ბანდიტების ჯგუფი და ეხსნათ ხუტორის მოსახლეობა.

ჩვენი ჯავშანტრანსპორტიორების ჯგუფის მებრძოლებმა, რომ იტყვიან, სულზე მიუსწრეს — ფაშისტები დახოცეს, ხანძარი ჩააქრეს და ხუტორელები განსაცდელისგან იხსნეს. ენა ვერ იტყვის, როგორი მაღლიერი იყვნენ გადარჩენილები. ისინი ეხვეოდნენ ჩვენს ჯარისკაცებს, ინერდენ მათ გვარებს, მისამართებს, ამბობდნენ, ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს თქვენს სახელებს დავარქმევთ და არასოდეს არ დავივინყებთ ქართული დივიზიის მებრძოლთა ამ გმირობასო.

ხუტორელმა მარიამ სობკომ თავისი ორი წლის გოგონა — ლენა პოლკოვნიკ ყურაშვილს გადასცა და უთხრა:

— ამიერიდან თქვენ ხართ მამამისი...

მე მაშინ გაზეთ „პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტი ვიყავი, და ეს დაუვიწყარი ფრონტული ეპიზოდი ფირზე აღვბეჭდე.



მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. გადიოდა წლები, მაგრამ არ მასვენებდა იმაზე ფიქრი, თუ რა ბედი ენია ლენა სობკოს, რომელიც ქართული დივიზიის მეთაურის — გიორგი ყურაშვილის შვილიშვილი გახდა. წლების მანძილზე ვწერდი ყუბანის სხვადასხვა ორგანიზაციაში წერილებს, მაგრამ ამაოდ. და ახლახან მივიღე დიდი ხნის ნანატრი ცნობა. ჩემს ერთ-ერთ წერილს უპასუხა სოციალისტური შრომის გმირმა, ანაკის ერთ-ერთი საბჭოთა მეურნე-

ობის აგრონომმა ნ. ბორისენკომ.

მან დაადგინა, სად ცხოვრობდა ლენა სობკო და მისი მისამართი გამომიგზავნა. ალბათ, მიხვდებით, რა მოუთმენლად ველოდი მის პასუხს.

პასუხმაც არ დააყოვნა. ელენე ნიკოლოზის ასულს ამჟამად ორი შვილი ჰყავს. მას კარგად ახსოვს დედის ნაამბობი, თუ ვის უნდა უმადლოდნენ ის და ხუტორელთა უმეტესობა თავიანთ სიცოცხლეს.

**„...ქართველმა მებრძოლებმა სისხლი დაღვარეს ჩვენი განთავისუფლებისათვის. ბევრი ყუბანელიც იბრძოდა ქართველების, აფხაზების, კავკასიის ხალხების გადასარჩენად აფხაზეთის თოვლიან უღელტეხილებზე. ჩვენი გადარჩენილი თაობა ამას არ დავივინყებს. ეს სამუდამოდ ჩავუნერგეთ ჩვენს შვილებს. ხალხთა ძმური მეგობრობაა ჩვენი ძლიერების წყარო. გადაეცით სალამი 414-ე ქართული დივიზიის ყოფილ მებრძოლებს, დაე, მათ იცოდნენ, რომ ბევრ ხუტორელ ბავშვს ქართული სახელი ჰქვია“**, — ნათქვამია წერილში.



# კიევი მიხატვის ქართული მინა

(ბაზემ) „რადიანსკა უკრაინას“ კორესპონდენტის  
- ნ. სრინსკოს მოგონებებიდან

შარშან, გაზაფხულზე გამარჯვების დღეს მესამედ მივედი დიდების პარკში იმ იმედით, რომ საბჭოთა კავშირის გმირის, ზემდეგ ნიკოლოზ ივანეს ძე გოგიჩაიშვილის საფლავთან მის თანაპოლკელებს შევხვდებოდი. ხალხის ტალღას ნელ-ნელა მივყავდი მარადიული ცეცხლისკენ და, როცა ერთხელ კიდე მივიხედ-მოვიხედე, უცაბედად გმირის საფლავთან ის კაცი დავინახე, რომელსაც, როგორც რაღაც წინათგრძნობა მეუბნებოდა, ცოცხალი გმირი უნდა სცნობოდა.

ეს იყო ნაუმ სიმონის ძე უჩენიკი — 276-ე ტემრიუკის ორგზის წითელდროშოვანი დივიზიის 353-ე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელი ცალკე დივიზიონის რადისტის, რომელიც ნ. გოგიჩაიშვილთან იბრძოდა. ამ ნაცნობობის წყალობით, გავიგე ერთი კაცის, ამ დივიზიონის პარტორგის, კაპიტან ერემია მინას ძე მახათაძის გვარი. აი, ვის შეეძლო ჩემთვის პასუხი გაეცა ბევრ კითხვაზე, თუ სადაური იყო ნიკოლოზ ივანეს ძე, სად დაიღუპა და რატომ არის დაკრძალული კიევში, მაგრამ ე. მ. მახათაძის მისამართს ერთბაშად ვერ მივაკვლიე. ბედმა არც სხვა რამეში გამილიმა: ვის არ მივმართე, მაგრამ ვერა და ვერ დავადგინე, ამჟამად სად ცხოვრობს თემურ გოგიჩაიშვილი. სწორედ ის თემური, რომელიც ჩემი ჯარისკაცობის ერთგული მეგობარი იყო, როცა ჩვენ 10 წლის წინათ ერთ ათეულში ვმსახურობდით.

მახსოვს, თემურ, როგორ გადარჩინე ზღვისპირეთელი სერჟანტი ვალენტინ ალდაბაევი, რომელიც დიდი სიმაღლიდან გადმოვარდა და ბეტონს უნდა დანარცხებულიყო. შენგან გავიგე, რომ პაპაშენი საბჭოთა კავშირის გმირი, ზემდეგი ნ. ი. გოგიჩაიშვილი

კიევში, დნეპრის ნაპირზე, მარადიულ ცეცხლთან არის დაკრძალული. ეს ნამბობი მოსვენებას არ მაძლევდა წლების მანძილზე. მინდოდა, ყველაფერი მცოდნოდა გმირის შესახებ, რომ შემდეგ სხვებისათვის მეამბნა. მაგრამ სად გიპოვო, თემურ, ჩემო მეგობარო?

...ავიალანდერი „ტუ-154“ ბეტონს მოსწყდა და გეზი სამხრეთისკენ აიღო. გადავუარეთ ნახევარ უკრაინას, კრასნოდარის მხარეს, აზოვის ზღვას, კავკასიის თოვლიან ქათლაქათა მწვერვალებს, აფხაზეთს, შავი ზღვის სანაპიროს.

და აი, თბილისიც. მაინც მოვახერხე და მივაგენი ე. მ. მახათაძეს — სსრ კავშირის გმირის, ნ. ი. გოგიჩაიშვილის, თანაპოლკელსა და თანამებრძოლს. როცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში ვმუშაობდი, გავიცანი ისტორიის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი შ. ვ. მეგრელიძე, რომელმაც ომის წლებში თითქმის მთელი უკრაინა გაიარა, ათავისუფლებდა რა მას ფაშისტებისგან. კეთილად ვიგონებ საუბრებს, საბჭოთა პერიოდის ისტორიული ურთიერთობის განყოფილების გამგესთან, პროფესორ ზ. ლ. შველიძესთან რომ მქონდა.

ნ. ი. გოგიჩაიშვილზე მასალების ძებნამ ბ. კ. გალსტიანთან მიმიყვანა. ეს იყო მამაცი სახალხო შურისმაძიებელი, რომელიც ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის — ს. ა. კოვპაკის ცნობილ პარტიზანულ შენაერთში ირიცხებოდა.

დიდად დამეხმარა, აგრეთვე, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტის გამგე ტ. გ. ჩინჩილაკაშვილი. ბედნიერება მქონდა, ხალხთა მეგობრობის მუზე-



ნიკოლოზ ივანეს ძე გოგიჩაიშვილი

უმში ბულგარელ ჟურნალისტთან — მარია ივანოვასთან ერთად გავცნობოდი პოლანდიაში ტექსელის კუნძულზე მდებარე საკონცენტრაციო ბანაკში საბჭოთა სამხედრო ტყვეების აჯანყების ერთ-ერთ ხელმძღვანელს — ე. შ. არტემიძეს და ქერჩის დესანტის მონაწილეს, თადარიგის მაიორს მ. ლ. სარჯველაძეს...

და აი, თბილისიც უკვე მარტო მოგონებებში დარჩა, მატარებლიდან პატარა სადგურ ჯუმათში ჩამოვედი და ბილიკით სოფელ ნიგვზიანისკენ გავიქე.

— აი, იმ გორაზე ცხოვრობს ნინო ბებია! გაუყევით ამ ბილიკს და სახლთან მიგიყვანთ, — დამეხმარნენ სკოლის მოსწავლეები, რომლებიც შარაგზაზე ავტობუსის გაჩერებასთან შეკრებილიყვნენ.

„ესე იგი ნიკოლოზ ივანეს ძის მეუღლე ცოცხალია“, — გავიფიქრე და სახლის ზღურბლზე თვალი მოვკარი შაოსან მოხუც ქალს. მივუახლოვდი და წყნარად ვუთხარი:

— პატივცემულო ნინო, მე კიევიდან ჩამოვედი...





გულში ჩამიკრა. მაკოცა. ვიგრძენი, როგორ უთრთოდა მხრები. უცებ ზღურბლზე თემურიც გამორჩნდა. დამინახა, და თვალისდახამხამებაში ჩემ წინ აღმოჩნდა.

— კოლია, ძვირფასო, აქ საიდან გაჩნდი?!

...

იმ დღეს შაბათი იყო. ლანჩხუთიდან ნინოს ქალიშვილი — ციალა ჩამოვიდა, ბათუმიდან — უფროსი ვაჟი დავითი. მოვიდა თემურის მამაც, აგრეთვე, თორმეტი შვილიშვილი და ოცდაათი შვილთაშვილი, რძლები, სიძეები, მეზობლები... რამდენი კარგი მოგონება მოვისმინე იმ საღამოს ნ. ი. გოგიჩაიშვილზე.

შემდეგ კი ნინოსთან ერთად გვიან ღამემდე ვისხედით პატარა ოთახში და იგი დაკვირვებით ათვალეიერებდა ფოტოსურათებს, კიევიდან რომ ჩამოვიტანე: დიდების პარკი, უცნობი ჯარისკაცის ძეგლი, მარადიული ცეცხლი მისი მეუღლის საფლავზე.

— ნიკოლოზი ჩვენი სოფლის პირველი ტრაქტორისტი იყო, კომუნისტი 1930 წელს გახდა, პარტიულ უფრედს ხელმძღვანელობდა, — იგონებს ნინო, — გამრჯე კაცი იყო, ხალხი უყვარდა, დიდ პატივს მცემდა, შეხმატკბილებული ვცხოვრობდით. მაგრამ ომი მოგვადგა კარს. ჩვენი დავითი, უფროსი შვილი, პირველი წაიყვანეს. ნიკოლოზს მას შემდეგ კიდევ უფრო მეტად მიუწევდა გული ფრონტზე და ორმოცდაერთის აგვისტოში კიდევ გავაცილე. დავითი მაშინ სევასტოპოლს იცავდა, ნიკოლოზი ჯერ ქერჩში მოხვ-

და, შემდეგ კი — კავკასიაში, მწერდა, თავდაუზოგავად ვიბრძვიო.

1942 წლის ნოემბერში ფაშისტები საქართველოს სამხედრო გზისაკენ მიიწვედნენ. განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა ორჯონიკიძის მისადგომებთან. ერთ-ერთი ბრძოლის დროს მთელი ქვეგანაყოფიდან ცოცხალი მხოლოდ ოთხი მებრძოლი გადარჩა — **რიგითები ტ. ბერიშვილი, ს. ქადაგიშვილი, გ. ფატლაძე და ათეულის მეთაური ნ. გოგიჩაიშვილი.** ტყვედ ჩაგვბარდითო,



შესთავაზეს ფაშისტებმა, მაგრამ მტკიცე უარი მიიღეს. წყალი დუღდა „მაქსიმკაზე“, რომლითაც ნ. გოგიჩაიშვილი ისროდა. მებრძოლები მალ-მალე იცვლიდნენ ადგილსამყოფელს და მტრის ცეცხლი ქვებს ხვდებოდა. როგორც კი სს-ელები და გერმანელი ალპინისტები შეტევაზე წამოიშლებოდნენ, კვლავ აკაკანდებოდა ტყვიამფრქვევი და მტერს მიწაზე აფენდა. სამი დღე და ღამე არ უძინიათ, არ უსვამთ, არ უჭამიათ (წყლის ყოველ წვეთს ტყვიამფრქვევისთვის ინახავდნენ), ოთხი ჯარისკაცი უშიშრად იცავდა უსახელო მაღლობს. როცა უკანასკნელი ტყვიამფრქვევის მასრაღა შემორჩათ, ფლანგებიდან საბჭოთა ჯარისკაცებმა შემოუტიეს მტერს — დაიწყო გიზელის ცნობილი ოპერაცია. თავდაცვიდან იერიშზე გადავიდნენ!

**სოფელ ძვემო სანიხის რაიონში, სადაც სს-ელთა დივიზია, „ვიკინგის“ 100-მდე ტანკი და მოტოქვეითი ჯარის დაახლოებით ორი პოლკი იყო თავმოყრილი, საბჭოთა ჯარები მთელი ოპერაციის ჩაშლის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. ბრძოლის კრიზისულ მომენტში სერჟანტი ნ. გოგიჩაიშვილი წამოდგა და ძველანაყოფს ხიბტით ხელჩართულ შტაბზე გაუძღვა. ამ გმირობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულებით ნ. ი. გოგიჩაიშვილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.**

როცა თბილისში ნ. ი. გოგიჩაიშვილის ფრონტელ მეგობართან, ყოფილ კაპიტანთან, ამჟამად შურნალისტ ე. მ. მახათაძესთან ვსაუბრობდი, ძალიან მიკვირდა, საიდან იცოდა ასე კარგად უკრაინის გეოგრაფია. ნუ გიკვირთო, — მითხრა მან, მე და ნიკოლოზ გოგიჩაიშვილმა თითქმის მთელი უკრაინა ფეხით გავიარეთო, — მან რუკა გაშალა, — ჩვენმა 276-ე ტემერიუკის დივიზიამ გაათავისუფლა ჟიტომირის, ხმელნიცკის, ტერნო-

**1957 წელს კიევი გაიხსნა დიდავის მემორიალი და გმირთა ხეივანი, სადაც გადაინახეხეს უკრაინის ტერიტორიაზე მებრძოლი 35 მეომრის ნეშტი, რომელთა შორის 12 საბჭოთა კავშირის გმირია. სწორედ აქ განისვენებს ქართველი ვაჟკაცი მისეილ გოგიჩაიშვილი. მათ საფლავებთან მარადიული სხსელი გიზგოიზებს.**

პოლის, ლვოვის, ივანოვო-ფრანკოვსკის და იმიერკარპატის ოლქები. მახსოვს, ოლქი 871-ე მსროლელი პოლკი დივიზიის სხვა ნაწილებთან ერთად რკალში მოექცა და სარდლობამ პოლკის დროშის გადარჩენა ზემდეგ ნ. ი. გოგიჩაიშვილს მიაწოდა. რკალის გარღვევის შემდეგ დივიზიის შტაბამდე მისვლა მას ძვირად დაუჯდა, დროშა მთლიანად მისი სისხლით იყო გაჟღენთილი. ამ გმირობისათვის ნ. ი. გოგიჩაიშვილი დიდების ორდენით დააჯილდოვეს.

— რას მწერდა წერილებში ნიკოლოზი? — ამბობს ნინო ალექსის ასული და ჯარისკაცულ სამკუთხა ბარათებს ათვალერებს, — თავის თავზე ძალიან ცოტას ლაპარაკობდა. კოლმეურნეობის ამბები აინტერესებდა, მისი ომში წასვლის შემდეგ პარტიულ ორგა-

ნიზაციის ხელმძღვანელობა მე მომანდეს, და ნიკოლოზი მირჩევდა, რა და როგორ უნდა მეკეთებინა. ის ძალიან დარდობდა შვილებზე — დავითზე. იგი დაღუპული ეგონა, მაგრამ თურმე ტყვედ ჩავარდნილიყო და საკონცენტრაციო ბანაკში იყო ტექსელის კუნძულზე. ტყვეებმა იქ აჯანყება მოაწყვეს და 750 კაციდან სამშობლოში მხოლოდ 250 დაბრუნდა. როგორი ხასიათის კაცი იყო ნიკოლოზი? ძლიერი პიროვნება გახლდათ, მაგრამ ძალიან კეთილი და მომთმენი კი იყო.

1945 წლის 9 მაისის დილა ყველაზე სასიხარულო დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. ვფიქრობდი, რომ ამიერიდან ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ ბედმა არ გამიმართლა. იმავე დღეს, სადილობისას ნიკოლოზის დაღუპვის ცნობა მივიღე.

ნაღმის ნამსხვრევმა იმსხვერპლა თურმე პრალასთან...

\*\*\*

აგუგუნდა ავილაინერის ძრავები. ილუმინატორში ბათუმის აეროვაგზლის გამოსასვლელთან გამცილებლებს შორის თეიმურაზსაც ვხედავ. „ტუ-154“ უკვე მიქრის და მეგობარი ხელს მიქნევს.

თემურ! ხვალ ჩემს ვაჟიშვილებთან ერთად პაპაშენის საფლავზე მივალ და ყველა ერთად შავ გრანიტზე დავანყობთ მშობლიური ნიგვზიანიდან ჩატანილ დაფნის გვირგვინებს, ხოლო მისი ეზოდან აღებული მთის წითელი მიწა, რომელიც კიევში მიმაქვს, უკრაინის შავ მიწას შეერევა. მერე კი ჩემს შვილებს ვუამბობ პაპაშენის — სსრ კავშირის გმირის, ნიკოლოზ ივანეს ძე გოგიჩაიშვილის გმირობის ამბავს.

# ჯარისკაცები უზო-უკვლოდ არ იპარბეზიან...



პირველად დავადგი ფეხი საქართველოს მიწას, რომელიც ჩემი მეორე სამშობლო გახდა. როცა ჩამოვედი, ალუბლები ყვაოდა და წინა საპირველმამისო ზეიმის დღეები იდგა. ამ შეხვედრაზე ოთხ წელზე მეტხანს ვოცნებობდი.

თქვენს მზიურ მხარეში ძვირფასი ადამიანის, მამის ბედისტ-

რიალმა ჩამომიყვანა, რომელიც ქართველ მეომართან ერთად 1942 ქარცეცხლიან წელიწადს მოსკოვს მკერდით იცავდა და ორივე დაიღუპა ბოლო შეტევის დროს. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ მათი გაყინული გვაშები ძმებზე ერთმანეთს ჩახუტებული იპოვეს, ქართველი მე-

რძოლი მაშინ დაიღუპა, როცა უკრაინელი მეგობრის გადარჩენას ცდილობდა. მას შემდეგ გადაუხდელი ვალი მმართველს ქართული ოჯახის წინაშე.

და აი, პირველად მივაბიჯებ თბილისის ქუჩებში. მივადექი სახლს, რომელშიც ჯარისკაცის ქვრივი ცხოვრობს. ნაბიჯს ვუნელებ, თავი ფიქრით მისკდება: რით დავინყო ამბავი, როგორ ავუხსნა ყველაფერი ორ ვაჟს და ქალს, რომლებიც უკვე თავიანთ მამაზე უფროსები არიან? როგორ ავუხსნა ჯარისკაცის ქვრივს, რომ მათთვის ძვირფასი ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგული არ არის, იგი მამაცური სიკვდილით დაეცა და სამუდამოდ დარჩა უკრაინელი ხალხის ხსოვნაში...

უკვე მრავალი წელია, რაც ჩემი გოგო-ბიჭები — უკრაინის, ყუბანის, ამჟამად კი ქ. მინვოდის №2 საშუალო სკოლის წითელი კვალმადიებლები უკრაინაში გერმანელი ფაშისტების ზურგში მოქმედი პატრიოტების ახლობლებსა და

ნათესავენს ეძებენ. უკრაინის ქალაქებში ნიკოპოლსა და შეპეტოვკაში საკონცენტრაციო ბანაკებიდან პატრიოტმა კომკავშირელებმა წითელი არმიის პოლიტხელი და მეთაური გაათავისუფლეს, ამ უშიშარ ადამიანებს სათავეში ედგნენ ქალიშვილები — ჟენია შეკუტა და მასწავლებელი ჟენია ვგრენჩუკი. განთავისუფლების შემდეგ სადივერსიო ჯგუფებს სათავეში ჩაუდგნენ ყოფილი სკოლის დირექტორი ყუბანიდან, ლეიტენანტი პეტრე კალუგინი და კაპიტანი ანატოლი გუსევი.

სადივერსიო ჯგუფის წევრებს შორის იყვნენ 30 ეროვნების ადამიანები, მათ შორის სამი ქართველი — 23-25 წლის **ლავრენტი ჩიხლაძე, ოფიცერი გიორგი კილასონია და ვლადიმერ ჭოხონელიძე.**

ოთხი წლის წინ მივაგენით ვლადიმერ ჭოხონელიძის ოჯახს. დიდი სიყვარულით იგონებენ ამბროლაურის რაიონის სოფელ ტბეთის მცხოვრებლები სოფელში კოლმეურნეობის ორგანიზატორსა და მის პირველ თავმჯდომარეს, სამოქალაქო ომის მონაწილეს, 1921 წლიდან პარტიის წევრს ვლ. ჭოხონელიძეს. ომის დაწყების წინ ვ. ჭოხონელიძე გაგრაში ცხოვრობდა, სადაც რაისამომხმარებლო კავშირის თავმჯდომარე იყო. ფრონტზე მოხალისედ წავიდა, თუმცა შეეძლო არ წასულიყო, „ჯავშანი“ ჰქონდა.

იგი კავკასიის, ყუბანის ბრძოლებში მონაწილეობდა. იყო ქერჩის დესანტის მონაწილეც, დაიჭრა, კონტუზია მიიღო. ბახჩისარაიში სამხედრო ტყვეთა ბანაკში გაგზავნეს. ეს იყო ნამდვილი სიკვდილის გზა: ღონემიხდილ ხალხს, სიარული რომ არ შეეძლო, ან ხვრეტდნენ, ან ძალღებებს აგლეჯინებდნენ. სწორედ ამ დროს ამოუდგა მხარში ჭოხონელიძეს უახლოესი მეგობარი, უკრაინელი ვლადიმერ ბოჩენკო, თვითონაც ღონემიხდილმა, ქართველი მეგობარი არ მიატოვა, ზურგით ატარა.

შემდეგ კი ორი ვლადიმერი არაერთხელ ყოფილა ერთად დაზვერვაზე. კალუგინისა და გუსევის დავალებით რეიდი კიროვოგრადათან მათთვის უკანასკნელი იყო.



ჩვენი ქვეყნის ბევრმა გაზეთმა მიუძღვნა ნარკვევები ამ დივერსიული ჯგუფის წევრ მამაც პატრიოტებს.

ზარს თითი ფრთხილად დავაჭირე. ზღურბლზე მოხუცი თმაშევრცხლილი ქალი გამოჩნდა, სახე დარდის ნაოჭებს დაეფარა, ხანგრძლივი მოლოდინი რომ სტოვებს ხოლმე. მოხუცმა გულში ჩამიხუტა, თავი მხარზე დამადო და აქვითინდა.

ყელი გამიშრა. ვიდექი და თითქოს ენა ჩამივარდაო, ვერაფერს ვეუბნებოდი ჩემს ქართველ კეთილ, ალერსიან დედას. მაგრამ შორეული ძნელი გზიდან დაბრუნებულმა შვეებით ამოვისუნთქე, რომ ვალი მოვიხადე მამაჩემისათვის თავდადებული ქართველი მეომრის წინაშე.

აი, რატომ არის, რომ საპირველმასისო დღესასწაულზე აქვიმყოფები — ჩემს ოჯახში.

ტრადიციისამებრ, ღვინოს ყანწით ვსვამ. თავზე დედის თბილ ხელს ვგრძნობ, და იგი მეუბნება:

— მიირთვი, შვილო! ეს ღვინო ჩემი ქმრის გაშენებული ვენახისაა, ის ვაზი დღემდე ცოცხლობს...

აი, რატომ ვიმყოფები ამ საპირველმასისო საზეიმო დღეებში ჩემი ქართველი ძმებისა და დების — მამაცი მეზობლის, ვლადიმერ ჭოხონელიძის, შვილებისა და ჯარისკაცის ქვრივის სონია სენტეს ასულ ჭოხონელიძის ოჯახში, მდიდრულ სუფრასთან.

დედას ბევრი რამ აქვს საამაყო. შვილები შეძლებულად ცხოვრობენ და წარმოებაში კარგი ავტორიტეტი აქვთ. ბორის ვლადიმერის ძე ჭოხონელიძე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფოლადსადნობი უბნის უფროსია, ბონდო ვლადიმერის ძე ჭოხონელიძე ამავე ქარხნის ცვლის უფროსია, ქალიშვილი ნელი ვლადიმერის ასული დვალი ფოლადთუფსასხმელი ქარხნის სამშენებლო სამმართველოს თანამშრომელია. იზრდებიან შვილიშვილები, რომლებიც თვალეგაბრწყინებული ისმენენ პაპის საგმირო საქმეებს. პაპის პატივსაცემად ბორისის ოჯახში იზრდება ვლადიმერი, მეშვიდე კლასის მოსწავლე.

**ახლა მე მყავს ორი ძმა, მყავს და და დედა. რამდენი სიტბო და სიკეთე მიმყვება საქართველოს სტუმართმოყვარე მიწიდან — ამის სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია!**

წითელი კვალმადიებლები იმედოვნებენ, ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავენ, გამოგვეხმაურებიან **გორელი ლავრენტი ჩიხლაძისა და გაგრელი გიორგი კილასონიას** ახლობლები. მათაც უნდა იცოდნენ, რომ ჯარისკაცები უგზო-უკვლოდ დაკარგული არ არიან, მათ ბოლომდე პირნათლად მოიხადეს მხედრული ვალი.

**ვ. აქლოუსი,  
ქ. პიძვოლი**

# ბელას გაელვება, ანუ ახსოვს ჩუსეთის ინტელიგენციას საქართველო?

რუსულმა ლიტერატურულ-მხატვრულმა ჟურნალმა „Октябрь“, რომელიც 1924 წლის მაისიდან გამოდის, წლევეანდელ თებერვლის ნომერში გამოაქვეყნა ცნობილი რუსი ფერმწერის — ბორის მესერერის ნიგნის „ბელას გაელვება“ (Промельк Беллы) (მესერერი ბრწყინვალე ბელა ახმადულინას ქმარი იყო) რამდენიმე თავი, საერთო სათაურით „სიზმრები საქართველოზე“.

ეს სათაური ბელას ლექსიდანაა:  
**Сны о Грузии - вот радость!**  
**И под утро так чиста**  
**Виноградная сладость,**  
**Осеньявшая уста.**

...  
**Пусть всегда мне будут в новость**  
**И колдуют надо мной**  
**Милой родины суровость,**  
**Нежность родины чужой.**

სხვისი სამშობლოს სინაზეო, კი ამბობს პოეტი, მაგრამ ეს „სხვისობა“ საკუთარივით აქვს გათავისებული და აღქმული შემოქმედებაშიც და ყოველდღიურობაშიც. ჰქონდა.

მესერერი ბელასთან ერთად შატილობაზე მიიპატიჟა ჭაბუა ამირეჯიბმა — შატილობის სახალხო დღესასწაულზე, ხევსურეთში, რომელიც ყოველწლიურად იმართებოდა აქაც, ომალოშიც და საერთოდ მთიანი საქართველოს სოფელ-ქალაქებში ერთი დევიზით: „მთას დაუბრუნდა მთიელი“.

ეს ისე, გასახსენებლად, და იმავე რიგიდან — ერთი ფაქტი ბელა ახმადულინას მიერ გათავისებული საქართველოს დამადასტურებელი, რომელზეც ნიგნის ავტორი წერს და რომელსაც ვადასტურებ, რადგან იქ ვიყავი:

„მთის ძირას, რომელსაც მიჰკროდა სოფელი, ქორწილს ზეიმობდნენ. სპეციალურ ფიცარნაგზე ასრულებდნენ ქართულ ცეკვებს, რომლებიც საქორწინო

რიტუალს შეეხამებოდა. ჩვენ მეფე-დედოფალთან მიგვიყვანეს, მივულოცეთ, ბელამ ხელიდან ბეჭედი მოიძრო და პატარძალს აჩუქა. ახლადდაქორწინებულებმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ, ვინ იყო ბელა. საჩუქრით გახარებულები დარჩნენ“.

ასე იყო. თუმცა დღემდე ისე მეგონა, რომ ბელამ სამაჯური უძღვნა პატარძალს.

ქორწილში ხელცარიელი არ მივიდა! ქართულია.

ჯანსუღ ჩარკვიანს ხშირად აქვს მონაცოლი: მოსკოვში ყრილობაზე ჩასულმა ქართველმა მწერლებმა რუსი კოლეგები მიიპატიჟეს. სუფრა გაიშალა ერთ-ერთ რესტორანში. და როცა ბატონი ჯანსუღი ხარჯის გასასტუმრებლად ოფიციალტებთან მივიდა,

მათ ბოდის მოხდით აცნობეს, რომ ბელა ახმადულინას ნადიმის დაწყებამდე დაუტოვებია მათთვის № რაოდენობის ფული: რამდენიც დაჯდება, აქედან აიღეთო.

ესეც ქართულია. ბელას მიერ ჩვენი ყოფითი ტრადიციების გათავისება რომ ვახსენე ზემოთ, იმის დამადასტურებელია.

ჩემს ჩანართებს ამით ვამთავრებ და მესერერის ნიგნს მივუბრუნებ, არა სარეცენზიოდ და შესაფასებლად, რაც უკეთეს შემთხვევაში, გაშუალებულ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს ამ ორი შემოქმედის ოჯახის საქართველოსადმი დამოკიდებულებაზე, შუამავლობა ტონუსს აგდებს, არამედ ფრაგმენტულად — ნიგნიდან ნაწყვეტების სახელდახელო ნათარგმანების გადმოცემით, რაც გაცილებით საინტერესოა, თუნდაც იმიტომ, რომ ერთგვარი პასუხია ჰაერში დაკიდებულ შეკითხვაზე: **ახსოვს კი რუსეთის ინტელიგენციას ის საქართველო, სადაც მათ ყოველთვის ეგულადათ საუკეთესო მიგობრები — დიდოსტატი ბი სიტყვაკაზმული მწერლობის?**

„მე და ბელა საქართველოს სიყვარულში ჩავეზიარეთ ერთმანეთს. ეს, შეიძლება ითქვას, იყო ყველაზე უფრო ფატალური დამთხვევა, რადგან უაღრესად დაგვაახლოვა ერთმანეთს. ისე, რომ არ მოგვილაპარაკია, ვუზიარებდით ერთმანეთს ამბებს ამ გასაოცარი ქვეყნის შესახებ“, — წერს ბორის მესერერი.

აქვე, სანამ შატილს გავცილებულვართ, ისიც ნავიკითხოთ, როგორ აღიქვა მან, მხატვარმა, შატილის მრავალსაფეხურიანი სწრაფვა ცისკენ — ერთმანეთზე



მიდგმული სახლების გაქვავებული ალმასვლა:

„ყველა ეს სახლი, რომელიც ნატურალური ფიქალით აგებული, ნახევარწრედ არის შემორკალური და თანდათან მიემართება მწვერვალისკენ. გიგანტური პირამიდა სახლების, თითოეული თავისი ზომითა და ხედით რომ არის გამორჩეული. სავსებით შესაძლებელია, რომ ასე გამოიყურებოდნენ ბაბილონის დაუმთავრებელი გოდოლი... ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს სხვა საუკუნეში მოვხვდი“.

ნიგნის ავტორი და მისი მეუღლე ჩვენს ქვეყანაზე შეყვარებულები მაინცდამაინც თავიანთი მეგობარი ქართველების გამო და მათთან ურთიერთობის წყალობით არიან: „თბილისში ბელასთან ერთად ჩვენი ყოფნა აღვსებული იყო გამორჩენილ ქართველ მწერლებთან და მხატვრებთან ურთიერთობით. და მაინც, ჩვენი უახლოესი ადამიანები იყვნენ ოთარ იოსელიანი, სერგო ფარაჯანოვი, ვია მარგველაშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, რეზო ამაშუკელი, იურა ჩაჩხიანი და მისი ცოლი მანანა გედევანიშვილი“. (სხვათა შორის ყურნალ „ოქტიაბრის“ ეს ნომერი, რომელზეც წარწერილია „Дорогой Манане с любовью! Борис Мессерер, 5 марта 2013“, ჩვენს რედაქციას სწორედ ქალბატონმა მანანამ ათხოვა).

მხოლოდ ასეთ მეგობრებს შეეძლოთ ისეთი „ლამაზი ჟესტის“ გაკეთება, როგორც, მაგალითად, ჭაბუა ამირეჯიბი გაეცნო ბელას და ბორისს მოსკოვის კინოს სახლის სტუმრებით სავსე დარბაზში:

„ჩვენ მოგვიახლოვდა მაღალი, გამხდარი ქართველი. წარმოსადეგი, მხარბეჭიანი, წელგამართული. მისი სახე განსაცვიფრებლად სწორად იყო დახატული და სახის ნაკვეთები ნატიფი ლაზათითა და ღირსებით იყო აღბეჭდილი...“

მან გრაციოზულად დახარა თავი და სიყვარულისა და აღფრთოვანების სიტყვებით მიმართა ბელას... რესტორანში იმ საღამოს



ყველა მაგიდა დაკავებული იყო. მე და ბელამ ერთდროულად გადაკეთებულ რეაგირება მის კომპლიმენტებზე და მივიწვიეთ ჩვენს მაგიდასთან ჩვენი გაცნობის სადღეგრძელოს დასაღვევად. მასზე იმოქმედა ჩვენმა გულწრფელმა მეგობრულმა დამოკიდებულებამ, სულ რამდენიმე წუთით ჩამოვდა, ბელას სადღეგრძელო თქვა და დაგვემზადო. გაცნობისას მან, რასაკვირველია, თავისი სახელი და გვარი გვითხრა: ჭაბუა ამირეჯიბი“.

„ლამაზი ჟესტი“.  
სწორედ მან, ჭაბუა ამირეჯიბმა გააკეთილშობილა, მე რომ მკითხოთ, ცოტა ობივატელური „ტრადიცია“, როცა ერთი ცნობილი პიროვნების ძმამ რესტორან „იპოდრომში“ სუფრასთან მსხდომ ჭაბუას და მის მეგობრებს პატივისცემის ნიშნად 50 ბოთლი შამპანური შემოუგზავნა:

„ჭაბუა ამირეჯიბი, რომელიც სუფრას უძღვებოდა, მიესალმა მას და სადღეგრძელო წარმოთქვა:

— დავლით სადღეგრძელო იმისა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია ჟესტის სილამაზე!

მე ამ სიტყვებს მივანერ თვით ჭაბუა ამირეჯიბის ხატებას, რომელშიც შერწყმულია სახის სილამაზე და სილამაზე ჟესტის“.

საოცარი მორიდება და მოქრძალება, ამასთან სულ-

ის დამშვიდება და უმაღლესთან მიახლოების გრძნობა აკავშირებდათ რუს შემოქმედებს სვეტიცხოვლის ტაძართან. ბორის პასტერნაკი სიკვდილის წინ, 1960 წლის გაზაფხულზე მაინც და მაინც სვეტიცხოველში ჩავიდა. მაშინო, იხსენებს მესერერი, ნინა და ლადო გუდიაშვილებმა უმასპინძლეს დიდ პოეტს, და თქვეს, რომ იგი, პასტერნაკი, „ძალიან მწუხარე იყო და მხოლოდ ქართველების მზრუნველობა და ყურადღება ახარებდა“.

— მე ბევრი რამ მაკავშირებს სვეტიცხოველთან, — ამბობდა ბელა ახმადულინა, — თარგმანები, ლექსები.

„ბელას ვკითხე: — გახსოვს სვეტიცხოველი? შენ ხომ იქ მოგნათლეს?“

— დიახ, ქალაქ მცხეთაში, საქართველოს ძველ დედაქალაქში...

Ни о чем я не жалею,  
Ничего я не хочу -  
В золотом Свети-Цховели  
Ставлю бедную свечу.  
Малым камушкам во Мцхета  
Воздаю хвалу и честь,  
Господи, пусть будет это  
Вечно так, как ныне есть.  
ლოცვასავითაა.

„თბილისისადმი ბელას სიყვარული — ქალაქისა და ამ ქალაქის მკვიდრთა მიმართ — მტკიცედ არის დაკავშირებული გა-

ლაკტიონ ტაბიძის პოეზიასთან და მის ბედთან.

მე, რასაკვირველია, გალაკტიონი არასოდეს მინახავს, — იხსენებდა ბელა, — მაგრამ თბილისში ყველაფერი მისით იყო აღვსილი, მისი ხატება ცხოვრობდა ქალაქში, მის ღამეულ ჰაერშიც ცხოვრობდა თითქოს იგი. იგი უსაზღვროდ უყვარდა ყველა ადამიანს, ყველა თბილისელ ლოთს. აკადემიკოსი იყო და, როცა აკადემიაში ხელფასს აიღებდა, ეს ლოთები, ღამის კოცონების უბრალო ადამიანები, მის გარშემო შეიკრიბებოდნენ ხოლმე. თუ პარიზში კლოშარები არიან, აქ ვიღაც გაურკვეველი ღამის მცხოვრებნი გახლავან.

მე, ოთარ და თამაზ ჭილაძეები ველაპარაკებოდით ღამის თბილისის მკვიდრთ. ბევრ მათგანს ახსოვდა გალაკტიონი, მათთან ხარჯავდა აკადემიკოსის ხელფასს, დაეხეტებოდა, საუბრობდა. მისი სიდიადე უსაზღვროა. ერთხელ მივუსხედით ასეთ ღამის კოცონს და გავარკვიეთ, რომ შეკრებილები ღვინის ფარდულთან შეგროვილ ცარიელ ბოთლებს დარაჯობენ, თითქოს ყარაულები იყვნენ. თბებიან კოცონთან და ჰყიდიან ღვინოს...

ძმები ჭილაძეები გამოელაპარაკნენ მათ და მე კი ვიკითხე: — შეიძლება გავიგო, ისინი რა, მთელ ღამეს ცარიელ ბოთლებს ყარაულობენ?

ჩემი შეკითხვა გადაუთარგმნეს და ერთ-ერთმა მათგანმა დაეჭვებით შემომხედა — ეს რა არსება არისო, ვინ უცნობიაო, — და მიპასუხა:

— შენ რა, ჯერ კიდევ არ შეგიმჩნევია, რომ ჩვენ მთელი ცხოვრების მანძილზე ვკარგავთ იმას, რის გარეშეც არსებობა არ შეგვიძლია და ვდარაჯობთ იმას, რაც არავის სჭირდება?

გავვოგნდი: ქვეყნად თურმე როგორი ადამიანები არსებობენ ჩვენს — ვიღაც სულელებს შორის... ამას ვერ მოიგონებ“.

გაუყვებინა ქუჩას რუსთაველის პროსპექტისკენ თბილისის სტუმარი და მისი მასპინძლები, თონე-



ბელა ახმადულინა და მისი მეუღლე ზორის მესერერი

ში შეველენ და „პირველად ქმნილი პურით, რომელიც ლავაშს ჰგავდა, გაგვიმასპინძლება ხაბაზი.

გარშემო კი ღამეა, ვარსკვლავები, და აქ გამოჩნდება ის ბრძენი, რომელიც კოცონთან იჯდა. ხაბაზმა მასაც მიართვა პური, ალბათ, ნაცნობები იყვნენ, ისინი ყველანი იცნობენ ერთმანეთს. ვეუბნები:

— ჩვენ ხომ ახლახან ვნახეთ ერთმანეთი.

ის მიპასუხებს: — დიახ, თქვენთან ურთიერთობა საინტერესოდ მეჩვენა და მეც ქუჩას ჩამოვყვევი...

შემდეგ ღვინის დაღვევა მოვინდომეთ ამ პურის მიყოლებით, მაგრამ ხაბაზმა გადაჭრით თქვა უარი: არავითარ შემთხვევაში, რადგან შეიძლება თონეში ჩავვარდე და იქ კი ისეთი სიმბურვალეა!.. ერთი სიტყვით, ასე დავინახე ეს ყველაფერი და, რასაკვირველია ვოცნებობდი, ოდესმე კვლავ შევხვედროდი ამ ადამიანებს, მაგრამ არ გამოვიდა. ლექსებში კი არის:

Ничего мне не жалко  
для ваших услуг.  
Я - любовь ваша, слухи и басни.  
Я нырну в огнедышащий  
маленький ад  
За стихом, как за хлебом - хабази.

ასეთ ცეცხლოვან ჯოჯოხეთში, როგორც თონეში, არაერთხელ ჩაუყვინთავს ბელა ახმადულინას ქართველი პოეტების ლექსების თარგმანების „სულიერი არსობის პურის“ გამოსაცხოზად, და რუსი მკითხველისთვის მიუწოდებია ბარათაშვილის, გალაკტიონის, ლეონიძის, კალანდაძის, ჩიქოვანის, ნონეშვილისა და სხვათა და სხვათა რუსულად აჟღერებული ქართული სიტყვა.

„რეზო ამაშუკელმა ერთ-ერთ ინტერვიუში ასე თქვა ბელა ახმადულინას თარგმანებზე: „მან თარგმნა ქართული პოეზიის ნიმუშები, და, წარმოიდგინეთ, როგორ დაჰფოფინებდა თითოეულ ქართულ სიტყვას, როგორ ესწრაფვოდა, რომ ამ სიტყვას არ დაეკარგა ქართული სული, რომელიც მის აზრსა და დატვირთვას ესადაგებოდა“.

მესერერი წერს: „ამაშუკელი სახალხო ჟღერადობის პოეტიკა, ფრიად პოპულარული საქართველოში. იგი მხიარული, ოხუნჯი, თაოსანი, თამადა და სუფრის საქმეთა განმგებელია. ამჟამად ხელისუფლებასთან ერთგვარ ოპოზიციანობა (ასეა დედანში, ეტყობა, ყოფილი ხელისუფლების მხრიდან რეზოს წინააღმდეგ შესაძლო გართულებას აარიდა მე-



სერერმა ამაშუკელი, თორემ, რა „ერთგვარ ოპოზიციაშიც“ იყო და არის, ჩვენ ხომ შესანიშნავად ვიცით! — ა.ს.).

**უფრო დასერიოზულდა. მაგრამ ძველ მეგობრებთან შეხვედრისას, თვალის დახამხამებაში გარდაიქმნება და კვლავ ძველ რეზოდ მოგვევლინება, თავისი ხუმრობებითა და ლათაიებით“.**

ქედს იდრეკდა ბელა ახმადუღლინა ანა კალანდაძის წინაშე. მისი ერთი ლექსი, ანასადმი მიძღვნილი, ასე მთავრდება:

**О жизнь, я люблю**

**твою сущность:**

**Луну, деревья и Анну...**

და ლალადისი — მიმართვა და თხოვნა ცხოვრებისადმი:

**Дай, жизнь,**

**отслужить твое чудо,**

**Ту ночь, и то утро и Анну.**

ახლა ნახეთ, როგორ აფასებს ნოდარ დუმბაძის უიშვიათეს ნიჭს ბელა ახმადუღლინა: **„ფიქრობ, რომ დასცინო არა იმას, რაც შენს გარშემოა, არამედ ისე, ვითომ საკუთარ თავს დასცინი, ალბათ, არის ნოდარის ტალანტის ძვირფასი თვისება“.**

აი, ასეთი ურთიერთობა იყო! თუ მკითხველი მოახერხებს რამენაირად ჟურნალ „ოქტიაბრის“ ამ ნომრის სადმე შოვნას, ბევრ თბილ და მნიშვნელოვან (სწორედ — მნიშვნელოვან) ამბავს გაიგებს ქართველ და რუს შემოქმედთა



**ჭაბუა ამირაჯიბი, ბელა ახმადუღლინა და ნოდარ დუმბაძე თბილისში**

თბილ კავშირებსა და მეგობრობაზე; რუსთა პოზიციიდან, მათი თვალთ დახამხამება და შეფასებულს.

**„რადგან საშუალება არ მძვინკვინდა საქარტველოს ყველა ცნობილი ლიტერატორის შესახებ დავწერო, — ამბობს პუბლიკაციის დასასრულისკენ ბორის მესერერი, — მინდა მხოლოდ, რომ გაიხსენოს მათმა როგორც ჩვენთვის საკმაოდ ახლოვალმა და ჩვენს ცხოვრებაში მონაწილე ადამიანების სახელებმა.“**

ესენი არიან: არჩილ სულაკაური, მორის ფოცხიშვილი, იზა

ორჯონიკიძე, მიშა ქვლივიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ჭილაძე“.

და სულ ბოლოს ასეთი პასაჟი, ფიცივით თქმული უბრწყინვალესი რუსი პოეტი ქალის — ბელა ახმადუღლინას მიერ, აღსარებასავით, საქართველოსა და ქართველების წინაშე:

**„მე დამესიზმრა დედამიწის ამ ადგილის სახელი: ისე ნათლად, ისე გასაგონად, რომ თვალცრემლიანს გამეღვიძა, მაგრამ შემდეგ მთელ დღეს ვიღიმებოდი, და მათ, ვინც არ იცოდნენ, რას ნიშნავს საქართველო, უკეთ, უფრო ხალისიანად იგრძენს თავი ამქვეყნად.“**

...მე ვცდილობდი, თვითონ მეთარგმნა რუსულად ქართული სიტყვები, არაფერი გამომივიდა: მე არ ვიცი ქართული წერა, მაგრამ ძილშიც მესმის ქართული გალობა.

საქართველო ჩემი სულის სინათლეა, ბევრი მოფერება, გადამრჩენი ბევრი კეთილი სიტყვა მერგო მე დედამიწის ამ ადგილზე და — ყველაფერი, რასაც ვხედავთ და რაც ვიცით, და ისიც, რისი ცოდნის ძალა არ შეგვწევს.

დაე, მათი სახელები, ვისაც ეძღვნება ეს ლექსები, დაუვიწყარი იყოს მარადის“.

**არამაზ სანებლიძე**



**რასულ გამაზატოვი, ბელა ახმადუღლინა და ირაკლი ავალიძე**



# მინათმოქმედების ორი სახანი

„წინამდებარე „ლია ბარათი“ არ წარმოადგენს მეცნიერულ გამოკვლევას, რომლის საბოლოო შედეგი იქნებოდა საქართველოს ეკონომიკის, კერძოდ კი სოფლის მეურნეობის განკარგების რეკომენდაციები, არც რაიმე ახლის ძიება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში (ამდენად როგორ გავკადნიერდები!), არც ვინმეს კრიტიკა და ჭკუის სწავლება-დამოძღვრა, ისევე, როგორც არ არის რომელიმე პოლიტიკური ძალისადმი მიკერძოება, მიდგომა ან სხვათა მიმართ გამოთქმული საყვედური. იგი ჩემი პირადი გულისწყრომისა და გულისტკივილის გამოსატყვის მცდელობაა იმის გამო, რომ უცხოტომელთათვის ქართული მინების გადაცემის მიზეზად ქართველი გლეხის სიზარმაცე დაასახელეს. მას ზარმაცი, ლოთი და ახალი ტექნიკის ადვილად ათვისების უუნარო უწოდეს; ეს კრებული ამ ბრალდების უარსაყოფად ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან მისი მოსაზრებების, დებულებების ამონაკრებია და შეხსენება-მოწოდება ამა ქვეყნის ძლიერთათვის, ფართო მკითხველისთვის... განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის, რომელსაც მოუწევს ქართული სახელმწიფოს მართვის სადავეების ხელში აღება“, — წერს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, შიდა ქართლის საერთო კოლეჯის პროფესორი ზაურ თეთრშაშვილი თავისი საკმაოდ ვრცელი ნაშრომის „ლია ჭავჭავაძე ქართული მინების უცხოტომელთათვის გადაცემის შესახებ“ ანოტაციაში, რომელიც მან ახლახან რედაქციას გამოუგზავნა.

ნაშრომი, რომელიც 2011 წელს კრებულის სახით გამოვიდა გორში, ერთგვარი ლია ბარათია „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ სახელზე, რომელშიც იმ პრობლემებზეა საუბარი, რომელიც ქართულ სოფელს, ეროვნულ წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს დაღუპვას უქადის. გთავაზობთ ამონარიდს ამ კრებულიდან.

# მართლა დაჰკარგეთ ტრადიციები?

საქართველოს არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, ბოლო 20 წლის გამოკლებით, ქართული ეკონომიკის წამყვან დარგს ყოველთვის სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა. „ჩვენი ეკონომიკის ძალ-ღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობაა“, — აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე. ვიდრე სუბტროპიკული მეურნეობის დარგებს მოაშენებდნენ, სოფლის მეურნეობის მთავარ მიმართულებად საუკუნეების განმავლობაში ითვლებოდა ხორბლეულის წარმოება და ვაზის მოყვანა. „ჩვენი ეკონომიკის ყოფა-ცხოვრებას რომ კაცი რიგიანად და გონიერად დააკვირდეს, ბევრს საგულისხმოს იპოვის, — წერს ილია ჭავჭავაძე, — ერთი უდიდესი და უპირველესი სახსარი ჩვენის ეკონომიკურის ცხოვრებისა მინათმოქმედება და სხვაგვარი სახსარი ჯერ ჩვენში თითქმის არც კი დაძრულა, ხელნახლებიც არ არის, მერმისს ელის. მინათმოქმედებას ორი საგანი მოაქვს ჩვენის ქვეყნის გასაძლიერად, ღვინო და ყოველგვარი ეგრეთ ნოდებული

საპურე მარცვალი. ამ გვარს წარმოებას დიდი ხანია ვადგავართ და დიდი ხანია მის გზაზე ვშრომობთ და თავს ავად თუ კარგად ვიკვებავთ“ („ღვინის ქართულად დაყენება“. 1887 წ.). ამგვარ წარმოებას რომ დიდი ხანია ვადგავართ და დიდი ხანია მის გზაზე რომ ვშრომობთ, სწორედ ამის შედეგია, ქართველმა კაცმა რომ მარტო ხორბლის 12 მთავარი ჯიში და მისი 130 სახეობა გამოიყვანა, ასევე გამოიყვანა ყურძნის 400 ჯიში და ყველას თავისი სახელი მიაკუთვნა, თანაც ღვინის დაყენების უამრავი მეთოდი შეიმუშავა. ყოველივე ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართველმა კაცმა ოდითგანვე იცოდა ხორბლეულის წარმოებისა და ყურძნის მოყვანის, შესაბამისად, ღვინის დაყენების წესები, დიდი გამოცდილებაც დააგროვა და მაღალ პროფესიონალიზმსაც მიაღწია. მაგრამ „ჩვენ ამას არაფრად ვაგდებთ, თითქო ამ ხანგრძლივს წარმოებას ჩვენთვის არა უსწავლებია რა, არავითარი გამოცდილება არ მიუცია, თითქოს ყოველს

ამას, რასაც დღეს წარმოებაში ვხედავთ, არავითარი საბუთი და მიზეზი არა ჰქონია, თითქო ყოველივე ალაღბელობით, უცაბელობით მოგვსვლია“ (იქვე). თუმცა ისიც ფაქტია, რომ ჩვენმა ისტორიამ, დღემუდამ მტერთან ბრძოლამ ქართველ კაცს საშუალება არ მისცა ცხოვრებით, პრაქტიკული საქმიანობით შეძენილი გამოცდილება და პროფესიონალიზმი გაეღვიძებინა, გაემდიდრებინა, დასწავებოდა კაცობრიობის საოცარ ნამოქმედარს ცოდნისა და სწავლის სფეროში. ამ მხრივ ძალიან ჩამოვრჩით დანარჩენ კაცობრიობას, რომელიც, ჩვენგან განსხვავებით, „დღე ყოველ ცოდნისა და სწავლის წარმატებასა და წინ სვლაში იყო“. ცოდნა, სწავლა, განათლება კი აუცილებელი, დაუშრეტელი წყაროა კაცობრიობის წინსვლისა. აღნიშნულის შესახებ ილია ჭავჭავაძე ასე წერდა: „ჩვენ გვაზიწყდება, რომ ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფისათვის, ისეც თავის სარ-





ჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად. რასაც მცოდნე კაცი ერთ საათში მოამარაგებს, იმას უცოდინარი მოანდომებს ოთხ-ხუთ საათს. შესაძლოა კაცს სიმდიდრე თვალ-წინ ედოს და ვერა ჰხედავდეს უცოდინარობით და ან ჰხედავდეს და არ იცოდეს, როგორ და რა გზით აიღოს და შინ შეიტანოს, და მცოდნე კაცი კი ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყარო იქ ამოიხეთქება, საცა უცოდინარს სიზმარშიც არ მოეჩვენება“ („სწავლა-განათლების საკითხებზე“. 1889 წ. 26 დეკემბერი).

ჩვენმა ჩამორჩენილობამ მეცნიერებასა და სწავლაში იქამდე მოგვიყვანა, რომ ამჟამად დავანახა სხვა ქვეყნების უპირატესობა და წარჩინებულობა. ამან კი უარყოფითად იმოქმედა ქართველი კაცის ფსიქოლოგიაზე, რაც დღესაც ამჟამად გამოხატულებას პოულობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში: **„რაკი კაცი უცხო ქვეყნიდან მოვიდოდა ჩვენში, სწავლულია თუ უსწავლელი, ჭკვიანი თუ სულელი, — ამას აღარ დავდევდით და პირლია შევყურებდით, ჭკუის მასწავლებელი, აბა, ეს არისო. გარდა ამისა, საკმაო იყო, კაცს ეთქვა, საზღვარგარეთ ესე არისო, რომ ჩვენც მიგველო განუხჯელად, აუნონლად, დაუფიქრებლად. იქაურმა ხალხმა ეს ჩვენი პირლიაობის ამბავი კარგად იცოდა და ამიტომაც ყველა ისინი, ვისაც თავის ქვეყანაში ვერა გაეკეთებინა-რა, ჩვენკენ გამორბოდა, თან ორიოდე მზად გაკეთებული და მოგონებული რეცეპტიც მოჰქონდა და მტვერს აგვიყენებდა ხოლმე თვალწინ ჩვენ, უმეცრებს და უცოდინარებს, ცოდნისა და მეცნიერების სახელითა. საზღვარგარეთ ესეაო, თქვენც ესე უნდა მოიქცეთო და ჩვენც სხვა გზა არა გვქონდა, უნდა დავგეჯერებინა და ვიჯერებდით კიდევ. ამას კიდევ არ გვაკმარებდენ ხოლმე: რაც კი რამ ჩვენს სამშობლოში იყო, ყველას გვიქოლავდნენ, თქვენ რა იცით, ბრიყვები ხართო, აბა, კარგი რა გექ-**



**ნებათო. ჩვენც ვიძახოდით: მართალი ბრძანებააო“ (იქვე).**

ქართული სინამდვილისადმი ჩვენმა ასეთმა დამოკიდებულებამ ისე არსად იჩინა თავი, როგორც ჩვენებური ღვინის კეთების საქმეში. აქ არამცთუ უცხო ქვეყნელები გვირევენ გზა-კვალს, „თვითონ ჩვენებურებიც კი, მათის სახელით და სიტყვით ბრმად გატაცებულნი და ფეხის ხმის ამყოლნი“, ამტკიცებდნენ, რომ ჩვენებური ღვინის კეთება გროშად არა ჰღირსო: ჩვენ არ ვიცით ვერც ერთნაირის და გამძლე ღვინის კეთება, ვერც შამპანურისა, ვერც კონიაკისა და სხვა ამგვარ დიდფასიან სასმელებისაო“.

ასე იყო ილია ჭავჭავაძის საქართველოში, ასეა დღესაც. სამწუხაროა, რომ ამ ფსიქოლოგიით არიან გამსჭვალულნი „წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის“ ავტორები.

რაკი არაფერი ვარგა ქართული და არაფერი ვიცით, ჩვენი სოფლის მეურნეობის გაკარგების მიზნით, ჩვენმა მაღალჩინოსნებმა გადანყვიტეს სამხრეთ-აფრიკიდან ჩამოიყვანონ ბური ფერმერები და მათი მაღალი პროფესიონალიზმითა და დიდი გამოცდილებით ჩაანაცვლონ ქართველი გლეხის დაბალი პროფესიონალიზმი და გამოცდილება. ამ ღონისძიებას იმითაც ამართლებენ, რომ, მათი შეფასებით, ქართველი გლეხი ზარმაცი და ახალი ტექნიკის ათვისების უუნაროა.

## რას გვედავებიან ქართული პროფესიონალიზმისა და გამოცდილების უარყოფელნი

ახლა ვნახოთ, კონკრეტულად რას გვედავებიან ქართული გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის უარყოფელნი (ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების მაგალითზე) ადრე თუ ახლა.

საკითხები შეიძლება შემდეგი თანმიმდევრობით ჩამოყალიბდეს:

- ვაზისათვის ადგილის არასწორი შერჩევა;
- ვენახისთვის ნიადაგის დამუშავების პატრიარქალური წესი;
- ღვინის დაყენებისა და კეთების არაეფექტური მეთოდი.

### ვაზისათვის ადგილის არასწორი შერჩევა

ამ საკითხის განხილვისას ილია ჭავჭავაძე ეკამათება მოსკოვში გამოსული ერთ-ერთი ბროშურის (о главнейших нуждах и потребностях Кахетии) ავტორს, რომელიც ბრალს სდებს კახეთის მევენახეებსა და მეღვინეებს, რომ **„ჩვენ არც ადგილის შერჩევა გვცოდნია სავნახედ და ვენახის კეთებაც ადამისუამური გვქონია“**. Кахетинские виноградники мало доходны, что главным образом обусловливается неудачным выбором места для

виноградников и патриархальным способом обработки виноградной почвы.

ამას კი ამბობს ბროშურის ავტორი, მაგრამ არც ერთი დამამტკიცებელი საბუთი არ მოყავს, გარდა იმისა, რომ, თავისი ფიქრით, ქართველებმა არაფერი იცინა და არც ეს ეცოდინებათო.

ილია ჭავჭავაძე გაკვირვებული შენიშნავს, რომ „ერთი ეს ფიქრად მაინც როგორ არ მოუვიდა ბ-ნ ავტორს, რომ რამდენი საუკუნეა, რაც საქართველოში ვენახობას მისდევენ, და რა ღმერთი გაგვიწყრებოდა, ადგილის ამორჩევაც ვერ გვესწავლა“. და მერე თავის მოსაზრებას გამოთქვამს: „ჩვენ კი გვგონია, რომ ადგილის ამორჩევაზედ ჩვენ აბუჩად ვერავინ ვერ ავიგდებ. ჩვენს ვენახებს უკეთესი ადგილები უჭირავს. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ საცა დღეს ვენახებია, იმ ადგილებიდან კარგი ღვინო გამოდის და ვენახების დიდი ხნის წარსულიც გვემონება ამას. თუნდ ეგეც არ იყოს, ბნმა ავტორმა აილოს რომელიმე სოფელი და მიგვითითოს იმისთანა ადგილზედ, რომელიც იმ ადგილზედ უკეთესია, საცა დღეს ვენახებია. მაგას ვერ იზამს, ათასში ერთსაც ვერ გვაჩვენებს. ეს მაგალითი ნუთუ იმის მომასწავლებელი

არ არის, რომ ადგილის ამორჩევა ვენახებისათვის ვიცით და არც შესაძლოა არ გვცოდნოდა, იმიტომ რომ ვენახის კეთება ჩვენში გუშინდელი საქმე არ არის და კარგის არჩევანისათვის რამდენისამე საუკუნის გამოცდილება ხელთა გვაქვს. ვინც ცოტაოდნავ მცოდნეა ჩვენის ვენახის პატრონებისა, ის გვიმონებს, რომ ამ საგანზედ ჭკვად მისაღები დარიგება და რჩევა არ მოგცეთ. ამ მხრით საერთოდ და ვენახობის საქმე ცალკე გამოცდილება დიდი რამ არის, და ჩვენებური გლეხი ევროპიელს მეცნიერზე გამოცდილებით მეტისმეტად ნინ იქნება, იმიტომ, რომ ადგილის კაცია. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, ადგილის კურდღელს ადგილის მწვეარი დაიჭერსო“ (იქვე).

**ვენახისთვის ნიადაგის დამუშავების პატრიარქალური წესი**

ზემოთ ნახსენები ბროშურის ავტორი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გვინუნებს ვენახების გაშენების საქმეს და პატრიარქალურ წესს უწოდებს. ამასთან, თვითონ ვაზის მოვლის წესს სრულებითაც არ ახსენებს.

ამიტომ, ავტორის საპასუხოდ, ილია ჭავჭავაძე ვაზის მოვლის საქმეს გვერდს უვლის და მინის

კეთების (ნიადაგის დამუშავების) საკითხს ეხება.

„მინის კეთება ვენახისთვის ბარვა და თოხნაა და ამაზედ დამოკიდებული განმენდა ვენახისა, დაწვენა და დამუხლვა ვაზისა, სხვა რა არის, გვიბრძანონ. ავტორი რომ ვენახის მინის კეთებას გვინუნებს, და თუ ამით იმისი თქმა უნდა, რომ ბარვა და თოხნა და მათზე დამოკიდებული მუშაობა ვენახის მინისა ჩვენში ჯერ საჭიროდ ცნობილი არ არის? ან თუ ცნობილია, ნუთუ ჰგონებია, ბარვა და თოხნა არ ვიცით, როგორც რიგია? ყველაფერში შეუძლიან მჩვარში გაგვხვიოს კაცმა, მაგრამ სთქვას კი, რომ ქართველმა კაცმა ბარვა, თოხნა, განმენდა ვენახისა, ვაზის დამუხლვა და დაწვენა არ იცოდეს, — ეს მთქმელის მტკნარი უმეცრება იქნება და არა ჩვენის ხალხისა. მართალია, ჩვენში ეგრეთ წოდებულ „პლანტაჟით“ მომზადება მინისა ვენახისათვის არ არის ჯერ შემოღებული, და თუ არის, კანტიკუნტად, და არც ლარზე ჩაყრა ვაზისაა ჩვენში გახშირებული, მაგრამ სხვაფრივ ვენახის მინის კეთება და მოვლა, რომელიც არსებითს საჭიროებას შეადგენს ვენახის კარგად კეთებისას, ჩვენში საკმაოდ კარგად იცინან, იმოდენად კარგად, რომ რომელს ევროპელსაც ეს ჩვენებური ცოდნა წინ არ ნაუშმძღვარებია და თავის ჭკუით უკეთებია ჩვენში ვენახი, გაშენებულიც კი ამოვარდნია. ამისი მაგალითი დღესაც თვალწინ გვედგა ზოგს ალაგას“ (იქვე).

ილია ჭავჭავაძე აქვე დასძენს, რომ თუმცა ვენახის კეთება საკმაოდ კარგად ვიცით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღარაფერი გვჭირდება მისი გაუმჯობესებისთვის.

„ჩვენ ამითი იმისი თქმა არ გვინდა, რომ ვითომც ჩვენებურად ვენახისათვის მინის კეთებას სანატრელი აღარა ჰქონდეს-რა. ეგ ტყუილი ბაქიობა იქნება. ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეთქვა, რომ ჩვენებურს კეთებას მინისას





ვენახისათვის ბევრი თავისი საკუთარი მიზეზი და საბუთი აქვს, გამოცდილებით შემონმბებული და მეცნიერთაგანაც ჭკვად მისაღები. ეგ წესი მიწის კეთებისა ჩვენშიაც იგივეა, რაც სხვაგან, და ზოგჯერ სხვაგან ის არ არის, რაც ჩვენშია. მაგალითებზე, ვაზის გადაწვენასა და ჩამუხლვაში ჩვენ ბევრი არავინა გვჯობია და ბევრს შეუძლიან ჩვენგან ისწავლოს რამეც. ამის გამო გადაჭარბებული თავმონონება არ იქნება ვსთქვათ, რომ **თუ ზოგი რამ აკლია ჩვენს ხალხს ვენახისათვის მიწის კეთების საქმეში, ზოგიც იმისთანა რამ იცის, რომ სხვასაც ასწავლის.** ურიგო არ იქნება მსურველმა ისწავლოს მისგან ეგ ზოგი რამ და ტყუილის აბრუთი გაზვიადებული არ იძახოდეს: ადამის ჟამური წესიაო“ (იქვე).

### ჩვენაზური ღვინის დაყენებისა და კეთების აზურად აზღვრა

ქართველი გლეხის (ქართველი კაცის, საერთოდ) გამოცდილებებისა და პროფესიონალიზმის უარყოფილების ერთი ჯგუფი თუ ვენახის ნიადაგის დამუშავებას გვიწუნებს და ჩვენს ცოდნასა და გამოცდილებას ჩალადაც არ აგდებს, სხვები ჩვენ მიერ ღვინის დაყენებას და კეთებას იგდებენ აბურად.

არც ამ კატეგორიის ადამიანებს არა აქვთ არავითარი მიზეზი, რომ დაგვიწუნონ ღვინის დაყენება და კეთება, მითუმეტეს, არა აქვთ ჩატარებული არავითარი გამოკვლევა თავიანთი მოსაზრებების დასასაბუთებლად.

როგორც ჩანს, „წარმოუდგენელი მიგრაციული პროექტის“ ავტორებმა თვითონ არ იციან ქართული ღვინის ღირსება და არც ის უწყინან, თუ რა ფაქტორები განაპირობებენ ობიექტურად ამა თუ იმ რაოდენობის სიტკბოს შემცველი ღვინის დაყენებას და კეთებას და როგორ მოქმედებს ის ადამიანის ჯანმრთელობაზე.

„ყოველის კეთების ავკარგინობა, — გვეუბნება ილია ჭავჭავაძე — ნაკეთურმა უნდა გამოაჩინოს. რამოდენადაც ნაკეთარია



კარგი ან ცუდი, იმოდენად კეთებაც კარგი, ან ცუდი უნდა იყოს. ეს აშკარაა. ერთმა რომ კარგი ურემი ვერ გააკეთოს, მეორე ვერ იტყვის, გამკეთებელს ურემის კეთება არა სცოდნიაო. ჩვენის ღვინის ოსტატობის დამწუნებელს რომ ჩვენი ღვინო ესინჯა და მის ავკარგინობისაგან გამოეყვანა წუნი, მაშინ, რა თქმა უნდა, სიტყვას ვერ შევუბრუნებდით. მაგრამ ესეც არ იქცევა. მას უნახავს, ან გაუგონია, რომ ევროპაში სხვადასხვა ოსტატობაა ღვინის კეთებისა და დაყენებისა, და რადგანაც მაგავე ოსტატობას აქვერა ჰხედვენ, მარტო ამით სწუნობენ ჩვენებურს ღვინის კეთებას“ (იქვე).

ქართული ხალხური ნათქვამია: „ხე ხილისაგან, ხილი ხისგან იცნობებაო“.

შემდეგ ილია ჭავჭავაძეს მოჰყავს ევროპაში დამკვიდრებული ღვინის კეთების სხვადასხვა მეთოდი, როგორცაა „შანტალიზაცია“, „გალიზაცია“, „ფუქსინიზაცია“, რომლებიც ითვალისწინებენ ყურძნის წვენში სხვადასხვა მინარევის შერევას. და ჩვენი ღვინის დაყენებისა და კეთების წუნმდებლების (მინაურის და გარეულის) მისამართით სვამს კითხვას: **„რატომ აღარ იკითხვენ, რომ ამ ოსტატობით და მეცნიერებით კეთება ღვინისა ღვინის სუნსლა**

არჩენს ყურძნის წვენსა? რატომ არ იკითხვენ, ეგრეთ ნაკეთები ღვინო ღვინად ჩაითვლებოდა, ესე იგი იმ მარგებელ სასმელად, რომლისთვისაც ბუნებური, მართალი ღვინოა დანიშნული? (იქვე).

„მიგრაციული პროექტის“ ავტორებისთვის და სამხრეთ აფრიკელი ბური-ფერმერებისათვისაც, რომლებიც გვპირდებიან ჩვენი ქართული ყურძნის წვენის მეშვეობით ღვინის პოპულარიზაციას, ყურადსაღები გაკვეთილი უნდა იყოს ილია ჭავჭავაძის შეგონება:

„ყოველს სასმელს თუ საჭმელს, ყოველთ უწინარეს უპირველესი ღირსება უნდა ჰქონდეს, რომ აგებულებისათვის მარგებელი იყოს და მაინცდამაინც მანყინარი არა. ყურძნის წვენის სხვადასხვა ოსტატობით და მეცნიერთაგან აღმოჩენილ ნამლებით გადასხვაგება ნუთუ ისე ბრმად მოსაწონია, რომ ამის მიხედვით დაიწუნოს კაცმა ჩვენებური ღვინის კეთება, რომელიც მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ყურძნის წვენს არა რა შეერიოს და ღვინოს თავისი ბუნებური, შეურეველი თვისება ჰქონდეს! ეგ რალაც „პლატრაგე“ — ია და „ფუქსინიზაცია“, ძალიან გავრცელებულია თურმე სამხრეთს საფრანგეთსა, ისპანიასა და იტალიაში. ნუთუ ეს საკმაოა, რომ ჩვენც ამათ ავყვეთ და ჩვენი მარგებელი სასმელი მანყინარად და ადამიანის მოსაწამლავად გადავაქციოთ“ (იქვე).

ბატონებო! ის ფაქტი, რომ ევროპაში ქართული ღვინოები ნაკლებ პოპულარულია, არ გვამართლებს, ამის საპირისპირო ღვინისძიებად 40 000 ბური ჩამოვასახლოთ საქართველოში. ქართული ღვინოები ნამდვილი ყურძნის წვენისგან დამზადებული ღვინოებია, ყოველგვარი მინარევის გარეშე დაყენებული და საჭიროა შესაბამისი მარკეტინგული კვლევების ჩატარება ევროპელი მომხმარებლის მოთხოვნების გასაკეთილშობილებად (მერე რა რომ ისინი ევროპელები არიან. ისინიც უნდა მიხვდნენ და დაიჯერონ, რომ ჩვენგან

ნაც რალაცის სწავლება სჭირდება მათი გემოვნების ხელახლად ჩამოსაყალიბებლად ნამდვილი ღვინოების მოხმარების მიმართ). რუსეთის მხრიდან ქართული პროდუქციის (მათ შორის ღვინის) ემბარგოს დაწესების შემდეგ მთავრობისა და პარლამენტის წევრების სხვადასხვა მრავალრიცხოვანი დელეგაციის სიარული უცხო ქვეყნებში, ჩემი აზრით, უფრო პროპაგანდისტული ხასიათისა იყო, ვიდრე მარკეტინგული კვლევისა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ დელეგაციები დაკომპლექტებული იყო მაღალი სამთავრობო დელეგაციებით, ანუ „კაბინეტის კაცებით“, და არა ღვინის უშუალო მწარმოებლებით.

ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკისთვის ერთ-ერთი ეფექტური სამოქმედო პრინციპია საქონლის (მომსახურების) მწარმოებლებისა და მომხმარებლების უშუალო კავშირის დამყარება.

აქ აუცილებლად ნამოყოფს თავს მეორე საკითხიც, რომელიც პერსპექტივაში კიდევ უფრო მეტად შეუშლის ხელს ქართული ღვინოების პოპულარიზაციას.

საქართველოში ბური ფერმერების „ოსტატობით“, როგორც ჩანს, მინარევებით დამზადდება

ღვინო და მსოფლიო ბაზარზე, ალბათ, ქართული ღვინის სახელით გავა, ოღონდ, ფაქტობრივად, არ იქნება ქართული. ეს ხომ აუცილებლად დააბნევს მყიდველს. მინარევებისაგან დამზადებული ღვინის თუნდაც ერთ მომხმარებელსაც რომ დაემართოს ის, რასაც აღწერს ერთი დასავლელი მეცნიერი ჰუსსონი, მაშინ პასუხი ქართულ ღვინოს უნდა მოეთხოვოს? ამ მეცნიერის ნათქვამს და განცდილს ილია ჭავჭავაძე ასე აღწერს:

**„ამ ფუქცინით შეზავებული ღვინის ერთი ჭიქა დავლიე თუ არა, მაშინვე ყელი გამიშრა და შემეკუმშა, ტურჩებზედ და ტურჩის კუთხეებში რალაც უგემურობა ვიგრძენი. ასე, რომ იძულებული გავხდი, ენით მესველებინა ნამდაუნუმ. გემო შაბით ნაკეთებს ღვინოს უგვანდა, ენა და ტურჩები ცოტაოდნად შემეღება, გულისზიდილი ვიგრძენი უფრო იმისგან, რომ მაგისტანა ღვინო უნდა დამელია“** (იქვე).

მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ხშირად ვრცელდება ცნობები უცხოეთის ბაზრებზე ღვინის მაქინატორების მიერ თავიანთი ფალსიფიცირებული ღვინოების ქართული ღვინის მარკით რეალიზაციის ფაქტების შესახებ.

ჯერ მათთან გვიჭირს სამართლებრივი საკითხების მოგვარება და ახლა სამხრეთ-აფრიკელი ფერმერების მიერ ქართულ ყურძნის წვენზე სხვადასხვა გარე მინარევებით დამზადებული და ჩვენივე ქვეყნიდან გატანილი ღვინოებილა გვაკლია? ეს ხომ, მომხმარებლის მოთხოვნების მიმართ სათუთი მოპყრობის მაგიერ, მის დაშინებას გამოიწვევს და აუცილებლად დაგვაკარგვინებს მას, როგორც ჩვენი ღვინოების მომხმარებელს.

ილია ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „ეს ფუქსინით ნაკეთები ღვინო ისეთი მანყინარია, რომ უკაცრავად არ ვიყოთ — შარდსა ნითლადა ჰღებავს და ადამიანს ტანში ჰხსნის, მოდიოთ და ამას იქით გვითხარით, რატომ ფუქსინით ღვინოს არ აკეთებთ!.. რატომ „ფუქსინიზაცია“ — ეს მაღალხმოვანი სისტემა, მიღებული არა გაქვთ-თქო!.. იქნებ ბევრში ცუდად ვექცეოდით ღვინოსა ჩვენში, მაგრამ ამას-კი ვიტყვით, რომ **ცუდად ნაკეთები ღვინო და მარგებელი უმჯობესია, ვიდრე კარგად ნაკეთები და მანყინარი**“ (იქვე).

ილია ჭავჭავაძე მას შემდეგ, რაც დანვრილებით აღწერს ქართულად ღვინის დაყენების ყველა პროცესს (შრომითს და ბუნებრივს), ქართული ღვინის დაყენებისა და კეთების წუნმდებელთა საყურადღებოდ ასკვნის, რომ „მათი წუნი მიზეზთა და საბუთთა გაჩხრეკასა და გამორკვევაზე არ არის დამყარებული“.

„ეს მეტისმეტი კადნიერებაა ერის წინაშე, ნამეტნავად, როცა ერისაგან შეთვისებულს და წარმოებულს საქმეს მთელის ათასის წლის ისტორია აქვს და, მაშასადამე, მთელის საუკუნეების გამოცდილება წინ უდევს. ჩვენ არ ვიტყვით, რომ ამისთანა შემთხვევაში ხანგრძლივობა ყოველთვის სიმართლეს მოასწავებდეს, მაგრამ იმოდენად პატივსაღები კია ცნობიერის კაცისაგან, რომ განურჩევლად, გამოუძიებლად უარყოფას იუცხოვებს და უკადრისობად ჩასთვლის“ (იქვე).





# ნიც ნავალით თუ უკან?

## ნორჩ მემანიატორთა კონკურსი

რესპუბლიკის ზონებში გამარჯვებულმა 25 ჭაბუკმა და ქალიშვილმა მიიღო მონაწილეობა ნორჩ მემანიატორთა მეოთხე რესპუბლიკურ კონკურსში, რომელიც საგარეჯოს რაიონის გარეჯის მეცხოველეობის საბჭოთა მემურნეობის მინდვრებში გაიმართა.

კონკურსში გამარჯვა საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთის საშუალო სკოლის მეცხრაკლასელმა ვეფხია სვიმონიშვილმა.

მას გადაეცა კონკურსის მთავარი ჯილდო — საგარეჯოელი მემანიატორის, სოციალისტური შრომის გმირის ივანე ალექსაშვილის სახელობის პრიზი.

მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს სამტრედიის რაიონის კულაშის საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა რამაზ ლეუაშამ და ზნაურის პირველი საშუალო სკოლის მეათეკლასელმა დავით ჩუბინიძემ. წარმატებით გამოვიდნენ, აგრეთვე, წყალტუბოს ზონის მუხი-

ანის საშუალო სკოლის მეათეკლასელი ლევან ჩოგოვაძე და მასპინძელი რაიონის პატარა ჩაილურის საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე ხვიჩა მესხიშვილი.

კონკურსის მონაწილეებმა დაათვალიერეს დავით გარეჯის მონასტერი, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმი პატარძელში, გაეცნენ გარე კახეთის სხვა ღირსშესანიშნაობებს.

(საქინფორმი)

## ამინდი და მოსავალი

მაისის დადგომისთანავე რესპუბლიკაში საგრძნობლად ჩამოცხა. მშრალმა ამინდმა სწრაფად გააშრო ნიადაგი. ფერხდება საგაზაფხულო კულტურების თესვა, ბოსტნეულის რგვა.

აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეული რაიონები 15 მაისის შემდეგ პრაქტიკულად ყოველდღე ისეტყვება და ზიანდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. მიუხედავად ამისა, ნალექები რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებშიც ნორმაზე გაცილებით ნაკლები მოვიდა. ნიადაგის ნახევარმეტრიან ფენაში ტენის პროდუქტული მარაგი 45-50 მმ-მდე შემცირდა, რაც ამ პერიოდის საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობის მხოლოდ 50-65 პროცენტს შეადგენს.

როგორც ადრე ვწერდით, სამხრეთ საქართველოს მთიანეთში თოვლი პრაქტიკულად დადნა და ამ აუზის მდინარეებზე თოვლის დნობისაგან გამონვეული მნიშვნელოვანი წყალდიდობა მოსალოდნელი არაა, ამ დღეებში ჩვენ მიერ ჩატარებულმა ავიაგამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ კავკასიონის სამხრეთი ფერდობები, ზღვის დონიდან 1800-2000



მეტრს მაღლა, კვლავ მძლავრ თოვლის საფარშია გახვეული. მისი სიმაღლე ჯვრის გადასასვლელზე 260 სმ-ს აღწევს. ამ რაიონებში ჰაერის ტემპერატურა ღამითაც დადებითია, რაც თოვლის ინტენსიურ დნობას იწვევს. თოვლი ძალიანაა გამკვრივებული, მას დიდი წყალშემცველობა აქვს და ამიტომ, ინტენსიური დნობის მიუხედავად, მისი სიმაღლე მცირედ კლებულობს. წყლიანობა ენგურში, ცხენისწყალზე, ლიახვში, აგრეთვე, რიონისა და არაგვის ზემო წელში დიდია. წყლის ხარჯვამ ლიახვის ქვემო წელში უკვე გადააჭარბა აბსოლუტურ მაქსიმუმს. უახლოეს დღეებში სიტუაცია ზემოთ ჩა-

მოთვლილ მდინარეთა აუზებში კვლავ დაძაბული იქნება.

პროგნოსტიკული ინფორმაციის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ რესპუბლიკაში შავი ზღვის მხრიდან გავრცელება ევროპის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებიდან გადმონაცვლებული ჰაერი. ამიტომ დასავლეთ საქართველოში მოიღრუბლება, იწვიმებს. დღის ტემპერატურა დაიკლებს. აღმოსავლეთ საქართველოში დაუბერავს დასავლეთის ქარი. იწვიმებს ცალკეულ რაიონებში და ზოგან კვლავ შეიქმნება სეტყვის წარმოქმნის პირობები.

**ჯემალ დოლიკა,**  
საქართველოს ჰიდრომეტეოლოგიის  
მთავარი ინჟინერი.



### მივხედოთ ბაღებს!

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის გადამწყვეტილებით 25-26 აპრილს გაიმართება ხეხილის ბაღების რესპუბლიკური დათვალიერება. დათვალიერების მიზანია საზოგადოებრივი მეურნეობების ხეხილის ბაღების მოვლაპატრონობის გაუმჯობესება და ხილის უხვი მოსავლის მიღება.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სააგრომრეწველო კომიტეტებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტს,

ქალაქებისა და რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებს დაევალიერება განახორციელონ მაღალ ორგანიზებულ დონეზე. ამისათვის უნდა შეიქმნას რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული და საქალაქო კომიტეტების დამთვალიერებელი კომისიები, ასეთივე კომისიები უნდა შეიქმნას, აგრეთვე, საზოგადოებრივ და სხვა მეურნეობებში.

კომისიებმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ საზოგადოებრივ მეურნეობებში ხეხილის ბაღების მდგომარეობა. აგროტექნიკურ ღონისძიებათა შესრულების, აგ-

როვადების დაცვისა და შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის მიხედვით შეაფასონ განეული მუშაობა.

იმ კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების, აგროგანყოფილებების, ბრიგადების ხელმძღვანელთა, რომლებიც ვერ მიიღებენ სათანადო შეფასებას, პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად შეიტანონ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, ხოლო დათვალიერების საბოლოო შედეგები განსახილველად წარადგინონ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტში.

## მტკიცე საფუძველი ჩაუყაროთ 1987 წლის მოსავალს!

### მეჩხერი ვენახი რა ვენახია

საგარეჯოში გვითხრეს, უკანასკნელ წლებში რაიონში ვენახების მეჩხერიანობის ლიკვიდაციას მეტი ყურადღება ექცევაო.

ისმება კითხვა: თუკი ყურადღებაც ექცევა და ღონისძიებებიც ყოველწლიურად აგროტექნიკის მიხედვით სრულდება, მეჩხერეიანობა 24 პროცენტს რატომ აღწევს?

ამ რამდენიმე წლის წინ რაიონში მეჩხერეიანობა 47 პროცენტამდე იყო, მაგრამ მისი დიდი ნაწილი ამორტიზებულ ვენახებზე მოდიოდა, რომლებიც უკვე ამოძირკვეს. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ვენახები ჯერ კიდევ ძალიან მეჩხერეია. მეჩხერეიანობის სალიკვიდაციოდ მასშტაბური სამუშაოს შესრულებას ვერ ახერხებენ მუშახელის სიმცირის გამო. სინამდვილეში კი რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები შრომითი რესურსების სიმცირეს სულაც არ განიცდიან, პირიქით, ერთობ

მჭიდროდ დასახლებულიც კია აქაური სოფლები, მაგრამ იმის გამო, რომ რაიონი ჩვენს დედაქალაქთან ახლომდებარე დასახლებაა, ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივი მოვლენაა რაიონიდან მუშახელის მასობრივად წასვლა ქალაქის სანარმო-დანესებულებებში, ასე მოხდა აქაც. რის გამოც, რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში მუშახელის პრობლემა იყო წინა წლებში და არის ახლაც.

რაიონის მცხოვრებთა დიდი ნაწილი მიდის ქალაქად, მეურნეობის ხელმძღვანელთა გულისტკივილი ჭეშმარიტებასთან ახლოსაა, მაგრამ შრომის სწორი ორგანიზაციით, პასუხისმგებლობისა და დისციპლინის განმტკიცებით ეს პრობლემა დღის წესრიგიდან მოიხსნებოდა ან ასე მწვავედ არ დადგებოდა.

გეგმა კანონია. დაიგეგმა? უნდა შესრულდეს! მისი შესრულება კი რაიონში უხარვეზოდ არ ხერხდება, ირღვევა საგეგმო დის-

ციპლინა. აი, თუნდაც ბოლო 1984-1985-1986 წლებში მეჩხერეიანობის წინააღმდეგ მოსავლიან ვენახებში უნდა გადანიღწულიყო და გახეივნებულიყო 3 341 400 ძირი ვაზი, ფაქტობრივად, გადახეივნდა და გადაინიღწა 2 953 600 ძირი. მეჩხერი ვენახების გამორგვით შევსება საერთოდ არ შესრულებულა. შარშან საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მაქსიმალურად ვერ გამოიყენეს ის შესაძლებლობებიც, რომლებიც გააჩნდათ და სანერგე მეურნეობებიდან ვენახების გაშენებისა და რემონტისათვის გამოყოფილი 956 000 ძირი ვაზის ნერგი არ გაიტანეს.

ზემოთ ვახსენეთ, ვენახებში ვაზის გამორგვის გეგმა არ შესრულებულა არა მარტო შარშან, არამედ წინა წლებშიც.

როგორც ვიცით, საზოგადოებრივ მეურნეობებში დღემდე პრაქტიკულად არაა დანერგული მოსავლიანი ვენახების ორწლიანი ნერგებით გამორგვა. საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელებს საერთოდ არ სურთ ამაზე ლაპარაკი. ამბობენ, რომ 2-წლიანი ნერგების გახარება მსხმოიარე ვენახებში შეუძლებელიაო. საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მე-





ვენახეობის მთავარი სამმართველოს მიერ შეთავაზებულ რეკომენდაციაზე — გამორგონ მოსავლიანი ვენახებში 2-წლიანი ნერგები, თავს იკავებენ. ამ თავშეკავებს მიზეზი როცა გამოვიკითხეთ, მიზეზმა კვლავ ჯაჭვის ჩავარდნილ რგოლთან მიგვაყენა.

განსაკუთრებით მევენახეობისთვისაა კარგად ცნობილი, თუ რამდენი შრომა და ენერჯია სჭირდება ერთი ან ორწლიანი ნამყენის გახარებას. მოსავლიანი ვენახე-

ბის და ახალშენის აგროტექნიკაც განსხვავდება. თუ მრავალწლიანი ვაზი ზაფხულში წყლის დეფიციტსაც გაუძლებს და იმასაც, რომ სარეველამ თავზეც გადაუაროს, ორწლიანი ნამყენი ორივე შემთხვევაში დაკნინდება ან უთუოდ დაილუპება. საჭიროა სეზონის განმავლობაში მისი, სულ მცირე, ექვსჯერ მორწყვა და ამდენჯერვე გამოთონა, მეურნეობაში ამჟამად არსებული მუშახელის იმედად კი ეს ღონისძიება იმთავით-

ვე განწირულიაო, — გვითხრეს საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელებმა. თითქოს ლოგიკური მსჯელობაა. მაგრამ, საინტერესოა, ეს ხელმძღვანელები რა ორგანიზაციულ ღონისძიებებს ახორციელებენ მუშახელის მოსაზიდად?

ამ პრობლემის გადაჭრა დიდადა დამოკიდებული სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის დარიონის აგროსამრეწველო გაერთიანების შეთანხმებულ მუშაობაზე.

### ალმასვლის გზით

ბოლნისის მეფრინველეობის საწარმე მეურნეობა-რეპროდუქტორი ის მთავარი საწარმოა, რომელიც თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკას ერთდღიანი წინილებით ამარაგებს. იგი 1982 წელს სახელმწიფო კრედიტზე აშენდა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ სადღეისოდ უკვე სასურველ პოზიციებზე გავიდა. ამის მთავარი ფაქტი ისაა, რომ შარშან მიღებულმა შემოსავალმა არამარტო გადაფარა გასავალი, არამედ 5000 მანეთი მოგებაც მიიღო. მაშინ, როცა რეპროდუქტორი დაგეგმილი იყო 148 000 მანეთის ზარალზე.

წარმატებები მტკიცეა და კავშირებული რეპროდუქტორში მოზარდეულის შენარჩუნების მაღალპროცენტთან, საკვების ყაირათიან ხარჯვასთან, სწორ მართვასთან.

მეურნეობა-რეპროდუქტორის



კოლექტივმა (დირექტორი ლერი ესიაშვილი) წარმატებით დაამთავრა მიმდინარე წლის პირველი კვარტალიც. კერძოდ, გეგმური 220 000 ფრთა წინილის მაგიერ თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკას ჩაბარდა 238 000 ფრთა, 2 მილიონი ცალი კვერცხის მაგი-

ერ წარმოებულია 2 406 000 ცალი და დამზადებულია 62 ტონა ხორცი, 30 ტონის მაგიერ.

მეურნეობა-რეპროდუქტორის საწარმოო ბრიგადებს შორის დანაწილდა კვერცხმდებელი ფრინველის საამქრო, რომელსაც რამაზ დევნოზაშვილი ხელმძღვანელობს.



**სურათიებზე:** სანაშენე მეურნეობა-რეპროდუქტორის კვერცხმდებელი საამქროს უფროსი რამაზ დევნოზაშვილი (მარცხნიდან), მთავარი ვეტექიმი ალიმხან გასანოვი და მოწინავე მეფრინველე ხანუმზარ მამედოვა ამონებენ ფრინველის ჯანმრთელობას; მეურნეობა-რეპროდუქტორის ახალგაზრდა თანამშრომელთა ერთი ჯგუფი.

პარლამ ბენბიურის ფოტო

ბაზეთი „სოფლის ცხოვრება“, 1987 წელი, მაისი

# თბილისური ყოფა XVII-XVIII საუკუნეებში

XVII-XVIII საუკუნეების თბილისი ნახევრად აგრარული ქალაქი იყო. მოსახლეობა ქალაქურ ცხოვრებას მინათმოქმედებასაც უთავსებდა. თბილისელებს საკუთარ სახლებთან ან ცოტა მოშორებით პირად სარგებლობაში ჰქონდათ სახნავ-სათესი მიწები, ბაღ-ბოსტნები, ვენახები, სასმელი წყაროები თუ სარწყავი რუ-არხები.

თბილისში, ისევე, როგორც წინა საუკუნეებში, გარდა ქართველებისა, სხვა ეროვნების ხალხიც მოსახლეობდა. ამ დროს უკვე გამოკვეთილი ჩანდა მოსახლეობის გარკვეული ეთნიკურ-კონფესიური ნიშნის მიხედვით გამოყოფილი უბნები. თბილისელები ძირითადად თავთავიანთი სალოცავის მახლობლად სახლდებოდნენ (იქნებოდა ეს ქართველთა, სომეხთა თუ კათოლიკე ქრისტიანთა ეკლესია, სუნიტ თუ შიიტ მუსლიმანთა მეჩეთი, ებრაელთა სინაგოგა), შესაბამისად იქმნებოდა უბნებიც. ასე ჩნდებოდა თბილისში პატრების, ანუ „ფრანგების“, სომეხთა, ებრაელთა და მუსლიმანთა უბნები.

თბილისური სახლისთვის აუცილებელი იყო ეზო. ეზოში, გარდა საცხოვრებელი ნაგებობისა, იდგა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანიც: სათონე, მარანი მისი ჭურებით, საჯინიბო, საბძელი. ზოგიერთ საცხოვრებელ ნაგებობას აივანიც ჰქონდა, სარდაფიც, საყინულეც, ხოლო ეზოს — ჭიშკარი. გამორჩეული იყო თავისი ბრწყინვალეობით მეფე-დიდებულთა სასახლეები.


**აპეჯი.** ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ ავეჯეულობის ისტორია ყველაზე უფრო ღარიბია XVII-XVIII სს. ამის ერთ-ერთი მიზეზი სპარსეთის გავლენა იყო. XVII-XVIII სს. უცხოელი თუ რუსი მოგზაურები ერთად აღნიშნავენ, რომ საქართველოში ხმარებაში არაა მაგიდა და სკამები. შარდენის მოგზაურობის წიგნში ჩართული სურათის მიხედვითაც, სადაც მოცემულია ნადიმი თბილისში ვახტანგ V-ის კარზე, სტუმრები ფეხმორთხმულები სხედან.

XVII-XVIII სს. მზითვის წიგნებში ხშირად იხსენიება „თახჩაფუშები“, რაც თახჩის ფარდას, თახჩის ჩამოსაფარებელს ნიშნავს. თახჩები დამახასიათებელი იყო თბილისური სახლის შიდა ნაწილისთვის. გიორგი XIII-ს საძილე ოთახში აღ-

მოსავლეთის მხარეს დიდ თახჩაში ხატები ესვენა. სხვა შემთხვევებში თახჩებში საოჯახო ნივთები ინახებოდა, ამიტომ თახჩა ავეჯის როლს ასრულებდა. საძილე ავეჯის შესახებ ცნობები არ გაგვარჩნია, მაგრამ ივარაუდება, რომ ხის ავეჯი იხმარებოდა. საკვების, ჭურჭლეულის, ტანისამოსის შესახად კი სკივრებს, ზანდუკებსა და კიდობნებს ხმარობდნენ.

**ჭურჭელი.** ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „მაშინაც, როდესაც საქართველოს ძველი კულტურა დაკარგული ჰქონდა და მისი სიმდიდრე განიავებული იყო, ხელმწიფის კარის გარეგნობისა და რუსი ელჩების მოხსენებების ნაკითხვა ადამიანს განცვიფრებაში მოიყვანს, იმდენად მრავალგვარი ჭურჭელი იყო ჯერაც შემონახული საქართველოში“. ივ. ჯავახიშვილი ჭურჭელს აჯგუფებდა მასალის, დანიშნულებისა და აღნაგობა-მოყვანილობის მიხედვით.

**უცხოელ ავტორებს აცვიფრებდათ მეფისა თუ დიდგვაროვანთა ნადიმებზე მოხმარებული, კეთილშობილი ლითონისაგან დამზადებული ნაირსახეობის ჭურჭელი — ოქრო-ვერცხლის თევშები, თუ ჯამ-ფიალები, ღვინის ნაირსახეობის სასმისები, სურე-**



**ბი და სხვ.** ივ. ჯავახიშვილს მოტანილი აქვს მაგალითები ფეშანგის პოემიდან, თუ რაოდენ ძვირფასი ჭურჭელი ტრიალებდა ვახტანგ V-ს სასახლეში თბილისში მეჯლისისა თუ ქორნილის დროს.

თბილისში მყოფ შარდენს ვახტანგ V-სთან გამართულ ნადიმზე განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ძვირფასი ლითონების ნაკეთობებზე. მისი ცნობით, ნადიმების დროს „მთელი დარბაზი ორმოცი დიდი ჩირალდნით იყო განათებული, ოთხი მათგანი, რომელიც მთავართან (ე. ი. მეფესთან) ახლოს იდგა, ოქროსი იყო, დანარჩენი კი ვერცხლისა. ერთი ცალი ასეთი ჩირალდანი ჩვეულებრივად ორმოც გირვანქას იწონის“. შარდენს ყურადღება მიუქცევია, აგრეთვე, სუფრაზე გამოტანილი ვერცხლის დიდი ლანგრებისთვის. „ევროპაში ასეთ დიდ ლანგრებს არ აკეთებენ, ასეთი ლანგარი ხუფიანად ჩვეულებრივ ორმოცდაათ ან სამოც მარკას იწონის“, — აღნიშნავდა ფრანგი ვაჭარი. შარდენს არც სხვა ჭურჭელი გამორჩენია მხედველობიდან. იგი წერდა: „აქ იყო დაახლოებით ასოცი ფიალა, თასი, ხელადა და ყანწი, სამოცი სურა და თორმეტი აზარფეშა. თით-





ქმის ყველა აზარფემა ვერცხლისა იყო. სურები ან სადა ოქროსი იყო, ან მომინანქრებული ოქროსი. თასები და ხელადები ზოგი ოქროთი იყო დაფერილი, ზოგიც ოქროთივე მოხატული, ზოგსაც ძვირფასი ქვები და ვერცხლის მოჭედობა ამშვენებდა. ყანნებიც თასების მსგავსად იყო მოზარნიშებული“.

მეფის სასახლეში ყოველდღიურად სახმარი — სანიდაგო ჭურჭელიც ჰქონდათ, რომელსაც „უმეჯლისო“ რქმევია. ასეთი ჭურჭელი იყო სპილენძის, თიხისა და ხის. სპილენძის, თიხისა და ხის იყო მთლიანად მეფე-დიდებულთა სამზარეულოს ჭურჭელი: სხვადასხვა ზომის ქვაბები, ქოთნები, ტაფები, კოვზ-ქაფქირები, ჯამები, თასები და ა.შ. სპილენძისა იყო, აგრეთვე, სააბანოვე ჭურჭელი: ნყლის სათბობი ქვაბები და თუნგები, სხვადასხვა ზომის ტაშტები და სხვ.

თბილისის მოსახლეობას ან არ ჰქონდა, ან ძალიან იშვიათად, კეთილშობილი ლითონებისაგან დამზადებული ჭურჭელი. ისინი ძირითადად სპილენძის, თიხისა და ხის ჭურჭელს ხმარობდნენ. თბილისელი ხელოსნების — მეჭურჭლე ალექსას (1659 წ.), მეჭურჭლე მამუკას (1683 წ.), მეჭურჭლე სულხანას (1753 წ.), მექვაბე ფასუას (1719 წ.), მექვაბე დათუას (XVIII ს. პირველ ნახევარში) და სხვათა კერამიკული თუ სპილენძის ნაკეთობანი პირველ რიგში თბილისის მოსახლეობის ფართო ფენების მოხმარებისათვის იყო გამიზნული.

**სუფრის წესები.** ქართული სუფრის წესების შესახებ საინტერესო მასალები აქვთ ფეშანგი ფაშვიბერტყაძეს, მეფე-პოეტ არჩილს, თეიმურაზ მეორეს, საქართველოში მყოფ უცხო ავტორებს და სხვ. მაგრამ მათი აღწერილობანი უმთავრესად მეფე-დიდებულთა საზეიმო სუფრებს — მეჯლის-ნადიმებსა თუ ქორწილებს შეეხება.

სამწუხაროდ, წყაროებში თითქმის არაფერია უბრალო ხალხის ყოველდღიური, ყოველჯერადი პურობის შესახებ. „შაჰნავაზიანში“



(XVII ს. 60-იანი წწ.) აღწერილია ვახტანგ V-სა და როსტომ მეფის ქვრის, მარიამის ქორწილი თბილისში. ამ აღწერილობაში მეტი ყურადღება აქვს დათმობილი მეფის ქებას და ქორწილის ბრწყინვალეების აღწერას, მაგრამ მაინც შეიძლება ჩვენთვის საინტერესო მასალის ამოკრეფა. კერძოდ, აქ არ ჩანს, რომ ქალები და მამაკაცები გაცალკეებით ისხდნენ სუფრასთან.

ქორწილისა და ძეობის დროს პურობის ამბები დანვრილებით აქვს აღწერილი თეიმურაზ II-საც. მისი აღწერილობით, სუფრის გარკვეული წესი არსებობდა. ზოგჯერ ქალები და მამაკაცები სუფრასთან ერთად სხდებოდნენ, სუფრასთან ერთად მსხდომთ თეიმურაზი „მეერთჭამეებს“ უწოდებს, ხოლო თვით ერთად პურობის პროცესს „ერთაჭამას“ (ერთად ჭამას). თეიმურაზის მიხედვით „ერთაჭამა“ ხდება ქორწილში, ქალის ოჯახში.

ასევე ერთად სხედან სუფრასთან ქალები და მამაკაცები ძეობის გადახდის დროსაც. მაგრამ გახანგრძლივებული ქორწილის დროს ვაჟის სახლში ქალები და მამაკაცები სუფრასთან უკვე ცალ-ცალკე სხდებიან. ასევე დილის პურობაზე ვაჟის სახლში: „სადილსა სჭამენ ცალ-ცალკე, სუფრას მალ აიღებდესო“.

**საინტერესო დაკვირვებები აქვს ქართული სუფრის შესახებ ჟან შარდენსაც.** მისი ცნობით, საქართველოში ქალები და მამაკაცები ერთად ჭამენ, ერთად არიან ისინი საახალწლო ზეიმზეც, მაგრამ ჭირის სუფრაზე და აღდგომა დღეს ქალები და მამაკაცები სუფრასთან ცალ-ცალკე სხდებიან.

**შარდენი განცვიფრებული დარჩენილა ქართული სუფრისათვის დამახასიათებელი წესრიგით და მომსახურეობით,** რაც მას თბილისში ვახტანგ V-ის კარზე უნახავს. იგი წერდა: „კერძები საოცარი წესრიგითა და უხმაუროთ შემოქმენდათ. ყველა უხმოდ ასრულებდა თავის საქმეს. ერთ მაგიდაზე მსხდომი სამი ევროპელი უფრო მეტს ხმაურობს, ვიდრე ამ ნადიმზე მყოფი ას ორმოცდაათი კაციო“.

მართლაც, მეფის სასახლეში სტუმრის მიღების თუ ყოველდღიური პურობის მკაცრად შემუშავებული, ჩამოყალიბებული თუ წერილობით გაფორმებული ეტიკეტი არსებობდა და ამ წესების შესრულება მეფის კარზე სავალდებულო იყო.

სუფრაზე ქალებისა და მამაკაცების განცალკევების ჩვევას შარდენი საქართველოში სპარსეთის გავლენას მიაწერდა: „მას აქეთ, რაც ქართველები სპარსეთს დამორჩილდნენ, აქაურ ქალებს მამაკაცებთან ყოფნა ეკრძალებათ. ქალების თავისუფლება აქ თანდათანობით იკვეცება და ეს მშვენიერი სქესის წარმომადგენლები იძულებული არიან, მისდონ წესს და განცალკევებით მოიყარონ თავი“.



ქართულ სამეფლოსო სუფრაზე ჩვეულებად იყო მხიარულება. „შაჰნავაზიანში“ მოთხრობილია, როგორ ილხენდნენ ვახტანგ V-ის ქორწილზე.

სამეფლოსო სუფრაზე მონაწილეობდნენ პროფესიონალი მუსიკოსები — „მკვრელები“, ითქმებოდა ლექსები, „თამაშობდნენ“ — ე.ი. ცეკვავდნენ, მღეროდნენ და გალობდნენ.

შარდენის ცნობითაც, ვახტანგ V-ის კარზე მეფლისის დროს სუფრასთან ლხინს თან ახლდა მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენა. საინტერესოა, რომ XVIII ს. 60-იან წლებში თბილისელებისათვის უკვე ცნობილი იყო კათოლიკე მისიონერების მიერ იტალიიდან მოტანილი ნატიფი მუსიკალური ინსტრუმენტი ვიოლინო. და თუ ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო ვიოლინოზე ქართველი შემსრულებელი, ირანის გავლენაში მოქცეული ქართველი მსმენელები დიდი სიამოვნებით ეზიარებოდნენ ევროპულ მუსიკას.

სუფრის წევრებისთვის ზოგჯერ გართობა-სანახაობანიც იმართებოდა: ბურთაობა, ცხენბურთი, ჭიდაობა, „მუშაითობა“-ჯამბაზობა და ა.შ.

სამწუხაროდ, ჩვენთვის სრულიად უცნობია ქალაქის უბრალო მოსახლეობის სუფრის წესები, მაგრამ, ფიქრობთ, თუ უბრალო თბილისელთა ლხინ-ქორწილებს ისეთი მასშტაბები არ ჰქონდა, როგორც მეფე-დიდებულთა ქორწილ-მეფლისებს, მათი სალხინო სუფრებიც არ უნდა ყოფილიყო მოკლებული შნოსა და ლაზათს და სიმღერა-შაირობა, ქალაქური მუსიკა, მახვილსიტყვაობა და ცეკვა-თამაში თბილისელთა ლხინის თანმხლები უნდა ყოფილიყო.

**თბილისელთა კვება.** XVII-XVIII სს. ბაჟის, ნიხრების თუ თბილისელ მოხელეთა სარგოს ნიგნები საშუალებას გვაძლევენ გავეცნოთ თბილისური ბაზრების საქონელს — კერძოდ, კვების პროდუქტებს. რადგან ამ ხანებში თბილისი ნახევრადაგრარული ქალაქი იყო, მოსახლეობას თვითონვე ჰქონდა მიწის პატარა ნაკ-

ვეთებზე გაშენებული ბალ-ბოსტან-ვენახები, თუ პურეულის ყანები და ჰყავდა შინაური ფრინველი და ცხოველებიც. ამიტომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზედმეტი ნაწილი — ხილი, ბოსტნეული, მწვანილი, პურეული, ხორცი თუ რძის ნაწარმი თვით ქალაქელებსაც შეეძლოთ გაეტანათ ბაზარზე. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნაწილი ადგილობრივ, სპეციალურად ბაზრისთვის მზადდებოდა (თუმანიშვილები), ხოლო ნაწილი ახლო სოფლებიდან თუ შორეული ქვეყნებიდან შემოდოდა. **თბილისის ბაზარზე კვების პროდუქტების დიდი ნაირსახეობა იყო:** პური და ღვინო-არაყი, ბატკანი თუ ჭყედილა, ბრინჯი თუ ერბო, შაქარი და ნუღლი, სამარხო ნიგვზით, ზეთისხილი, ძვირფასი თევზეული — გელანქური, ორაგული, ზუთხი, ხრამული, ფიჩხული, ხმელი თევზი — ზურგიელი, დოში, ხიზილა და სხვა მრავალი; სანელებლები: ზაფრანა, ილი, ბადიანი (სურნელოვანი სანელებელი), მიხაკი, დარიჩინი, ლაბლაბო და სხვ.

**მეფის სასახლეში ნადიმზე მყოფი შარდენი აღტაცებაში მოუყვანია არა მხოლოდ წესრიგს, არამედ მშვენიერ კერძებსაც.** სამი სახის პურს, ხორციან თუ შაქრით, დარიჩინით და ზაფრანით შეზავებულ ყვითელ, ბრონეულის წვენით შეზავებულ წითელ და თეთრ ფლავებს, ღვეზელებს, მოხრაკულ ხორცს მოტკბო და მომჟავო სანელებლით, მშრალად შემწვარ ხორცს; ნანადირევ ხოხობს, კაკაბსა და ფურ-ირმის ხორცს, რაც უხვად იყო მეფის სუფრაზე.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, როგორ მზადდებოდა მეფის სუფრაზე მირთმეული კერძები, მაგრამ „დასტურლამალიდან“ ვგებულობთ, რომ კერძების დასამზადებლად მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელსა და ქათმის ხორცთან ერთად იხმარებოდა ხახვი, ნიგოზი, ერბო, ხოლო საერთოდ კერძების შესაზავებლად ზაფრანა, ქიშმიში, ნუში, თაფლი, ხმარი და ა. შ.

XVIII ს. ერთი საბუთის მიხედ-

ვით, ქათამი ორგვარად მზადდებოდა — ჩიხირთმად და გატენილი. ცხვრის ხორცი კეთდებოდა ყალიათ-ტყემლით და ბორნათ-ერბოთი, ხოლო 140 კონა „ჭარხლის მკლავის მხალის“ შესამზადებლად ოთხი ლიტრა მანონი ყოფილა საჭირო. ეს ცნობები, რასაკვირველია, სრული არაა.

წყაროებში დასახელებული სანელებლები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ თბილისელებს გემრიელად შეზავებული კერძები უყვარდათ, მაგრამ გემრიელად შეზავება ყველა თბილისელს როდი შეეძლო. შორი გზიდან მოტანილი სურნელოვანი სანელებლები საკმაოდ ძვირადაც ფასობდა და საზოგადოების შეძლებული ნაწილი თვლიდა, რომ ძვირადღირებული კერძები მათი პრივილეგია იყო და არა მოსახლეობის დაბალი ფენებისა. იოანე ბატონიშვილი აღნიშნავდა: გლეხებსაო „პური და სხუანი საგლეხო ჭამადნი, უმეტეს საამოდ განაძღობს... და წყალი და ღვინო უფროს შეერგებისთ, მათ, ვიდრეა მდიდართა სხვადასხვა სასმელები და შარბათებიო“.

თუ საზოგადოების დაბალი ფენები იძულებული იყვნენ „საგლეხო ჭამადნიო“ დაკმაყოფილებულიყვნენ, სასულიერო პირები საგანგებოდ შერჩეული, უკვე რიტუალის თვალსაზრისით, კერძებით იკვებებოდნენ. შარდენს მოთხრობილი აქვს, რომ იმ მდიდარ სუფრაზე, რომელზეც მრავალფეროვანი მდიდრული კერძები შემოჰქონდათ, სამღვდელთათვის თევზი, კვერცხი და მწვანილი იყო.

მარხვის დღეებში ქრისტიანული რჯული ზღუდავდა ან სულაც კრძალავდა ცხოველური საკვების ხმარებას. ასეთ დღეებში ქართველები მცენარეული საკვებით იკვებებოდნენ, რასაც ზოგადად სამარხო (სახსნილოს საპირისპიროდ) ეწოდებოდა. სამარხო მცენარეული ზეთით ან ნიგვზით შეზავდებოდა ხოლმე. სამარხო კერძი ზოგჯერ რამდენიმე შემადგენელისგან მზადდებოდა. იოანე ბატონიშვილის ცნობით, ცხრაგვარი სამარხოსაგან დამზადებულ შეჭამანდს ცხრანვენა ეწოდებოდა.



კერძებთან ერთად ქართულ სუფრაზე აუცილებელი იყო ღვინო. სამეფო კარზე მოტანილმა ღვინოებმა შარდენი ალტაცებაში მოიყვანა. მეფე-დიდებულთათვის ღვინო სალხინო სასმელი იყო, ხოლო ღარიბი მოსახლეობისათვის, პურთან ერთად, — ყოველდღიური კვების პროდუქტი.

XVII-XVIII სს. თბილისში მეარაყეების არსებობა და „დასტურლამალში“ დაწესებული არაყხანის იჯარა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ დროს თბილისის მოსახლეთა შორის არაყს საკმაოდ ბევრი მომხმარებელი ჰყავდა.

თბილისის ბაზარი საკვები პროდუქტის ნაკლებობას არ განიცდიდა, მაგრამ კვების ნორმები და საკვების სახეობა ქალაქის შეძლებული და ღარიბი მოსახლეობისათვის ერთნაირი არ იყო.

**თბილისური აბანოები.** თუ X-XV სს. თბილისური აბანოების შესახებ ძირითადად უცხოელთა ცნობები გვაქვს, XVII-XVIII სს. ჩნდება ქართული დოკუმენტური მასალაც, საიდანაც ირკვევა, რომ თბილისური აბანოების დიდი ნაწილი კერძო პირთა საკუთრებას წარმოადგენდა და ესა თუ ის აბანო თბილისში თავისი პატრონის სახელით იყო ცნობილი: **მელიქენალას, დაუთხანის, ყიასა ვეზირის აბანო** და ა.შ. ან ზოგადად იწოდებოდა სახასო აბანოდ, ციხის აბანოდ, დიდ აბანოდ, პატარა აბანოდ და ა. შ.

აბანოთი სარგებლობისათვის ნიხრები იყო დაწესებული, რითაც აბანოს პატრონებს გარკვეული შემოსავალი ჰქონდათ. ამიტომ მთელი XVII-XVIII სს. მანძილზე თბილისური აბანოები ან თერმული წყლით სარგებლობის უფლება ყიდვა-გაყიდვის, ჩუქება-ბოძების, მზითვის თუ გაყოფა-დავის საგანი იყო.

აბანოების ნაწილში მხოლოდ ქართველობა დადიოდა. ზოგიერთ აბანოში ქრისტიანებთან ერთად მაჰმადიანებიც დადიოდნენ, ზოგი აბანო კი მხოლოდ მაჰმადიანებისთვის იყო დაწესებული, ქალებისათვის თუ მამაკაცებისათვის. თბილისურ აბანოებს არა



მხოლოდ ჰიგიენური დანიშნულებისათვის ხმარობდნენ, არამედ ადრევე შენიშნული ჰქონდათ გოგირდოვანი აბანოების სამკურნალო თვისებები. **შარდენის ცნობით, თბილისში გოგირდის წყალს სამკურნალოდ იყენებდნენ. თბილისური აბანოს სამკურნალოდ გამოყენება უცდია სნეულ კახეთის მეფეს — იმამყული ხანსაც. მას არც კი დაუცდია ქართლის გამგებლის — ვახტანგის ნებართვისთვის და „უცნობლად ვახტანგისა“ მისულა თბილისს სამკურნალოდ.** მაგრამ ვახტანგს ეს ამბავი სწყენია და იმამ-ყული ხანი იძულებული გამხდარა, ბოდიშით გაბრუნებულიყო უკან.

ფეიქრობთ, სამკურნალოდ დადიოდა ხშირად ავადმყოფი გიორგი XII-ც გოგირდის აბანოში. და ბოლოს, **თბილი აბანოების სამკურნალო სასწაულმოქმედების მითის გამო მოხდა, რომ 1795 წ. გოგირდის წყლით განუკურნებელმა საჭურისმა ალა-მაჰმად ხანმა ისინი ნაცარტუტად აქცია.**

თბილისური აბანოები არა მარტო ჰიგიენურ-სამკურნალო და-

წესებულებები იყო, არამედ ხალხის თავშეყრის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის, საჭირობოროტო თუ ყოფითი საკითხების გადაწყვეტის და გართობის ადგილიც.

თბილისელ ქალებს გარდა ძირითადი მოვალეობისა — შვილების აღზრდისა და საოჯახო საქმიანობისა, კომუნიობაც უყვარდათ. მოხდენილ ტანსაცმელთან და ლამაზ სამკაულებთან ერთად მათთვის უცხო არ იყო პირის კანის და წარბ-წამწამ-თმის შეღებვა და მოვლა-გალამაზება.

თბილისელ ქალებს პირად საკუთრებაში ჰქონდათ დაბანვის პროცედურასთან დაკავშირებული „აბანოს იარაღები“ და „საპირფარეო იარაღები“ — პირის კანისა და წარბ-წამწამ-თმის მოვლისათვის განკუთვნილი საგნები.

აბანოში მიმავალ თბილისელ ქალებს თან მიჰქონდათ „აბანოს ბოლჩებში“ გამოკრული „აბანოს იარაღები“ — საპნები, ქისები, „ფეხის ქვები“ — ლითონით შემკული მინქაფისაგან (პემზა) დამზადებული ფეხის სახეხები, ინის დასალბობი ჯამები, სავარცხელ-

თმისსაყოფები, შესამშრალელებელი თუ დასაფენი ზენარ-სუზანები, „აბანოს პერანგები“ და ა.შ.

ბანაობის შემდეგ საგანგებო საღებავებით (ფერით — წითელი საღებავითა და უმარილით — მათეთრებელით) ხდებოდა პირის კანის დამუშავება. წარბ-წამწამ-თმის შესაღებად კი ხმარობდნენ ინას, გუნდის ხის ნაყოფს, სურმას და მურს (ჭვარტლს). საღებავები ოქრო-ვერცხლისაგან ან სხვა მასალისაგან დამზადებულ მომცრო ნატიფად ნაკეთებ კოლოფებში ან საგანგებოდ დამზადებულ პარკებში ინახებოდა.

უმარილის მომზადება პირის კანზე წასასმელად ორსაგდულიანი მოლუსკის ნიჟარაზე ხდებოდა, რასაც ქართულ წყაროებში სადაფი ეწოდებოდა. იგი ზოგჯერ სრულიად უბრალო იყო, ზოგჯერ კი ოქრო-ვერცხლით მოჭედილი და ძვირფასი თვლებით შემკული. სადაფზე წყალში იხსნებოდა ფხვიერი უმარილი და ილესებოდა სპეციალური სალესით — კონუსური ფორმის ბროლით. ბროლიც მოჭედილი იყო ლითონით და დამშვენებული მინიატურული დეკორატიული ქანდაკებით ან თვალმარგალიტით.

სახის და წარბ-წამწამ-თმის საღებავებს თბილისის მოსახლეობის ყველა ფენის ქალები ხმარობდნენ. განსხვავებული იყო მხოლოდ საღებავების და ლებვისათვის მოსახმარი საგნების ხარისხი.

**გართობა-თამაშობანი.** XVII-XVIII სს. საქართველოში სხვადასხვა სახის გართობა-თამაშობანი არსებობდა. სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში „თამაშობა“ ექვს სახეობად აქვს წარმოდგენილი: ასპარეზობა, მღერა, ფუნდრუკი, ხუნტრუცი, როკვა და შექცევა.

საქართველოში თამაშის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობა იყო **ყაბახი**. საბას განმარტებით, ყაბახი მოედნის შუა ადგილი იყო, სადაც „ძველად“ მაღალ ანძაზე ოქროს ან ვერცხლის თასს დადგამდნენ და დღესასწაულზე და ყველიერში ცხენოსანი მეფე და დიდებულები ისრის სროლით რიგრიგად გაუვლიდნენ. ვინც თასს

ჩამოაგდებდა, თასიც მისი იყო.

თეიმურაზ II-ს სიტყვებით კი, ანძაზე ოქროს ვაშლი იყო. ვინც ჩამოაგდებდა ვაშლს, მეფეს მიართმევდა, მეფე კი გამარჯვებულს აჯილდოებდა. ასევე პრივილეგიური კლასის გასართობი თამაშობა იყო **ცხენ-ბურთი**, თეიმურაზ II-ს მოცემული აქვს თამაშის ორი სახეობა: 1. ჩოგნით, სადაც თითო მხარეს თორმეტ-თორმეტი მოთამაშე იყო და II. სადაც 3-4 მობურთალი მონაწილეობდა. ორივე ზემოხსენებული თამაში ასპარეზად იწოდებოდა. ეს იყო სპორტული თამაშობანი, რომლებიც სამხედრო წვრთნის ელემენტებსაც შეიცავდა: **ისრის სროლა მიზანში, ჯირითი, ფიზიკური გამძლეობის გამოცდა** და ა.შ.

ეს თამაშობანი მხოლოდ მამაკაცებისათვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ XVII-XVIII სს. საქართველოში იყო ისეთი სათამაშოები, რომლებითაც თამაშობდნენ როგორც მამაკაცები, ისევე ქალები. ასეთები იყო **ჭადრაკი, ნარდი, განჯაფა** (ეს იყო დღევანდელი სათამაშო ქალაღდის — კარტის მსგავსი ძვლის ფირფიტები) და ა.შ. ამიტომ ასეთ სათამაშოებს ქალებს ხშირად მზითევში ატანდნენ.

XVII-XVIII სს. ცნობილი მზითვის ნიგნებიდან ჭადრაკი დამონმებული გვაქვს მხოლოდ სამჯერ. 1667 წ. ჭადრაკი მზითევში გაუტანებ-

ათ შაჰნავაზის ასულისათვის, 1712 წ. ანუკა ბატონიშვილისათვის (ვახტანგ VI-ის ასული), ხოლო 1766 წ. ერთი ძვირფასი ჭადრაკი „თევზის კბილისა“ და ფრანგული ნაკეთობის კუს „ძვლის“ დაფით — ელისაბედ ბატონიშვილისათვის. ნიშანდობლივია, რომ სამივე ქალი თბილისელია — მეფის ასულები. როგორც ჩანს, სამეფო კარზე ჭადრაკი გარკვეული პოპულარობით სარგებლობდა. ჭადრაკი გონებისმიერ თამაშობად ითვლებოდა და მისი თამაში ფულზე იშვიათად თუ იქნებოდა. თეიმურაზ II-მ სპეციალური თავი მიუძღვნა განჯაფას, ჭადრაკისა და ნარდის თამაშობებს, სადაც აღნიშნულია, რომ ჭადრაკსა ითამაშებენ ისე თეთრზედა ძვირადა“.

თუ ჭადრაკის ფულზე თამაში „ძვირად“ — იშვიათად ხდებოდა, სამაგიეროდ ნარდს, განჯაფას, ბანქოს ძირითადად ფულზე თამაშობდნენ. თეიმურაზ II აღნიშნავდა, რომ ამ თამაშებით ბევრ ფულს ატრიალებენ. ორი-სამი დღე გადაბმული თამაშობენ და „დალაღვას არ გაიგებენ“.

ეს სათამაშოები საკმაოდ გავრცელებული იყო და არსებობდა, აგრეთვე, თამაშისათვის შედგენილი წერილობითი ინსტრუქციებიც.

**განსაკუთრებით აუგად ითვლებოდა ყომარის თამაში.**

იესე ოსეს ძე თავის ანდერძში



უკრძალავდა შვილებს ყომარის თამაშს და ფიცავდა მათ წინაშე, რომ ყომარის თამაში „სრულიად გამოუცდელი იყო ჩემგანო“. იესე არ იყო გულწრფელი. ანდერძის სხვა ადგილიდან ირკვევა, რომ იგი ყომარს თამაშობდა, მაგრამ უარყოფდა ფულზე თამაშს.

XVIII ს. საქართველოში ფულზე თამაში, როგორც ჩანს, გავრცელებული იყო. 1782 წ. მანუჩარ თუმანიშვილს თავის დანახარჯის ნუსხაში შეუტანია ჩანაწერი: „ძ. ქალაქის თამაშობაში მივე“. მეფის კარზედაც კი „თამაშში დახარჯვა“, ე. ი. ფულზე თამაში, ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

აზარტული თამაშობანი (ფულზე თამაში) არა მხოლოდ ოჯახებში იმართებოდა, არამედ არსებობდა სათამაშო საზოგადოებრივი სახლებიც. საბას განმარტებით, სახლს, „სადა მარადის იმღერიან“, სამორინე ეწოდება. საბასვე განმარტებით, „მღერაში“ სხვა თამაშობებთან ერთად შედიოდა „ჭადრაკის, ნარდის და სხვა სამორინოთა თამაშობა...“ ასეთი სათამაშო სახლები უდავოა ქალაქებში უნდა ყოფილიყო და, პირველ რიგში, თბილისში, რომელიც ამიერკავკასიის სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, სადაც ფულიც დიდი როლდენობით ტრიალებდა. ფულზე თამაშები თბილისში მოსახლე მალაღი ფეოდალური წრის თუ ქალაქის შეძლებულ ვაჭარ-ხელოსანთა წარმომადგენლები და ზოგჯერ უცხოელი სტუმრებიც იყვნენ.

„კალმასობის“ ზემომოტიანილი ადგილიდან ოთხი მოთამაშიდან ერთი დიმიტრი თუმანიშვილია — ფეოდალთა კლასის წარმომადგენელი, ერთი ფეიქარი, ერთი მკერავი, მხოლოდ ერთის საქმიანობაა გაურკვეველი. ამ შემთხვევაში ფეიქარი და მკერავი ის პირები არიან, რომელთაც თავიანთი ხელობით შემოსავალი აქვთ და მისი დახარჯვაც თავიანთ ნებაზე არაფრად მიაჩნიათ, თუმცა მათი შემოსავალიც შეზღუდული იყო.

**სათამაშო-სამორინე სახლებთან ერთად ქალაქებში არსებობდა სამოსმურო სახლებიც, რაც, საბას განმარტებით, „მემთვრა-**

**ლეთ შესაკრებელი“** იყო, სადაც მოსმურნი — ღვინის მსმელები იკრიბებოდნენ. სამოსმურო სახლი (თუ სახლები) თბილისშიაც არსებობდა. იესე ოსეს ძის განცხადება — „მომღერლებთან სმა“ ჩემთვის „სრულიად გამოუცდელი იყო“ — ვფიქრობთ, სწორედ ასეთ სამოსმურო სახლში დროსტარებას გულისხმობდა. ასეთ სახლებში დროსტარება „შესაქცევად“ — გასართობად სიარული ხარჯებთან იყო დაკავშირებული და ის მხოლოდ ხელგამოწმ თბილისელ მდიდარ-წარჩინებულთა უპირატესობა იყო.

**ქალაქის უბრალო მოსახლეობას თავისი ხალხური თამაშობა-გასართობები ჰქონდა: სალა, ჩილკა, რიკი, ვეგი (კოჭაობა) და სხვა მრავალი.** რაც მოკლებული არ იყო გონებადამხვილობასა და ფიზიკური შესაძლებლობების გამოცდას.

ცალკე არსებობდა საბავშვო სათამაშოებიც. XVIII ს. მიწურულს, როდესაც ალა-მაჰმად ხანმა თბილისი აიღო და დაარბია, თუმანიშვილების დანაკარგის ნუსხაში გამოჩნდა „პატარა ქალების სათამაშო კუკები და მათი ტანისამო“.

ქალაქის სანიტარული მდგომარეობა. იესე ოსეს ძეს მოთხრობილი აქვს, თუ როგორ წვალებით ჩამოიყვანა მან კახეთიდან ძროხა თბილისს, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა და დასძენს: „ჩვენი ნუგემისცემა ორი წელიწადი ამ ძროხისაგან იყო, ყმანვილებს არჩენდა და მოსამსახურეს და ვმადლობდი ღმერთსა“.

**XVIII ს. თბილისის ეზოებში მწველი საქონლის არსებობა ჩვეულებრივი ამბავი იყო. თბილისური სახლების ეზოებში დასახელებული საჯინიბოები და საბძელები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ მოსახლეობას ოჯახებში ჰყავდა, აგრეთვე, გამწვევი თუ სატრანსპორტო საქონელიც.**

1703-1724 წწ. შედგენილ მორდლის განწესებაში დადგენილია სამორდლო გამოსავალი შინაურ ცხოველებზე: აქლემზე, ულაყ ცხენზე, ჭაკ ცხენზე, ძროხაზე, ვირზე, კამეჩზე, ჯორზე, ცხვარზე და ღორზე. ვფიქრობთ, აქ ჩამოთვლილიც ცხადყოფს, რომ

თბილისში შინაური ცხოველების ნაკლებობა არ იყო.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თბილისი სავაჭრო მაგისტრალზე მდებარე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო და შორეული ქვეყნებიდან მოსული თუ გზად მიმავალ-მომავალ ურემების თუ საპალნიანი საქონლის დიდი ქარავნებიც აქ ისვენებდნენ, ადვილად წარმოვიდგინებთ ანტისანიტარიის მიზეზებს.

თბილისურ ეზოებში იყო საპირფარეშოებიც. 1679 წ. თბილისში გაიყიდა სახლები თავისი აბხანით (საპირფარეშოთი) და შესავალგასავლით, მაგრამ თბილისს ქალაქშივე ჰქონდა საზოგადოებრივი ნაგავსაყრელები და მოსახლეობა საოჯახო ნარჩენებს თუ ნაკელს უსისტემოდ ყრიდა ქალაქის ნებისმიერ კუთხეში. 1710 წ. ისაია მანველაშვილმა სახლები გაყიდა, სადაც საზღვრებად მონიშნულია „ქვეითი მხარი ზარაბხანის კარზედ რომ ნეხვი ჰყრია, იმის კერძადო“. თბილისის ჰიგიენურ ყოფაზე უარყოფითი აზრისა იყო გიულდენშტედტიც. ქალაქის დანაგვიანება იწვევდა ხშირ ეპიდემიებს, რაც მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს ანადგურებდა.

ამავე დროს **თბილისში იმ დროისათვის არაერთი განსწავლული ექიმი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. XVIII ს. დოკუმენტებში მოხსენიებული არიან: მაჰმუდა აქიმიშვილი, ექიმი ოსეფა, ექიმი თათულა, „დობტური“ (რაინგესი), ალექსანდრე აქიმი, პატრი უფროსი (აგრეთვე ექიმი) და ა. შ.** მაგრამ მათ მოვალეობას მხოლოდ ავადმყოფების მოვლა და ნამღლების მიცემა შეადგენდა და არა ქალაქის ჰიგიენური პირობების დაცვა.

1770 წ. თბილისში შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა. მსხვერპლიც დიდი იყო — 4000 კაცი. 1798 წ. კვლავ იფეთქა ეპიდემიამ. ამჯერად ქალაქის მესვეურები ეპიდემიის წინააღმდეგ „დობტურის“ მითითებებით მოქმედებდნენ, მაგრამ ქალაქის სანიტარული მდგომარეობა მაინც სავალალო იყო.

„თბილისის ისტორია“, ტ. 1, გამომცემლობა „მერანი“, 1990

# რამდენიმე წუთი გედევანიშვილის სილაგაზის, ნიჭისა და გენის ტყვეობაში...

თბილისში არის ძირძველი ოჯახები, სადაც „ნაშთი ძველი დიდებისა“ დიდის რუდუნებითაა შემონახული, სადაც ჰაერსაც სხვანაირი სურნელი აქვს. გიხარია, რომ შენც ქართველი ხარ, ამათი გორის.

ამ ოჯახების შთამომავლებთან შეხვედრა კი, თუნდაც რამდენიმეწუთიანი, საოცარ სითბოს, სიამაყეს და სევდანარევე სიხარულს გგვრის. სევდას იმიტომ, რომ ძალიან ცოტანი დარჩნენ. ვახუშტი კოტეტიშვილის სიტყვები გამახსენდა, მათი მისამართით თქმული: „ისინი ფანჯარასთან დგებიან და ფარდის უკნიდან იხედებიან...“, საკუთარ წარსულს ელოლიავენებიან და იცავენ. სწორედ ასეთ ოჯახს ვესტუმრეთ ამ რამდენიმე დღის წინ, საიდანაც წარუშლელი შთაბეჭდილებით დავბრუნდით და აგერ უკვე რამდენიმე დღეა, გედევანიშვილების, ქალბატონ თამარ ციციშვილის ოჯახში ნანახსა და მოსმენილზე აღფრთოვანებით ვსაუბრობთ.

კარი დიასახლისმა, თამარ ციციშვილის ქალიშ-

ვილმა, ულამაზესმა ქალბატონმა მანანა გედევანიშვილმა გაგვიღო და იმ წუთიდან მხოლოდ სილაგაზის, სიმშვიდისა და დიდი გენის ზემოქმედების ქვეშ აღმოვჩნდით.

თბილისის ერთ-ერთ ძირძველ უბანში, ვერაზე, ქიაჩელის ქუჩაზე დგას გასული საუკუნის გარიჟრაჟზე აშენებული სახლი, რომელიც გერმანელი არქიტექტორის, მილერის, პროექტით ოჯახის უფროსს, ცნობილ ექიმსა და საზოგადო მოღვაწეს — მიხეილ გედევანიშვილს აუშენებია. შენობა არ იყო მარტო საცხოვრებელი სახლი, იმ პერიოდში ის თბილისში საქველმოქმედო ცენტრად ქცეულა — პირველ სართულზე მიხეილ გედევანიშვილის საავადმყოფო ფუნქციონირებდა, ასევე — მისი მეუღლის, ქალბატონ ანასტასიას მიერ დაარსებული საბავშვო ბაღი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ღვთისნიერ ქალბატონს გახსნის ნებართვა იმდროინდელი ხელისუფლებისგან ვერადავერ მიუღია.



## ანასტასია გედევანიშვილი — პედაგოგი

და საზოგადო მოღვაწე. საბავშვო ბაღს ხელმძღვანელობდა. მას ამ კეთილშობილურ საქმეში აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი ეხმარებოდნენ და ძალიან გაჭირვებული ოჯახის ბავშვებს აფინანსებდნენ. ანასტასია თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძესთან. მას, ილიას თხოვნით, ფრანგულიდან რამდენიმე ნაწარმოები უთარგმნია. ანასტასიას ოჯახი და ილია

ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე **მიხეილ გედევანიშვილი** ილიას თანამოაზრე და უმცროსი მეგობარი გახლდათ. თბილისის გუბერნიიდან ორივე აირჩიეს რუსეთის დუმაში. მიხეილ გედევანიშვილი ერთდროულად რამდენიმე დარგის დიდი სპეციალისტი და ზოგიერთის დამაარსებელიც იყო. მაგალითად, რენტგენის აპარატი თავად შეუქმნია პარიზში და თავისივე სახსრებით ჩამოუტანია თბილისში. მანამდე მსგავსი რამ მთელ იმპერიაში არსად ყოფილა.

ია ჭავჭავაძე მეზობლები ყოფილან ყვარელში, მეგობრობდნენ და ეს მეგობრობა მას შემდეგაც გაგრძელებულა, როდესაც ილია საგურამოში, ხოლო ანასტასიას ოჯახი მცხეთაში გადმოსახლებულა. მათი ოჯახები ზაფხულობით საგურამოში ერთად ისვენებდნენ. აქედან გამომდინარე, გედევანიშვილების ოჯახი ილიას აზრის გამტარებელი და მისი მხარდამჭერი იყო.



მაგიდა, რომელიც კაბინეტში დგას, არის გრიგოლ ორბელიანის ოჯახისგან შექმნილი. მისი უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ქართველი ოსტატების ხელით არის დამზადებული.



როდესაც ილია გარდამიცვალა, მიხეილ გედევენიშვილმა საზოგადოებას პირობა მისცა, რომ გამოსცემდა მის თხზულებებს. ეს გამოსცემა დაიბეჭდა 1914 წელს. მან გადაწყვიტა, აკადემიური გამოსცემა მოეზადებინა. შეპირება კომისია. თვითონ იყო რედაქტორიც და გამომცემელიც. ეს წიგნი გიგლიოგრაფიული იშვიათობაა. მსოფლოდ ხელმოწერებით ბავრცელდა, არ გაყიდულა.




ეს მრგვალი მაგიდა ძალიან ძველია. ამ ოჯახის რელიკვიაა. ილიას წიგნი გამოსაცემად რომ მზადდებოდა, კომისია აქ, ამ მაგიდასთან მუშაობდა.  
ამ ოჯახში ხშირად მოდიოდნენ სტუმრად ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა.



რენტგენის აპარატი, რომელიც მიხეილ გედევენიშვილმა პარიზში შეიძინა და თბილისში ჩამოიტანა. ამ აპარატზე ყველა ფიზიკოსი გიჟდება. ოჯახს არა ერთხელ სთხოვეს, დაეთმო იგი თუნდაც გარკვეულ საფასურად, მაგრამ გედევენიშვილები თვალის ჩინივით უფრთხილდებიან დიდი წინაპრის დანატოვარს.



მისეილ და ანასტასია გადევანიშვილების ოჯახი.  
 მათ ოთხი შვილი ჰყავდათ — შალვა, ქეთო, კოტე და დიმიტრი.



შალვა რეჟისორი გახლდათ. იყო რენე-კლერის მონაფე და საფრანგეთში ბევრ ცნობილ რეჟისორთან უმუშავნია. მას კინემატოგრაფია აინტერესებდა. იგი „ქეთო და კოტეს“ დამდგმელი რეჟისორია. ამასთან, მან პირველმა შექმნა ქართული თოჯინური ფილმი. შემდეგ მულტიპლიკაციურ ფილმებზეც მუშაობდა.







დიმიტრი გადევანიშვილი

დიმიტრი აღიარებული მეცნიერი იყო - ბერიტაშვილის სკოლის წარმომადგენელი, ფიზიოლოგი. მისი შრომები და აღმოჩენები საზღვარგარეთაც იყო ცნობილი და ფიზიოლოგიის ოქროს ფონდშია შესული.

26 წლის ყმაწვილი საკუთარ სახლში, მამის მიერ გახსნილ საავადმყოფოში მუშაობდა. ერთხელ მასთან 18 წლის ულამაზესი გოგონა მიიყვანეს, რომელსაც ამ საავადმყოფოში ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაუკეთდა... ის გოგონა თამარ ციციშვილი გახლდათ, ქართული კინოს მომავალი ვარსკვლავი.

ამ შეხვედრის მერე დიმიტრი გედევანიშვილი და თამარ ციციშვილი მალე დაქორწინებულან.



თამარ ციციშვილი - მსახიობა მუზა

მხატვრები:  
ალექსანდრე ბაქრაძე, ქვიციანიძე  
ლადო გუდიაშვილი  
ივორ ვრზაბარი  
ნინო თამაშველა  
ირაკლი თოიძე  
მოსე თოიძე  
ლუარსაბ მალაშვილი  
ქეთევან მალაშვილი  
კორნელი სანაძე  
რობერტ სტურუა  
გიორგი ჯაბი



ახალგაზრდა გარდაცვლილა გადევანიშვილების ერთადერთი ქალიშვილი ქეთევანი, რომელიც მამობრობდა შალვა შუცუბიძესთან, იოსებ ბრიშაშვილთან და სხვა ცნობილ ადამიანებთან.



შუათანა ვაჟი — კოტე 20 წლის ასაკში ავადმყოფობით გარდაცვლილა, ის ხატვის არაჩვეულებრივი ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული. სახლ-მუზეუმი მისი რამდენიმე ნახატი ინახება, რომლებიც სახელოვან მხატვრებს უნიკალურ ნამუშევრებად შუაყანაბიათ.

„დარიკო“ გამოვიდა თუ არა, თამარ ციციშვილი ვარსკვლავი გახდა. ფილმი ექვსი თვე ეკრანიდან არ ჩამოდიოდა. შემდეგ იყო ფილმები „დაგვიანებული სასიძო“, „აკაკის აკვანი“, „ქეთო და კოტე“, ... რამდენიმე წელი მარჯანიშვილის თეატრშიც მუშაობდა — „კლეოპატრაში“ ითამაშა პიერ კობახიძესთან და გიორგი შავგულიძესთან ერთად. ქალბატონი თამარი ოქტავიას თამაშობდა. ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა როგორც მსახიობს, როგორც ლამაზ ქალს... პოეტები ლექსებს უძღვნიდნენ, მხატვრები ხატავდნენ.

„დარიკო“ რომ გამოვიდა, გოგლა ლეონიძემ თამარ ციციშვილს ლექსი მიუძღვნა:

„თუმც ბლახურ ჩითში  
ის იმალება,  
მაინც მიაგნებს  
აოეტის თვალი,  
სდგას სილამაზის  
გაბრწყინვალეა  
ხელში დამბარით,  
თავადის ქალი,  
რად უნდა ტყუილი  
თოფი სახმარად,  
სროლა, თავდასხმა, მალვა,  
მარადღე,  
მისი სომ ერთი  
ღიმილიც კმარა,  
რომ მთელი ჯარი  
ბანიარადღეს“.



თამარ ციციშვილის დედა — ვილგელმინა შელცინკერი გერმანელი იყო. თამარის მამას — იოსებ ციციშვილს ოდესაში გაუცვნიდა და ცოლად შეურთავს. თამარიც ოდესაში დაბადებულია.

თამარის პაპიდა მარია ციციშვილი, საქართველოს უკანასკნელი დედოფალი, გიორგი მეცამეტის მეუღლე გახლდათ.



გედევანიშვილების სახლში პირველი ქართული საბავშვო ბაღიც არსებობდა, რომელიც მიხეილ გედევანიშვილის მეუღლემ ანასტასია გედევანიშვილმა 1908 წელს დააარსა. ანასტასია გედევანიშვილს მთავრობამ უფლება არ მისცა, მაგრამ მან არაღებულად მაინც გახსნა საბავშვო ბაღი. ეჭო ვარდებით იყო სავსე, პატარა აუზიც ჰქონდათ.

მოამზადეს ეკა ნასყიდაშვილმა  
და ღია სვანიძემ



ლადო გუდიაშვილის ნახატი  
„თამარ ციციშვილი“

